

ცხელი

# უოკოლადი

თიბერვალი 2005  
ფასი 5 ლარი

**ნიწო ქათამაქე**

გურამ ნიბასუვილი

ლაშა ბაქრაქე

ვიშა კობახიქე

ოთარ იოსელიანი

**სვიც-პროექტები:**

ჩემი სასლი

პარიზი

ქოთნის ყვავილები



9 771512 222006





სერგოიტიკუღია

L' IMPRESSION  
შთაბეჭდილება

შეიზრახენი ვიბი...

SUPERSLIMS 100<sup>5</sup>

*Vogue*



*Filter*

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ:  
მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.  
მოწევა ორსულობის დროს საფრთხეს უქმნის ნაყოფის ჯანმრთელობას.





# „ბლუბიზი – სწრაფი და იოლი გზა უფასო ბილეთის მისაღებად“.



ბლუბიზი – ეს ახალი პროგრამაა, ერთგული კომპანიებისათვის.

ბლუ კრედიტების დაგროვება ხდება KLM-ისა და მისი პარტნიორი ავიაკომპანიების საქართველოში გამოწერილ ყველა ბილეთზე, დაგროვილი კრედიტები შესაძლებლობას მოგცემთ ისარგებლოთ უფასო ბილეთით.

სამი ნაბიჯი უფასო ბილეთისკენ:

1. დაარეგისტრირეთ თქვენი კომპანია [www.klm.ge](http://www.klm.ge)-ზე
2. ყოველი დაჯავშნისას გამოიყენეთ თქვენი ბლუბიზის მონაცემები
3. იფრინეთ უფასოდ, როცა საკმარის ბლუ კრედიტს დააგროვებთ

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ბლუბიზის მომსახურების ცენტრში 10:00-დან 18:00-მდე  
 ტელ.: +995 32 921611, ან გააგზავნეთ ელექტრონული წერილი შემდეგ მისამართზე: [bluebiz.ge@klm.com.ge](mailto:bluebiz.ge@klm.com.ge)



საერთოფინანსოვანი

**ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ: მოწა  
პასიური მოწავა საუბრი**





ბაღუაზი

# ბაღუაზი

თავის უფლება მუდამ

## GAULOISES

*LIBERTÉ TOUJOURS*

მა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.  
ა ჯანმრთელობისათვის.





ყდაზე: ნინო ქათამაძე  
ფოტო: დავით მესხი

- რედაქტორი შორენა შავერდაშვილი
- რედაქტორის თანაშემწე ნატა ფედოსევა
- ნომერზე მუშაობდნენ ნენე კვინიკაძე  
ანა კორძაია-სამადაშვილი  
თამარ ბაბუაძე  
ნათია ახალაშვილი  
ნანა ნიკოლაძე  
თამარ სუხიშვილი
- სტილისტი გაგა ლომიძე
- ფოტო დათო მესხი  
ლევან ხერხეულიძე
- ილუსტრაცია სოფიო რეზვიაშვილი
- დიზაინი დავით თეთრაძე  
ალექსი კახნიაშვილი
- დისტრიბუცია კოკა სვანიძე



გამომცემელი  
შპს „ემ ფაბლიშინგი“  
მისამართი: თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108  
ტელ./ფაქსი: 23 37 31  
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

სტამბა  
შპს „სეზანი“  
მისამართი: ნურეთლის გამზ. 140  
ტელ.: 35 70 02  
ელ-ფოსტა: shorena@cezanne-web.com



© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია

8 >>>



16 >>>



## ექსკლუზივები

### 8 თამრიკო ფოცხიშვილი

დუბლი № – “სიყვარული დაფრინავს”  
თამარ ბაბუაძე

### 16 გურამ ნიბასაშვილი

ნიბაბა  
თამარ სუხიშვილი

### 48 ნინო ქათამაძე

ნინო ქათამაძესთან, სულ რამდენიმე წუთით  
სოფიო კირვალიძე

### 58 ლაშა ბაქრაძე

ლაშა-გეორგ, მიაბზე რამე  
ანა კორძაია-სამადაშვილი

### 74 მაგდა ნოვაკოვსკა და ზაზა კორინთელი

ვიტრაჟებიდან დოლ-გარმონამდე  
ირენ მახარაძე

### 78 სიუზან ზონტაგი

ამბავი ქალისა, რომელმაც ძალიან ბევრი რამ იცოდა  
და მაინც არაფრის ეშინოდა  
ანა კორძაია-სამადაშვილი

74 >>>



78 >>>





26 >>>



## სერიალი

66 ვთამაშობთ თბილისობანას  
თავი II-III  
აკა მორჩილაძე

## ფოტოგოტოსრობა

54 ერთგულების ასი წელი  
ზოგი ჭირი მარგებელია  
მალხაზ ხარბელია

84 დონ პეპე  
დათო ტურაშვილი

## ნოველა

131 ჯერ ფოტო  
ნესტან კვინიკაძე

58 >>>



## სპეც-პროექტი

26 ჩემი სასლი  
ანა კორძაია-სამადაშვილი  
ლევან ხერხეულიძე

90 პარიზი  
დღიურები

114 მიშა კობახიძე  
თუ გინდა იყო ახალგაზრდა, იყავი!

120 კლოდ პრიმაკოვი და ოლივიე დ'აგი  
პატარა პრინცის ნათესავები

126 ოთარ იოსელიანი  
ემიგრანტი არა ვარ...  
ისევ ქართულ კინოს ვაკეთებ

ნესტან კვინიკაძე  
დათო მესხი

142 ქოთნის ყვავილეზი  
ნათია ახალაშვილი  
დათო მესხი

66 >>>



90 >>>




120 >>>



142 >>>







დუბლი № –

„სიყვარული დაფრინავს“





ავტორი: თამარ ბაბუაძე  
ფოტო: იური მეჩითოვი  
„კედლის“ გადაღებებზე

კარი ღიაა.

ეს უკვე უცნაური დეტალია:

როცა პოეტები ლექსს წერენ, და მათი შვილები კი ოთახებში ყიჟინას სცემენ, პოეტები, როგორც წესი, კარს ხურავენ ხოლმე. შეიძლება გალიზიანებულები აჯახუნებენ კიდეც. მაგრამ არა იმიტომ, რომ ბავშვები სძულთ, ან აგრესიული მუზის შეტევას გრძნობენ. უფრო იმიტომ, რომ ეშინიათ, ტვინის ხვეულებში ჩასახული აზრი ფურცელზე გადმოტანამდე არ გაქრეს.

მათ ჰერმეტიულად დახურული სივრცე სჭირდებათ. საიზოლაციო ლენტით ამოვრთული კარ-ფანჯრები. სრული ინტროსპექცია. საკუთარ თავში შესვლა, რათა თოთო აზრები ქირურგიული ხელთათმანებით, დაუმახინჯებლად, ინფექციის შეუყრელად გამოიყვანონ გარეთ. აზრის გააზრების, რითმის გართმვის ეს პროცესი იმდენად სათუთი და ენით აუნერლად სასიამოვნოა, რომ ერთადერთი სიტყვა ესადაგება ყველაზე სრულყოფილად, ფრანგული — *Fragile*. თვითონ მოქმედებას კი — „მაცალეთ, ლექსს ვნერ“ — ყველაზე დრამატულად ერთადერთი გრამატიკული დრო გამოხატავს — ინგლისური ანმყო განგრძობითი.

და აი ახლა, ამ სახლში სწორედ ეს სათუთი და საბედისწერო დრო დგას — განგრძობითი. „ყოფნა“ დამხმარე ზმნას მიმატებული საუღლებელი ზმნის ანმყო მიმღეობა. ანუ, „მე ლექსს ვნერ“. ახლა.

კარი კი ღიაა.

კარს იქით, სანერ მაგიდასთან კაცი ზის და ბუტბუტებს. სილუეტზევე ეტყობა დაძაბულობა. უკან გადავარცხნილი თმები, განიერი მხრების მოხაზულობა, ნელი ცქმუტვა და გაურკვეველი ბგერათმეთანხმებები. ხან ხმამალალი, ალტკინებული წამოძახება, ხანაც — ჩამცხრალი, დამშვიდებული მიგნება. სიტყვები, რითმები, სილუეტის რხევა — ისე, როგორც რეპი, ოღონდ 60-იანების სტილში, ლირიკული.

კარი ღიაა. კაცი ლექსს წერს. სანახაობა იმდენად რიტუალურია, რომ დერეფანში მოთამაშე ბავშვებიც წამით ჩერდებიან, აყურადებენ. ძალიან, ძალიან ქვეცნობიერად ხვდებიან, რომ მათგან სულ რამდენიმე მეტრში რაღაც იბადება...

თამრიკო და ბასა ფოცხიშვილები ასე იზრდებიან. პოეტურ და მატერიალისტურ სამყაროებს შორის გახსნილი საზღვრებით.





„ჯაიში“. მაგილასთან საპა იოსელიანი

სახლში, სადაც ყველაფერი „ლექსის მეტრული საზომით იზომება“. მათი მამა აფრენაზე ოცნებობს. „აფრინდება და ფრია“. ის ძალიან პოეტურია. „ლოდინს ლილისფერს ნეტა, რა ჰქვია“. თამრიკოს წლების მერეც პირველ რიგში ეს ორი ლექსი ახსენდება. ხელნაწერი კი ოთახში, სანერ მაგიდასთან უკიდია.

**„ამ კარგია. მარტო მოგონებები მხალაქენ“**

დღეს დები იმას ქმნიან, რასაც პოსტ-საბჭოთა და პოსტ-90-იანი წლების ომების ქართული პოპ-კულტურა ჰქვია. „გიხაროდენ“ და მოქავეშირი, პირველი ქართული სერიალი „სახლი ძველ უბანში“,

გოდერძი ჩოხელის „მიჯაჭვული მგლები“ იყო, თუ არ ვცდები 1998 წელს... ახლა ნაძვის ხის ფესტივალი ჩავატარეთ, ბევრი დრო და ენერჯია წაიღო. წინ კიდევ ორი ფესტივალი მელის. ტრისტიმი ბასას მარკა თხელიდის კომპოზიციისთვის გადაღებული Just Try მიაქვს, მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში აჩვენებენ. მერე ბერლინში მივდივარ. მიყვარს ეს ქალაქი და მისი კინოფესტივალი. ყველაზე ნაკლებად ბურჟუაზიულია, ყველაზე კარგად არის წარმოდგენილი აღმოსავლეთ ევროპის პროდუქცია. იქაც საქმეები მიაქვს. მერე კი ჩამოვალ და ყველაფერს მივხედავ“.

ეს უახლოესი გეგმებია. ბუნებით აქტიური და ენერჯიული მხატვარი მათ განხორციელებას ცდას არ დააკლებს. მაგრამ პაუზა ყოველთვის საჭიროა. თამრიკომაც იცის ერთი მოხერხებული ჩრდილი პოპ-კულტურული რუტინისგან თავის დასაცავად. ჩრდილი, ანუ ის ლექსის მეტრული საზომით შემოფარგლული სივრცე, სადაც ბავშვობიდან გადმოყოლილი პოეტური აურა დღემდე ტრიალებს.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვაგრძელებთ. იქ გაეჩერდით, როცა ოთახის კარი ღია იყო და ათწლეულების განმავლობაში ძალიან პოპულარული, რამდენიმე თაობისთვის საყვარელი პოეტი, დერეფნიდან შემოჭრილი ბავშვების ხმაურის ფონზე, სტრიქონებს რითმავდა. მერე კარზე ზარი ირეკებოდა. მოდიოდა გოგი ცაბაძე და ინერებოდა სიმღერა „მეფაიტონე“. ინერებოდა დიდხანს — იქვე მუშავდებოდა, სწორდებოდა, ტექსტიც და მელოდიაც, ყველაფერი ექსპრომტად. გოგონები თამაშს წყვეტდნენ — ხან მამის, ხან გოგი ცაბაძის ცქერით იღლებოდნენ. გადიოდა დრო და სიმღერას, რომელიც მათ თვალწინ იქმნებოდა, ყველგან ისმენდნენ — ქუჩაშიც, რესტორანშიც, ტაბახმელაშიც, წყნეთის გზებზეც.

მერე კიდევ ზარი. ამჯერად ნანი ბრეგვაძე იდგა ზღურბლთან. თამრიკო ქვევიდან აპყურებდა ქალს, რომელიც უკვე ნანახი ჰყავდა ფილმში „ორერა: სრული სვლით წინ“. ქალი, რომელიც, გოგონას აზრით, ძალიან გამოპრანჭული და ლამაზი იყო. თამრიკოს პატარა სკამი ჰქონდა. შეიტანდა ოთახში, კუთხეში დაჯდებოდა და უსმენდა: „ეს ნოტი აიღე“... „ეს სიტვა ხომ არ ჯობია?“

ზარი მესამედ. ლევან გოთუა მოდიოდა. „რეპრესირებული, გადასახლებიდან დაბრუნებული. მორისს მასთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა“. ყველანი ერთად ქალაქგარეთ მიდიოდნენ. არაგვის ხეობა, გუდამაყარი. ბევრი ფოტო. ბოლოს პიკნიკი. თამრიკოს ეგონა, რომ მინაზე დაგებულ გადასაფარებელს „კლიონკა“ ერქვა. ლევან გოთუა უსწორებდა: „არა, ეს მუშამბაა, გენაცვალე“. — თუ ქართულად ლაპარაკობდნენ, ყოველგვარი მინარევების გარეშე უნდა ელაპარაკათ. ეს სიტყვაც — „მუშამბა“ ბავშვურ მესხიერებას განსაკუთრებულად აეკვიატა — ხომ დაგმართნიათ?

მამა არ ჩხუბობდა. „ერთხელ, როცა ბასას და ჩემს კინკლაობაში დედაც ჩაერია, მორისი შემოვიდა და გულწრფელად გაკვირვებულმა

**მამა არ ჩხუბობდა. „ერთხელ, როცა ბასას და ჩემს კინკლაობაში დედაც ჩაერია, მორისი შემოვიდა და გულწრფელად გაკვირვებულმა გვკითხა: რა გაჩხუბებთ, ნახეთ, გარეთ რა ამინდია, ჩიტები ჭიკჭიკებენ, რა დროს ეს არისო“.**

უცნობის კლიპიდან “ნაშებში“ გაპარული ქმრები, „გზავნილი 21-ე საუკუნეში“, ახალი წლის ღამის კონცერტები, შეყვარებული კაცების არყები, ნაძვის ხეების ფესტივალი... ანუ, ახალი ქართული პარამეტრებით რომ გავზომოთ — ნამდვილი ვარსკვლავური ცხოვრება. უკვე გადანაწილებული როლები — ბასა უფრო პოპულარულია, ვიდრე თამრიკო. მაგრამ ისინი მაინც ერთად არიან — უიერარქიოდ. ერთად მუშაობენ. თამრიკო ამბობს, რომ ბასამ ქართული კლიპის გზა გაკვალა. „ახლა ის განვითარდება, სხვანაირად არ შეიძლება“. ახლა ბასა ფილმზე მუშაობს. თამრიკოც აპირებს, უფრო სერიოზული რამ შექმნას. „რამდენი ხანია, კინოში აღარ მიმუშავია. ბოლოს

გვკითხა: რა გაჩხუბებთ, ნახეთ, გარეთ რა ამინდია, ჩიტები ჭიკჭიკებენ, რა დროს ეს არისო“.

დრო გადიოდა, პოეტური და თავისუფალი აურა კი სახლში არ იცვლებოდა. „მამა იმდენად თავისუფლად მოაზროვნე კაცი იყო, რომ ყოველ სიახლეს იოლად ეგუებოდა ხოლმე. ვერაფრით წარმომედგინა, რომ მორისი ახერხებდა და ეცნობოდა ახლადგამოჩენილი კოტე ყუბანეიშვილის ლექსებს. ერთხელ კოტე ჩემთან სტუმრად მოვიდა. მორისი კი გამოვიდა და კოტეს მის ლექსებზე დაუნყო ლაპარაკი. მე იმდენად არ გამკვირვებია, რამდენადაც თვითონ კოტეს. თუმცა, რა იყო გასაკვირი — მორისს ხომ გულწრფელად უხაროდა, როცა ხედავდა, რომ

ადამიანი თავისუფლად აზროვნებს და კარგად იცის ქართული ენა“.

ამ შეხვედრის შემდეგ ერთი დამთხვევა მოხდა. ბასამ „სიყვარული დაფრინავს“ გადაიღო. უცნობმა ლექსს სხვა ტექსტი დაამატა რეპის სახით. მხოლოდ მოგვიანებით შეიტყვეს დებმა, რომ მამის სტრიქონებისთვის: „სიყვარული დაფრინავს, სიყვარული არ დადის“ მისამღერი კოტე ყუბანეიშვილს დაუწერია: „მიპასუხე, გენაცვალე, ვისი სული გასურს?“

## ბაბა — ობობა

მხატვრისთვის ლექსი შინაგანი სამყაროს ის გამოძახილია, რაც ფუნჯის ტილოზე მოსმით ვერაფრით გამოხატა. პოეტისთვის პირიქით — ნახატია ის იდეა, რაც სიტყვებზე ვერ გარდაქმნა, ტაყებზე ვერ გართმა და ფუნჯის საღებავში ამოვლება არჩია.

თამრიკოს ბავშვობიდან ახსოვს მამის ერთი ნახატი — იმ მუშაობასავით აკვიატებული, ოღონდ ამჯერად ვიზუალურ მესხიერებას შემორჩენილი: წითელ ფონზე თეთრი ცხენი დგას, ჯაჭვებითა დაბმული და აწყვეტას ლამობს. ქართული რომანტიზმით, თუ მსოფლიო ეპოსით ნასაზრდოები, სრულიად პირდაპირი მეტაფორაა, მაგრამ პოეტისთვის და მისი ქალიშვილისთვისაც ძალიან ინტიმური და მტკივნეული — საბჭოთა პერიოდის წნეხის ფუნჯით გაპროტესტება.

„სახატავი ქალაღი დღემდე არ მიყიდა. მორისისგან შემომრჩა. არაჩვეულებრივად ხატავდა. მხატვრობაც მან შემაყვარა. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო“.

გარდა იმისა, რომ პოეტი ხატავდა, პოეტსაც ხატავდნენ. ბავშვი გაიღვიძებდა დილას და დერეფანში ვედროებით მოტანილი თიხა ხვდებოდა — მეგობარი მამას აქანდაკებდა. მერე ეს ქანდაკება სასადილო ოთახში იდგა დიდხანს. ამიტომ იყო, რომ თუ ბავშვები, როგორც წესი, თვალ-წარბიან და გაცინებულ მზეს, ყვავილებიან მდელოს, გრძელკაბიან, ხელბეგაჩაჩხულ პრინცესებს და მათ გვერდით უპროპორციოდ მდგარ პრინცებს ხატავდნენ, თამრიკომ პირველივე ცდაზე მამის პორტრეტი დახატა. „უფრო ობობას ჰგავდა. შენახული გვაქვს. მერეც ხშირად ვხატავდი მორისს“.



„კაელის“ გალაღვაპაზი. თამრიკო და გივი ჩუბუაშვილი

ფოტო: ილია ბაიბიტაძე

## როზიტა ქერათმიანი იყო. მორისმა ის შორიდან დაინახა — ზღვაში შეფრიალებული და მზის სხივებზე ალაპლაპებული თმებით. რუსი ეგონა. უკან დაედევნა. გოგონა უკვე ღრმად იყო შესული, როცა პოეტი წამოენია და ჰკითხა: „Который час“

პროფესიის არჩევას კიდევ ერთი ძვირფასი მოგონება უკავშირდება. „სკოლას ვამთავრებდი, როცა მამამ ქანდაკების სასწავლად როლანდ ნაროუშვილთან მიმიყვანა. იმავე პერიოდში როლანდი ჭაბუა ამირეჯიბის ქანდაკებაზე მუშაობდა. „დათა თუთაშხიაც“ იმავე პერიოდში უნდა გამოცემულიყო. მე ოთახის სიღრმეში ვიჯექი, შეგირდის რანგში. ჭაბუა მოქანდაკის პირისპირ — მენატურის ადგილას იჯდა და ამბებს ჰყვებოდა. მერე კი, როცა წავიკითხე „დათა თუთაშხია“, კლასელებს დიდხანს ვახარებდი, რომ ეს ისტორიები ძალიან ინტიმურ სივრცეში, თვითონ მწერლისგან მქონდა მოსმენილი; რომ პირადად მწერალი ჰყვებოდა რალაც ეუბოოდებს რომანიდან, რომელმაც მერე ყველა აალაპარაკა“.

## რომანი

ამ სიტყვის ორჯერ ხსენება სიტყვების თამაშზე მეტია, რადგან ორ რომანს ვგულისხმობთ — მამის და შვილის. ორივე მათგანი — თავისი და მშობლისაც შვილს ისე ძალიან მოსწონს, რომ კინოს სიუჟეტად აღიქვამს. ისედაც: „ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი რომანები კინოს ჰგავს“. მერე კინო მთავრდება. ამბავი ხან წყდება, ხან გრძელდება. სიყვარული კი სულ რჩება, და თან, სულ დაფრინავს.

მამის რომანი ასე იყო: გაგრამი დაინყო, შუაგულ შავ ზღვაში.

როზიტა ქერათმიანი იყო. მორისმა ის შორიდან დაინახა — მზის სხივებზე აბრიალებული თმებით. რუსი ეგონა. უკან დაედევნა. გოგონა უკვე ზღვაში ღრმად იყო შესული, როცა პოეტი წამოენია და ჰკითხა: „Который час“ — ასეა ხოლმე, როცა ერთდროულად ცურვისგან და მღელვარებისგან სუნთქვა გეკვრება, როცა პოეტურობა და ორიგინალობა გტოვებს, საშველად ბანალურობას მოუხმობ ხოლმე და გამოსავალს სტანდარტულ ფრაზებში ეძებ...

პასუხი ქართულად მიიღო და ისე გაუკვირდა, ისე დაიბნა, რომ ნაპირზე გამოსულმა, ქერა გოგონა დედას გააცნო; თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კი — კონსტანტინე გამსახურდიას, გოგლა ლეონიძეს.

მაჩაბლის ქუჩაზე, დიდი ხეების ჩრდილქვეშ დანიშნული პაემნები ქორწილით დაგვირგვინდა. თამადა გოგლა ლეონიძე იყო.

შვილი სულ შეყვარებული იყო. ჯერ გამოგონილი პერსონაჟი — გაა ჟაკეტაშვილი უყვარდა. მერე კი „სკოლაში მიღებული გამოცდილების“ შემდეგ დაასკვნა, რომ ბიჭები ერთი ნახვით, მათი გარეგნობის მიხედვით კი არ უყვარდებოდა, არამედ სიყვარულის გასაღვივებლად განსაკუთრებული სიტუაცია სჭირდებოდა. მას პოტენციური სიყვარულის ობიექტი მაშინ უნდა დაენახა და აღმოეჩინა, როცა ის რაიმეს გამორჩეულად აკეთებდა. ამ ლოგიკით,





გიორგი და თამარიკო გაღალგაზრდა აზრიკაში

თამარიკოს სკოლაში შეუყვარდა ბიჭი, რომელსაც ერთხელ იმ მომენტში შეხედა, როცა მან კალათში სამჭულნიანი მოათავსა; მერე კი ერთი ბიჭი მოსწონდა, რომელიც კარგ მოთხრობებს წერდა.

ანუ: „ჩემი სიყვარული ყოველთვის Action-ში მოდიოდა“...

**ACTION! ორი მნიშვნელოვანი**

რეჟისორის ასისტენტის ეს ბრძანება გადასაღებ მოედანზე ხშირად ისმის ხოლმე. დუბლი 1, დუბლი 19, დუბლი 178-ე... არ ვარგა. ერთხელაც, თავიდან, Motor! = Action!

გოი მგელაძე „არა, მეგობარო!“-ს ცუდ დროში იღებდა. დროში, რომელმაც ერთდროულად რამდენიმე თაობას — ჩემსას, ჩემზე ცოტა წინას და იმაზე უფრო წინას — ათქმევინა, რომ ჩვენ დაკარგული თაობა ვართ. დრომ, რომელმაც ლევან აბაშიძე იმსხვერპლა.

გიორგი გურგულია „არა, მეგობარო!“-ს გადაღებებზე ლევანმა მიიყვანა და ყველას გააცნო, მათ შორის თამარიკოსაც. თამარიკო 33

დანყებას კი არა, იმ მოქმედებას ნიშნავდა, სიყვარულს რომ ინვესტავს; ანუ ის გრამატიკული დრო დადგა, თავიდან რომ ვახსენეთ. ლექსის წერის არ იყოს, შეყვარებასაც ხომ ძალიან უხდება ეს ანმყო განგრძობითი. და წარმოიდგინეთ, რა ბედნიერია ადამიანი, ვინც მაშინვე გაიაზრებს გასააზრებელს და სათქმელს ზუსტად „ყოფნა“ დამხმარე ზმნისა და საუღლებელი ზმნის ანმყო მიმღებობით იტყვის: „მე მიყვარდება. ეს ამ წამებში ხდება“.

თამარიკო კამერის ობიექტივში იყურებოდა, დეტალებს ასწორებდა, ამოწმებდა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა. ამ დროს მის წინ გიორგი გურგულია იდგა და თამაშობდა. „თამაშობდა კარგად“.

– რას აკეთებდა?

„განსაკუთრებულს არაფერს. კამერისკენ უნდა გამოეხედა. გამოიხედა, მე ობიექტივიდან ვადევნებდი თვალს. მივხვდი, ჩემთვის თამაშობდა. ამას ქალი ყოველთვის გრძნობს“.

კინო დამთავრდა. მაგრამ არ დამთავრდა ამბავი. „არადა, მეგონა, რომ არჩევანი გაკეთებული მქონდა. მეგონა, რომ თავი საქმისთვის უნდა შემენირა — საკუთარი ქორწინება ვერ წარმომედგინა. იმდე-

**„განსაკუთრებული არაფერი. კამერისკენ უნდა გამოეხედა. გამოიხედა, მე ობიექტივიდან ვადევნებდი თვალს. მივხვდი, ჩემთვის თამაშობდა, ამას ქალი ყოველთვის გრძნობს“.**

წლის იყო, გიორგი — 4 წლით უმცროსი, მოჩხუბარი. მუშაობდნენ, იღებდნენ, მერე ლევანი გაქრა. პირველი შოკის შემდეგ მთელმა ჯგუფმა გადაწყვიტა, გადაღებები მაინც დაესრულებინათ. გოი მგელაძემ გამოსავალი სუბიექტურ კამერაში იპოვა — კამერა ლევანი იყო, გადასაღებ მოედანზეც ყველა მისთვის თამაშობდა.

სწორედ იმ დროს მოხდა ის Action, რომელიც უკვე გადაღების

ნად დამოუკიდებელი ადამიანი ვიყავი, რომ ამან მერე ტრადიციული ქართული ოჯახის შექმნაშიც შემიშალა ხელი. თვეების განმავლობაში ვიყავი გადაღებებზე, ტყე-ღრეში დავდიოდი, უამრავ რამეს თვითონ ვწყვეტდი. ამიტომ დაქორწინების შესახებ მოსაზრებაც სპონტანურად შეცვალე. თვითონ გიორგი დამეხმარა. ამ მხრივ ძალიან აქტიური ადამიანი აღმოჩნდა“.

– გამოგვიღი და წავიდეთ, – უთხრა.  
თამრიკომ ზურგჩანთა აიღო და წავიდნენ.

დრო იგივე იყო: ფალიაშვილის ქუჩის ძაღლების წრიალის. ყველა გაგებით.

ტაქსმა მოსაშვილის ქუჩაზე მიიყვანა, ერთ პატარა ოთახში. გიო მგელაძემ შამპანური მოიტანა, თამრიკომ სამთავროს დედათა მონასტრიდან დედების მიერ ნაჩუქარ, იქ კი ჰუმანიტარული დახმარებიდან მოხვედრილ „ვეჯი ბურგერებს“ წყალი დაასხა და კატლეტი შეწვა. ასეთი იყო მათი ქორწილი.

„ტრადიციული ქართული სამასკაციანი ქორწილი ჩვენთვის მთელ თვეზე გადანაწილდა. ქუჩაში მანქანები არ დადიოდა. შუქი არ იყო.

და. თუ სერიალში გოგოლა კალანდაძის გმირი ელოდებოდა ბავშვს, სინამდვილეში – თვითონ თამრიკო იყო ორსულად. გიორგი ნერვიულობდა და ცოლის სახლიდან გასვლას აპროტესტებდა. „როცა პირველად მომთხოვა შინ დარჩენა, მაშინ გავიაზრე, თუ როგორ შეიცვალა ჩემი ცხოვრება“.

თუმცა, ჩხუბი მათ ისე მიიღეს, როგორც ერთთვისანი ქორწილისა და თაფლობის თვის შემადგენელი ნაწილი. ამ ტრივიალურ თემებზე წარმოქმნილ კამათს სანთლის შუქზე გამართული ჭადრაკის პარტიებით აგვირგვინებდნენ. „ეს საუკეთესო პერიოდი იყო“.

1995 წლის თებერვალში დათო დაიბადა. „მერე უკვე, როგორც მთელი ქვეყანა, ისე ჩემი ოჯახიც, თანდათან, ეტაპობრივად დგებო-

## გიორგი ნერვიულობდა და ცოლის სახლიდან გასვლას აპროტესტებდა. „როცა პირველად მომთხოვა შინ დარჩენა, მაშინ გავიაზრე, თუ როგორ შეიცვალა ჩემი ცხოვრება“.

ჩემს გარშემო უამრავი უმუშევარი იყო, მაგრამ ჯიხურებში შამპანური მაინც იყიდებოდა. ვილაც ყოველთვის ახერხებდა ყიდვას და ასე ნაწილ-ნაწილ მოდიოდნენ მოსალოცად. ერთი თვის თავზე მივხვდი, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, გავგიჟდებოდი. ისევ ავიღე ჩემი ზურგჩანთა და სამუშაოდ წავედი. სერიალის „სახლი ძველ უბანში“ გადაღებები დაიწყო“.

ერთი თვის თავზე ყოველ საღამოს „ვეჯი ბურგერებით“ გადახდილი ქორწილი დამთავრდა და დაიწყო პირველი ჩხუბი.

სერიალის გადაღებები კავკასიის ბირჟაზე, პავილიონში მიმდინარეობდა, სადაც ყოველდღე აყალმაცალი იყო და სროლა ისმო-

და კალაპოტში. მეტიც, მგონი, რევოლუციის პერიოდში განვქორწინდით. არჩევნებზე ერთად წავედით და როცა არჩევნები საჭირო აღარ იყო, ჩვენი ოჯახი დაიშალა“.

ტყუილად არავის ეჩვენება, რომ თამრიკო განქორწინებაზე მართლაც ყოველგვარი ტკივილისა და სასონარკვეთის გარეშე საუბრობს. ყველაფერი ისევე ლაღად და თანხვედრილი გრძნობით დასრულდა, როგორც დაიწყო. ისინი ერთად მივიდნენ ამ გადაწყვეტილებამდე, რადგან ერთდროულად მიხვდნენ, რომ სიყვარული დამთავრდა.

„როცა პირველად წავედით ერთად, საკუთარ გადაწყვეტილება-



დათო და თამრიკო კანკი



ზე მთელი გზა მეცინებოდა. ძალიან მიხაროდა, რომ ასე ვიქცეოდი. მიკვირდა და მიხაროდა. ფინალიც ასეთივე მიხარული იყო — ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, იუმორსა და ურთიერთგაგებაზე დამყარებული“.

მოკლედ, სიყვარული დამთავრდა და ეს მათ საქმესაც დაეტყო. სანამ კარგად იყვნენ, ერთობლივი ნამუშევრებიც კარგი გა-

იდგა დაძაბული სიჩუმე, ისევე, როგორც სიყვარულის ახსნის დროს არის ხოლმე“. ბოლოს, სიგარეტის ნაფაზსა და ნაფაზს შორის, ნავსი გატყდა და სათქმელი ითქვა. ორივემ შვებით ამოისუნთქა. გაერთნენ კიდეც. „იმდენად არაფერი გვექონდა საკამათო, რომ ერთადერთი კითხვა გაჩნდა: „ზაური ვის დარჩეს?“

ზაური მძლოლია.

## ბოლოს, სიგარეტის ნაფაზსა და ნაფაზს შორის, ნავსი გატყდა და სათქმელი ითქვა. ორივემ შვებით ამოისუნთქა. გაერთნენ კიდეც. „იმდენად არაფერი გვექონდა საკამათო, რომ ერთადერთი კითხვა გაჩნდა: „ზაური ვის დარჩეს?“

მოსდიოდათ: ღვინო „სათავადო“ და შეყვარებული კაცების არაყი. მაყურებელმა ორივე რეკლამა შეიყვარა, იმიტომ, რომ წყვილმა მასში მთელი გრძნობა ჩადო. თითქმის სულ ასე იყო — თავიანთი სიყვარულიდან გამომდინარე, საქმესაც ერთგულებით ეკიდებოდნენ. ბოლო პერიოდში ერთად შექმნილი ნამუშევრების გახსენება კი თამრიკოს არც სურს – გრძნობის გაცეცხება საქმეშიც გამოვლინდა და იმიტომ.

მარიკა თხელიძემ პრეზენტაციაზე მთელი ოჯახი დაპატიჟა – გიორგი, თამრიკო და დათო. ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე მივიდა. იმ საღამოს გადაწყვიტეს, ოჯახურ პრობლემაზე ლიად ესაუბრათ.

რამდენიმე ხანში თამრიკოს დათო ნიცაში მიჰყავდა, ფესტივალზე. ფიქრობდა, რომ შვილს მშობლების დაშორებით გამოწვეულ ტრავმას მოგზაურობით გაუიოლებდა. ერთმანეთსაც ამის გამო შეხვდნენ, მაგრამ არა თამრიკოს ან გიორგის სახლში, ან კაფეში, არამედ საქმიან ადგილას, ნოტარიუსთან, სადაც გიორგის წერილობითი თანხმობით უნდა დაედასტურებინა, რომ დედას ბავშვს საზღვარგარეთ ატანდა.

„მოსანევიად გარეთ გამოვედი. ვიდექით კოსტავაზე, კარგი ამინდი იყო, ვენეოდი და არ ვიცოდით, პირველად რომელს გვეთქვა.

### „რალაც უნდა გითხრა“

დიდ სიყვარულს ასე გმირულად მხოლოდ ძლიერი ქალები ელევინან ხოლმე. იმის აღიარება, რომ ისტორია დამთავრდა, როგორც წესი, უჭირთ. თამრიკო კი მიიჩნევს, რომ ძლიერია. კერპები არ ჰყავს, მაგრამ ყოველთვის ალაფრთოვანებად სამი ქალი, სამივე გერმანელი: მარლენ დიტრიხი, ლენი რიფენშტალი და მარია ბრაუნი — ისე, როგორც ფასბინდერის ფილმშია. „როცა ფაშისტობას აბრალებდნენ, ლენი ადგა და აფრიკაში წავიდა ფოტოების გადასაღებად... მე ეს ქალები შინაგანი ძლიერების და ურყევობის გამო მომწონს. ფაქტი, რომ ისინი არსებობდნენ, მეც მამხნევეს“.

ძლიერი ქალები ტრავმებიც შემართებით იტანენ. თამრიკოსთვის თვითმფრინავის ბიჭების ისტორია ძალიან ახლობელია. ერთად ნახეს ფილმი თვითმფრინავის გატაცების შესახებ, საიდანაც რადიკალური პროტესტის იდეა დაიბადა. თამრიკომ ნანახი უმალ დაივიწყა, ბიჭებმა — არა. თამრიკოს მეგობარს, დათო მიქაბერიძეს სახეზე შეთქმულის იერი დაედო. მისი იშვიათი ფირფიტებითა და ათასგვარი საინტერესო ნივთით სავსე ოთახიც, რომელიც მთელს სამეგობროს უყვარდა, თანდათან გაიძარცვა; მთელი სივრცე და აურა ბიბლიამ



გიორგისთან სახლში, თამრიკოს ნამუშევრების ფონზე

დაიკავა. თამრიკოსთვის მისი საქციელი იდუმალების ბურუსში გაეხვია, მაგრამ ყურადღება მაინც არ მიაქცია, ეგონა, რომ სიყვარულის ბრალი იყო. ერთ საღამოს, მეგობრის სახლიდან დიდი მხიარულების შემდეგ, შინ ბრუნდებოდნენ. დათო მოულოდნელად დასერიოზულდა. და ძალიან უცნაური ხმით მიმართა: „რალაც უნდა გითხრა...“ მაგრამ თამრიკომ მეგობრის სახლიდან გამოყოლილი ალტკინებული ხალისით უპასუხა და დათომაც აღარაფერი თქვა.

მერე მოხდა ის, რაც იმ ღამეს დათომ მას არ უთხრა. ქვეყანა ამოტრიალდა. ყველაფერი გადაფასდა. ახალი ათვლის წერტილი გაჩნდა. წარსულს ჩაბარდა რომანტიზმის ხანა, როცა გაცნობიერებული, თუ გაუცნობიერებელი პროტესტისთვის ქუჩის კოსტიუმირებული შოუებიც კმაროდა; როცა ხან „ბონი და კლაიდის“ დღე ჰქონდათ, ხან — ამერიკული ვესტერნის და ქუჩებსაც შესაბამისად გამოწყობილები იპყრობდნენ. მერე გამოვილიდა ვილაც გიტარით, დათო მიქაბერიძე მივიდოდა, სთხოვდა გიტარას და თამრიკოსთან ერთად, ექსპრომტად, ფოტოს იღებდა — თამაშით, მხიარული შესტიკულაციით.

ერთხელ გრამოფონის საღამოც მოაწყვეს. დათოს გოგო მოსწონდა. გოგო ავად იყო. დათომ მისთვის გრამოფონის ჩუქება გადამწყვიტა. კონტექსტიც მოუფიქრა. თამრიკომ ოციანი წლების კაბა ჩაიცვა, დათო — გეტსბივით გამოეწყო. ხელში გრამოფონი ეჭირათ და მიდიოდნენ დაბადების დღეზე — რეალობიდან სრულიად ამოვარდნილები.

იმ დროს თბილისში სხვანაირი ბიჭები ცხოვრობდნენ. ისეთი სხვანაირები, რომ ბევრს, შეიძლება, არც გაუმართლა და ასეთებს ველარასდროს შეხვდებოდა. „ბოლოს არ ვიცი, როდის ვნახე ასეთი მამაკაცები, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო და უფრო იცვლება ყველაფერი. ვცდილობ, თინეიჯერების თაობაში ჩავიხედო. ვაკვირდები იმ ბავშვებს, ბასას გადაღებებზე რომ მოდიან ხოლმე, მაინტერესებს, აქვთ თუ არა ასეთი ურთიერთობები. რალაც მსგავსებას ვხედავ, მაგრამ იმ რომანტიკას, რომელიც წინათ იყო, მათ სამყაროში ვერ ვპოულობ ხოლმე... აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულად მიხარია ხოლმე, იმ პერიოდის მეგობრებს რომ ვხვდები. საახალწლო პროექტზე ჩვენთან ერთად გოგა ჩხეტიამაც იმუშავა. დიდი ხნის მერე შევიყარეთ, და მივხვდი, რომ ძველი სამეგობრო ისევ ვიკრიბებოდით. ძალიან გამეხარდება, თუ ლადო მასიათანაც მომიწევს ოდესმე მუშაობა. დანარჩენები? იურა ბერიშვილი დღემდე ზის თავის სახლ-სახელოსნოში და იმას აკეთებს, რასაც წინათ — ხატავს...“

## ფინალი

თამრიკო მხატვარია, მაგრამ იმდენადაა კინოსთან შეზრდილი, რომ საკუთარი ცხოვრების შესახებაც კინონით საუბრობს: „ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი რომანები კინოს ჰგავს“; „ჩემი სიყვარული action-ში მოდის“; „ეს ამბავი ისეთი საინტერესოა, რომ კინოს სიუჟეტად აღვიქვამ“... — ასე ლაპარაკობს თამრიკო და თუ მას მივბაძავთ, გამოდის, რომ ამ ისტორიასაც დასასრული კი არა — ფინალი აქვს. ოღონდ, ყველა ფინალი ხომ პირობითია და სინამდვილეში ახალ დასაწყისს გულისხმობს — მომავალ დროს.

**ასე შეიტყო თამრიკომ ყველაფერი. მერე მოხდა ის, რაც იმ ღამეს დათომ მას არ უთხრა. ქვეყანა ამოტრიალდა. ყველაფერი გადაფასდა.**

ჯერ კი ისევ აწმყო განგრძობითი დგას. თამრიკო ისევ შეუსვენებლად მუშაობს და დათოს ზრდის. დათო 10 წლისაა. დედის და მამის განშორებას მტკივნეულად არ აღიქვამს, რადგან ბავშვი თავიდანვე მიხვდა, რომ ამ გაყრაში არ იყო არც ჩხუბი და, რაც მთავარია, არც ტყუილი. მიხვდა, რომ ყველაფერი სტრესის გარეშე, ბუნებრივად მოხდა; რომ დედა და მამა ასე უკეთ გრძნობდნენ თავს. ეს ჰარმონიული არჩევანი ბავშვის ხასიათშიც ვლინდება. „ძალიან არ მინდო-



სალვადორ ღალისთან ერთად რომში

და, მამასავით მოჩხუბარი გამოსულიყო, მაგრამ ვერაფერი გავანწყვე. დათო ძალიან სხარტია და აღმოსავლურ ორთაბრძოლებზე გიჟდება. ანუ, თუ მამამისი უსისტემოდ ჩხუბობდა, დათომ სისტემა მოუძებნა ამას — ეს უკვე ჩემი დეტალია. უყვარს წიგნებიც, რის გამოც დედაჩემი მე მამსგავსებს, რადგან იყო დრო, როცა წიგნებს მიმალავდნენ — ერთხელ საყინულეშიც კი ვიპოვე...“

თამრიკო კი მუშაობს. ტრიესტიდან და ბერლინიდან დაბრუნებული, მომავალი დროის დადგომას ელის, როცა წვრილ-წვრილ, მი-

მდინარე პროექტებს რალაც დიდ და უფრო ამბიციურ კინოპროექტს მოაყოლებს. ჯერ ამაზე ლაპარაკი არ უნდა. მერე უფრო დიდი ეფექტი ექნება. ამასობაში კი ცხოვრება დამხმარე ზმნა „ყოფნისა“ და საუღლებელი ზმნის ing-იანი ფორმით გრძელდება. ამავე დროში ერთი უწყვეტი, მუდმივად ბრუნვადი მოქმედება ხდება. თვითონ გამოიცანით, რაც. ■



# წიბასა

“ერთხელ ვილაცამ დარეკა, წიბასას სთხოვეთო. მამამ ყურმილი აიღო: რომელი წიბასა გინდათ, მთლად უფროსი, საშუალო, თუ პატარებიო. „ყველანი წიბასები ვართ. აბა, ამხელა გვარის თქმა არ გინდა?“ თუმცა ოფიციალურად მეტსახელი წიბასა ამერიკაში შეარქვეს. გურამს მაშინ ნიუ-იორკში ჰქონდა გამოფენა. „იქიდან დამირეკეს, შენ გიჟი ხომ არ ხარ, ამხელა გვარი რა ამბავია, უნდა შევამოკლოთო. რაც გინდათ, ის ჰქენით-მეთქი.“ ასე გამოიფინა ნიუ-იორკში გურამ წიბასის ნამუშევრები. „მერე ვიფიქრე, ალბათ ებრაელი ვეგონეთ. ექსპოზიცია გოლდშტაინის გალერეაში შედგა. გაზეთში სტატიაც ვილაც ებრაელმა ჟურნალისტმა დაწერა. გახსნაზე 16 ნამუშევარი გაიყიდა, ორი ფოტო ბრუკლინის მუზეუმმა იყიდა. ბრუკლინის მუზეუმი კი მოგესხენებათ... ალბათ იფიქრეს, ჩვენს ძმას იქ ხომ არ უჭირსო და.....“

ავტორი: თამარ სუხიშვილი  
ფოტო: დავით მესხი



გურამ ნიბახაშვილი, იგივე ნიბახა. გეცოდინებათ, ნიბახას ყველა იცნობს. არ იცით?! თქვენ რა, საქართველოში არ ცხოვრობთ? ფოტოგრაფი — ასე უწოდებს თავის თავს, სხვები ფოტოხელოვანს ეძახიან. სხვათა შორის, შესანიშნავი, დაუზარელი და, რაც მთავარია, საინტერესო მოსაუბრეა. მისგან ყოველთვის რაღაც სიახლეს ვლით და თანაც, ყოველთვის აქვს სტუმრებისთვის კარგი ჩაი, რაც საბჭოთა დროს ჩაის კულტურით განთქმულ საქართველოში ახლა, სამწუხაროდ, იშვიათობად ქცეულა. არა, თუ ჩაის არ სვამთ, ყავა იყოს.

შაქრით თუ უშაქროდ?

სტუდია დღეს უკვე რელიკვიადქცეული სოცრეალიზმის ატრიბუტებითაა სავსე. ფანჯრის სიახლოვეს, კედელზე ორი პორტრეტია - თამამად მომღიმარი მერლინ მონრო და ხშირ ულვაშებში ღიმილჩაბრუნებული სტალინი. არ იფიქროთ, რომ ჩვენი მასპინძელი გაქანებული სტალინისტია (მერლინ მონროზე ვერაფერს მოგახსენებთ). უბრალოდ, დიდი ხანია დაინტერესებულია კიჩური ხელოვნებით. სტალინიც და მერლინ მონროც ჩარჩოშია ჩასმული. ჩარჩოები ორიგინალურად არის დამზადებული — კინოფირისგან (ერთ რამეს ვერ დაუკარგავ, ყველაფერში ორიგინალურია, თუმცა ამბობს, ჩვეულებრივი ვარო). ფირს ცხელ წყალს ასხამდნენ და აჩარჩოებდნენ. ესეც კიჩური მიდგომაა. პორტრეტები ნავთლუღის ბაზარზეა ნაყიდი. ძველი ნამუშევრები არაა, ახალი გაკეთებული უნდა იყოს. სტალინი — სტალინისტებისათვის, მერლინი — ასაკოვანი მექალთანე მამაკაცებისათვის. სტუდიაში კი ისინი ერთმანეთის გვერდზე მოხვდნენ: სტალინი — მერლინისათვის, მერლინი — სტალინისათვის. იდეოლოგიური მტრების ვირტუალური ინტიმი.

#### ნიბახას „შაპარაკაპი“

სკამზე მილან კუნდერა დევს. ახალი გამოცემა. იასამნისფერი ყდით (ამასობაში რომანის სათაური კი დამაფიქსდა. ეგ ხომ ბევრს წერს). ტელეფონთან გადაშლილია კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“. „ალისას“ ხშირად კითხულობს — მარტივი წასაკითხია და თან ეს აბსურდიც ძალიან მიმზიდველია. „ყოველი წაკითხვისას რაღაც სიახლეს აღმოაჩენ ხოლმე.“ კიდევ? — კიდევ ძალიან მოსწონს ჯოისის „ულისე“. თუმცა „ულისე“ მხოლოდ ერთხელ წაიკითხა — „იმას მეორედ რა წამაკითხებს.“ როცა ნიკო ყიასაშვილის ცნობილი თარგმანი გამოიცა, მაშინაც ასე უფიქრია: ამხელა წიგნს რა წამაკითხებსო, მაგრამ „მერე საკუთარ თავს ვუთხარი, სირცხვილია, ბოლოსდაბოლოს, ერთ წელიწადში ხომ წავიკითხავ-მეთქი. თავიდან გამიჭირდა, მერე გამიტაცა. ბოლოს კი მივხვდი, რომ მთლიანად ნაწარმოების გავლენის ქვეშ მოვექეცი.“ ეს ყველაფერი ქვეცნობიერად მოხ-



სტუდია დღეს უკვე რელიკვიადქცეული სოცრეალიზმის ატრიბუტებითაა სავსე. ფანჯრის სიახლოვეს, კედელზე ორი პორტრეტია - თამამად მომღიმარი მერლინ მონრო და ხშირ ულვაშებში ღიმილჩაბრუნებული სტალინი.





თბილისის ერთი ტიპიური უბანი, უფრო სწორად – გარეუბანი. ტყე, რომელიც ახლა თითქმის გაჩეხილია და ძველი სასაფლაო, პატარა გორაკზე შეფენილი. სკოლის ფანჯრები სასაფლაოსკენ მიმავალ გზას გადაჰყურებს. „იმასაც შევეჩვიე, რომ ადამიანი იბადება და კვდება. ხშირად ამას ძალიან გვიან ერევიან ხოლმე.“

ირონიული რეალობა – ადამიანის ფოტოს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოყენება: პასპორტი და სასაფლაო. დამთრგუნველია, არა?

„პასპორტში მიწერია, რომ ნითელწყაროში დავიბადე. მართლაც ეგრე იყო. დედაჩემი თავის მშობლებთან სტუმრად იყო ჩასული და იმ დროს დავიბადე. იქ რამდენი ხანი დავყავი, რა თქმა უნდა, არ მახსოვს. გავიზარდე კუკიაზე. ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა. კუკიაზე ყველა ბავშვი ასე იზრდება. ძალიან მაგარი ადგილია. აქეთ ხუდადოვის ტყე, იქით - სასაფლაო. ადრე, მგონი, აქ სოფელი იყო. ტიპიური გარეუბანი, ინტერნაციონალური. უბნური ცხოვრება: ყველა ყველას იცნობს, ყველა ყველას მეგობარია. ერთი დიდი „ობშიინასავითაა“. ასეთი რაღაცეები შემდგომში ადამიანის ცხოვრების წესზე, ფსიქიკასა და, საერთოდ, ყველაფერზე გავლენას ახდენს. თუმცა იმას არ ვამბობ, სხვა გარემოში რომ მეცხოვრა, ფოტოგრაფი არ გამოვიდოდი-მეთქი. ყველა ფოტოგრაფი ხომ კუკიაზე არ გაზრდილა...“

ამ უბანს გარემეთათვის ცოტა შელახული სახელი ჰქონდა. თუმცა ვენდოთ ფოტოგრაფის თვალს: „ესეც სტერეოტიპია. ჩვეულებრივი უბანია. ალბათ პერიფერია რომ იყო, იმიტომ ჰქონდა ასეთი სახელი. ხშირად, უბრალოდ, თუ ვინმეს რაიმე ჰქონდა გასარჩევი, შუა ცენტრში, ლენინის ძეგლის წინ რომ არ გაერჩიათ, აქ ამოდიოდნენ ხოლმე. შორს იყო და ნაკლები ყურადღება ექცეოდა. თორემ ისე? ლხინია, ერთად არიან, ჭირია, ერთად არიან. კომუნასავითაა. სხვაგვარად ვერ იცხოვრებ. იმას უჭირს – შენ უნდა

## ჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა. კუკიაზე ყველა ბავშვი ასე იზრდება. ძალიან მაგარი ადგილია. აქეთ ხუდადოვის ტყე, იქით - სასაფლაო.

და. მხატვრული შთაბეჭდილებები ყველაზე კარგად მის ფოტონამუშევრებში აისახა. ასე შეიქმნა გურამ ნიბახაშვილის ფოტოსერია „ულისეს“ თემაზე. სერიის ათიოდე სურათი ბატონი ნიკოსთვისაც უჩუქებია. გურამ ნიბახაშვილის კოლექციაში კი ნიკო ყიასაშვილის ხელნაწერიც ინახება — ნაწყვეტები ჯოისის თარგმანიდან...

### პირველი გამოფენა

პირველი გამოფენა 1985 წელს ჰქონდა. მაშინ ბარათაშვილის ხიდის ქვეშ ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა საგამოფენო დარბაზი: „მანამდე კომბლესავით ვმუშაობდი. ფოტოებს ვიღებდი და ჭერში ვანყობდი... მერე კი თავხედობა გამოვიჩინე. თანაც ყველა ფოტოგრაფის ტელეფონის ნომერი გავიგე, დავურეკე და გამოფენაზე დავპატიჟე.“ უცნობი ფოტოგრაფის გამოფენაზე უამრავი ხალხი მოვიდა. „მაშინ ურთიერთობის დეფიციტი იყო. ახალი ფოტოების დათვალიერებაზე მეტად მხატვრებსა თუ ფოტოგრაფებს ერთმანეთთან დალაპარაკება უნდოდათ.“

### ნიბახას უბნური ცხოვრება

„კატა უნდა წაიღო სასაფლაოზე შუალამისას, ისეთ ადგილას, სადაც ბოროტი ადამიანი ასაფლავია. და აი, შუალამისას მოვა ეშმაკი, შეიძლება, ორი ან სამიც; მაგრამ მათ ვერ დაინახავ, მხოლოდ გაიგონებ, თითქოს ქარი ზუზუნებსო. შეიძლება ისიც გაიგო, ერთმანეთს როგორ ელაპარაკებიან. როცა ისინი მკვდარს წაათრევენ, უნდა ესროლო მკვდარი კატა და თან თქვა: „ჯოჯო მისდევს მკვდარს, კატა მისდევს ჯოჯოს...“

მარკ ტვენი, „ტომ სოიერის თავგადასავალი“

„მანამდე კომბლესავით ვმუშაობდი. ფოტოებს ვიღებდი და ჭერში ვანყობდი,... მერე კი თავხედობა გამოვიჩინე. თანაც ყველა ფოტოგრაფის ტელეფონის ნომერი გავიგე, დავურეკე და გამოფენაზე დავპატიჟე.“

მიეხმარო, შენ გიჭირს – ის მოგეხმარება. ეს დღესაც ასეა. მამა ახლაც იქ ცხოვრობს და მეც კვირაში ორი დღე მაინც იქ ვარ.“

აქტიური ქუჩის ცხოვრებით არასოდეს უცხოვრია. „ბირჟაზე ვიდექი ხოლმე?“ – „არა, კაცო, რა ბირჟაზე...“ თუმცა ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. „კი,



VIII თუ IX კლასში იყო, ამ ჟურნალების ფერადმა გარეკანებმა მისი ყურადღება რომ მიიქცია. შეიძლება იმიტომ, რომ იქ შიშველი ქალების ფოტოები იბეჭდებოდა... იმის მერე სკოლის ბუფეტისთვის დანაზოგი ფული სულ ამ ჟურნალებზე მიდიოდა.

ხანდახან იყო ჩხუბები. მეც ვიღაცას ვუცემივარ. ახლა რომ გითხრათ, ვინმე მიცემია-მეთქი, ეგეთი არ ყოფილა. კონფლიქტების მოგვარებაზე ჩვენს უბანში უფრო მარტივად ხდებოდა, ვიდრე სხვაგან.“

„თავისუფალ დროს ჩემთან ან რომელიმე ამხანაგთან ვიკრიბებოდით ხოლმე. ქუჩაში დგომის დრო არც მქონდა, სკოლა, მერე... ისე, კაცმა რომ თქვას, რას ვაკეთებდი? ცოტა ხანს ცურვაზე დავდიოდი, ერთი წელი პიონერთა სასახლეში, ფიზიკის წრეზე ვიარე. რატომ მაინცდამაინც ფიზიკის წრეზე, არა-ვინ იცის. მუსიკაზე ძალით დამატრე-

ვდნენ, მაგრამ ვინ დაგამთავრებინა. ჩემი მონაცემებით როგორ შეიძლება, რომ მუსიკალური დაამთავრო. სახლში ბევრი წიგნი მქონდა. ვკითხულობდი. რომ გითხრათ, კითხვა ძალიან მიყვარდა-მეთქი, არა. თუმცა, თუ რაღაც საინტერესოს წავაწყდებოდი, ვკითხულობდი. ცოტას ვხატავდი კიდევ: როცა ცუდად ხატავ, გინდა, რომ კარგად დახატო. აი, ასეთი ბავშვობა მქონდა“.

#### აქა შიშველი ქალის გამოჩენა

„კოკამ დაადრო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ მამამისის მიერ შედედეთის საერთაშორისო სიმპოზიუმიდან ჩამოტანილი ფრიად უწყინარი ეროტიკული ბუკლეტი და ჩვენ უცხო ხილთა შესატკბობად შემოგვკრიბა, ზაურა გაჯიევა თავისებურად, მძიმედ თქვა:

- სად ნაღდი ქალი? ამას არ უჩანს რამეები.


... ჩემი უბნელია, ვზროსლი კოტე, - განაგრძო გაჯიევა. — რუსეთშია ნაჯდომი. იმას სათვალე აქვს, გაიკეთებ, ყველა ტიტველა გამოჩნდება.“

აკა მორჩილად, „ავვისტოს პასიანსი“

სკოლის სიახლოვეს ერთი კიოსკი იდგა. გამყიდველი უსინათლო იყო. გაზეთებთან ერთად ჟურნალებსაც ყიდდა – მხატვრულსაც და ფოტოგრაფიულსაც, პროფესიულსაც და სამოყვარულოსაც: „ჩენური ფოტორევიუ“, „გერმანული ფოტოგრაფია“, „ფოტო-კინო-მაგაზინი“,

ABSOLUT  
CONTRAST





ამბოჯი 1992 წელი

**„წერთ არ ვწერ. რას დავწერ, წერა სად ვიცი. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, დანერ თუ გადაიღებ. ჩემი დღიურები ჩემი ფოტოებია. რაც ჩასაწერია, ყველაფერს ვწერ. ჩემი პროფესია ამით არის მიმზიდველი.“**

„ბოლგარსკოე ფოტო“, „ჩეხოსლოვაკური ფოტოგრაფია“, „სოვეტსკოე ფოტო“, „ხუდოჟნიკი“ და რა გინდა, სულო და გულო. პირდაპირ, თვალს ჭრიდა. VIII თუ IX კლასში იყო, ამ ჟურნალების ფერადმა გარეკანებმა მისი ყურადღება რომ მიიქცია. შეიძლება იმიტომ, რომ იქ შიშველი ქალების ფოტოები იბეჭდებოდა. ამის გარეშე ჟურნალი ხომ არ არსებობს. მოკლედ, ასეა თუ ისე, ერთხელ

რომ იყიდა და დაათვალიერა, ველარ მოეშვა და იმის მერე სკოლის ბუფეტისთვის დანაზოგი ფული სულ ამ ჟურნალებზე მიდიოდა. ძვირი ღირდა, თავისი ფასი 2 მანეთი იყო და კიოსკში 3 თუ 4 მანეთად იყიდებოდა.

ერთხელ ჟურნალების მთელი დასტა ჩაუვარდა ხელში. ძველ კინოთეატრ „ამირანში“ ვილაც ქალი ჟურნალებს დაატარებდა, თან

ასეთ ხმამაღალ რეკლამას უკეთებდა: შიშველი მოდეები, შიშველი მოდეებიო. ვინ არ დაინტერესდებოდა ასეთი რეკლამის შემდეგ. ჰოდა, სრულიად შემთხვევით, 60-იანი წლების „ჩეხური ფოტორევიუ“ შერჩა ხელში. 15-მდე ნომერი იყიდა. წარმოგიდგენიათ იმ ქალის სიხარული?

მერე, IX თუ X კლასში ფოტოაპარატი აჩუქეს, „ჩაიკა“. ექსკურსიებზე რაღაც ფოტოებს იღებდა. ნელ-ნელა გამჟღავნებაც ისწავლა. ამაში მეზობელი გურამ ძიძიკაშვილი და ბიძაშვილი ეხმარებოდნენ. ისინი მოყვარული ფოტოგრაფები იყვნენ. პირველად არაფერი გამოუვიდა, არც მეორედ. მესამე მცდელობა უკვე რაღაცას ჰგავდა, მეოთხე უკეთესი იყო და... მერე უკვე ჟურნალში მოწონებული ფოტოების ასლების დამზადებას ცდილობდა. მოკლედ, ექსპერიმენტებს ატარებდა. „ვერთობოდი. ბავშვობაში როგორ შეიძლება რამეს სერიოზულად მოეკიდო. მე ეგეთი ბავშვი არ მინახავს. ასეთი რაღაცეები უფრო გართობაა, ცოტა შემეცნებაც, ოღონდ არა გამიზნული. თუ ეს გამიზნული შემეცნებაა, ასეთი ბავშვი, უბრალოდ, ცოდოა.“

### **ფოტოგრაფიული დღიურები**

გავრცელებული განმარტებაა: ფოტოგრაფია — „შეჩერებული წამი“. ხშირად მეტი მხატვრულობისა თუ დამაჯერებლობისთვის გოეთეს ფრაზას მოაყოლებენ ხოლმე: „შეჩერდი, წამო!“

„ეს ყველაფერი ზღაპარია. ზღაპარი კარტიე ბრესონის „გადამწყვეტი მომენტიდან“ მოდის: ფოტოგრაფია გადამწყვეტ მომენტს, კულმინაციას აფიქსირებს. სინამდვილეში ეს ასე არ არის. თავად ბრესონიც ყველაფერს დგამდა, ის ინტუიციით გრძნობდა ფოტოგრაფიულ გარემოს და მერე თვითონ რეჟისორობდა.“

აი, თუნდაც, კარტიე ბრესონის ერთი ცნობილი ფოტო - ბიჭი კუთხიდან გამოდის, ხელში ბოთლი უჭირავს. როგორც ამბობენ, ბავშვს ფული გადაუხადა და ერთი 15-ჯერ მაინც გაატარ-გამოატარაო. მერე დანარჩენი კადრები მოსპო, ერთი დატოვა და თქვა — ეს არის გადამწყვეტი მომენტი. ამის მერე ხალხი დარბის და ეძებს ამ გადამწყვეტ მომენტს. „ჩემი აზრით, შეჩერებული წამი არ არსებობს. კადრი დროის მონაკვეთია (მართალია, ძალიან მცირე), რომელშიც გიცხოვრია. ხომ წერ დღიურში, მაგალითად, ამა და

ამ დღეს ორიდან სამამდე ვიყავი აქ. ჰოდა, ეს შენი ორიდან სამამდე არის ეს კადრიც. დროის ის მონაკვეთები, რომელსაც აფიქსირებ და განაზოგადებ, ეს შენი დღიურებია.

წერით არ ვწერ. რას დაწერ, წერა სად ვიცი. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, დაწერ თუ გადაიღებ. ჩემი დღიურები ჩემი ფოტოებია. რაც ჩასაწერია, ყველაფერს ვინერ. ჩემი პროფესია ამით არის მიმზიდველი. მგონია, რაღაცების დაფიქსირება ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც ჩანს, ადამიანს არ ჰყოფნის მხოლოდ ის, რომ თავისთავად არსებობს და უნდა, რომ კიდევ ერთხელ დააფიქსიროს თავისი არსებობა. ამ დაფიქსირების შემდეგ ის სხვა ფორმით იწყებს არსებობას, სხვა განზომილებაში, სხვა სივრცეში, სხვა პარალელურ სამყაროში. ფოტოგრაფიაც პარალელური სამყაროა. და ეს პარალელური სამყაროები იმდენად ძლიერია, რომ ვფიქრობ, ამ პარალელურ რეალობაში უფრო მეტად განვიცდით, ვიდრე ნამდვილ რეალობაში. მაგალითად, ჩვენს ცხოვრებაში უფრო დიდ როლს თამაშობენ არარეალური იმიჯური ტიპები, ვიდრე რეალურები. გინახავთ ოდესმე კლაუდია შიფერი? – არც მე. მაგრამ ის ჩვენს რეალობაში დიდ ადგილს იკავებს. უცებ რადიოს ჩართვა და გახარებენ, რომ მან მეხუთე შვილი გააჩინა. რაში გჭირდება ამის ცოდნა? მაგრამ ხომ იცი. ჩვენც ისევე ვირტუალურად ვცხოვრობთ, როგორც ე.წ. „კომპიუტერშიკები“. რეალობისთვის ადგილი აღარ რჩება. ნებით თუ უნებლიეთ, არარეალური ხატებიც გვაქვს თავში. ის, თუ რა სახეები შემოდის შენში, საშიშიც არის და მნიშვნელოვანიც. ისე, ეს არარეალური სამყაროც ისევე გჭირდება, როგორც რეალური — პური, შაქარი, წყალი, შოკოლადი, ქალი...”

### როგორ მოზრინავდა როიალი ზღვის თაჰზა

სახალისი. მეორე მსოფლიო ომი დამთავრებულია. ხალხი შიმშილობს. ყველაზე ძვირი — ხილია. ერთი ვაშლი ოთუხს ბირად ფასობს. არადა, თუ გინდა, რომ სურავანდს გადაურჩე, ხილი უნდა ჭამო. გამარჯვებულ ჯარს ეპიდემიის საფრთხე ნაკლებად ემუქრება, მათ რაღაც ფული აქვთ შემონახული და ვიტამინებს ეძალეებიან. თუმცა ყველა არა. ომის შემდეგ ერთმა ნაფრონტალმა დიდძალი ქონება დააგროვა, უკვე ყველაფერი აქვს — გაკრიკლებული როიალიც და კიდევ,



**„ფოტოგრაფიაც პარალელური სამყაროა. და ეს პარალელური სამყაროები იმდენად ძლიერია, რომ ვფიქრობ, ამ პარალელურ რეალობაში უფრო მეტად განვიცდით, ვიდრე ნამდვილ რეალობაში.“**


რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ახლა ერთი სული აქვს, შინ როდის დაბრუნდება. სურავანდი შეეყარა და ყველა კბილი დასაცვივდა, მაგრამ მაინც ბედნიერია, სახლში ხელცარიელი რომ არ ბრუნდება... და აი, დემობილიზაციის დროც დადგა. თვითმფრინავი დატვირთა და უკვე ჰაერშია. ზღვას რომ გადმოუფრინეს, თვითმფრინავის ერთი ძრავა გამოირთო და მფრინავებმა ტრაგიკული ხმით აცნობეს: ძრავა გაფუჭდა, ზემდეტი ტვირთი უნდა გადაეყაროთო. ის კაცი ხედავდა, როგორ მიფრინავდა ზღვის თავზე როიალი, სკივრები... კრიჭამეკრული იჯდა, რაღა უნდა ექნა. ყველაფერი რომ გადაეყარეს, მფრინავები მერედა მოუბრუნდნენ სიცილით — ვისუმრეთო. იმას როგორ ეხუმრებოდა, თავად წარმოიდგინეთ. ეს ნამდვილი ამბავია. გურამ ნიბახაშვილს მამამ უამბო. „ტრაგიკულია ეს თუ კომიკური? ვერ გაიგებ. გაურკვეველობაა. აი, ეს არის ომი. ყველაფერი გაუკუღმართებულია.“

მამა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა. ცნობილი ფილოლოგი. ომი რომ დამთავრდა, ექვსი თუ შვიდი წელი ისევ ჯარში მსახურობდა. მანჯურისასთან ომშიც ყოფილა. „შეიძლება ითქვას, ომის შემდგომი პერიოდი უფრო საინტერესოა, ვიდრე თვით ომი. ომი აღარ არის, მაგრამ არიან სამხედროები, რომლებსაც საქმე აღარ აქვთ. და იქ ისეთი ამბები ტრიალებს... ტრაგიკულიც, კომიკურიც...“

ომის თემა გურამ ნიბახაშვილს ყველაზე ნაკლებად აინტერესებს. „ომში გადაღებული ფოტოები, რა თქმა უნდა, საინტერესოა იმ გაგებით, რომ მათი დათვალიერებისას შეიძლება თმები ყალყზე დაგიდგეს. მაგრამ სწორედ ამიტომ არ მაინტერესებს. მე ჩვეულებრივი ცხოვრება უფრო მიზიდავს, უბრალო ყოფა გაცილებით საინტერესოა.“

„ომობანას თუ ვთამაშობდი ბავშვობაში? — ნამდვილად არ მახსოვს. სხვები თუ თამაშობდნენ, ალბათ მეც ვითამაშებდი.“





სახლი ბორჯომი, მთა და ლალო. ფოტო: გურამ მთასაგული

**„ბავშვობაში, ზუსტად არ ახსოვს, მაგრამ, თუ არ ვცდები, ბალის მასწავლებელი მიყვარდა. ისე ხომ არ ვიქნებოდი, ვილაც მეყვარებოდა...“**

**წიგნის Love Story**

„ბავშვობაში, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, თუ არ ვცდები, ბალის მასწავლებელი მიყვარდა. ისე ხომ არ ვიქნებოდი, ვილაც მეყვარებოდა...“ მეუღლე – მანანა ჯავაშვილი უნივერსიტეტში გაიცნო. კურსელები იყვნენ. ერთად სწავლობდნენ ქიმიის ფაკულტეტზე. ახლა ნამდვილად ვეღარ იხსენებს, მაშინვე, ანუ ერთი ნახვით შეუყვარდა თუ არა. მოკლედ, რა მნიშვნელობა აქვს. „რომ შევავაბი, თუ როგორ ამბობენ? მოკლედ, გადავწყვიტეთ, რომ ერთად გვეცხოვრა. მაშინ პატარები ვიყავით (მაშინდელი გაგებით). მშობლებისთვის ჩვენი გადანწყვტილების გამხელა დიდი პრობლემა იყო. არც კი ვიცოდით, ეს როგორ უნდა გაგვეკეთებინა. პოდა, ტრადიციულ მეთოდს მივმართეთ — გავიპარეთ.“ გურამი ეს-ესაა 20 წლის გამხდარიყო, მანანა 19-ის იყო.

გაპარვაში გურამს და მანანას მეგობრები დაეხმარნენ. როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მშობლების გარდა, ყველამ ყველაფერი იცოდა. ერთ საღამოს კურსელები საქეიფოდ წავიდნენ. ეს ქეიფიც „ჩანყობილი“ იყო — შეყვარებულებს ბილეთები ღამის მატარებელზე ჰქონდათ აღებული და დრო ხომ უნდა გაეყვანათ. მანამდე მეგობრებთან ერთად გეგმები დააღაგეს, ვინ უნდა ასულიყო მანანას მშობლებთან, ვინ — გურამის მშობლებს უნდა დალაპარაკებოდა. შეყვარებულ წყვილს მეგობრები აქტიურად გულშემატკივრობდნენ. ახლადშექმნილი ოჯახის ბიუჯეტზეც კი იზრუნეს და ფული შეაგროვეს. ჩანაფიქრი ასეთი იყო: ფული ბოლო მომენტში უნდა გადაეცათ, რომ ახალგაზრდებს არ ეუკადრისათ და ვერც უკან დაბრუნება მოეხერხებინათ. ამ რთული ამოცანის შესრულება დათო თავართქილაძეს დაევალა. ქეიფზე ახალგაზრდები ისე შეზარხოშდნენ, რომ კაი დროს გაახსენდათ საჩუქარი. დი-

დხანს მისდევდა დათო მატარებელს. „ჩვენ უკვე მატარებელში ვიყავით და ვერაფრით ვერ მივხვდით, რატომ მოგვდევდა ეს ბიჭი უკან... ასე გავიპარეთ.“

გაჩერება — სოხუმი. არ გეგონოთ, რომ გაგანია ზაფხული იყო. მოქმედება ზამთარში ხდებოდა, თებერვალში. „მოიცა, რა რიცხვი იყო? ქალებს ეგეთ რამეებზე გართულება გაქვთ ხოლმე, მამაკაცებს ხშირად საყვედურობენ - როგორ არ გახსოვს შენი ქორწინების დღეო? ვერ გამიგია, რატომ უნდა მახსოვდეს? თუმცა მოიცა, მახსოვს, მახსოვს...“

25 თებერვალი — საქართველოს გასაბჭოების დღე. „რამდენიმე კვირით ადრე, 1 თებერვალს 20 წლის გავხდი (იცინის). არც ისე პატარა ვყოფილვარ. მანანა ერთი წლით პატარა იყო.“

მოკლედ, ასეა თუ ისე, გურამს და მანანას თავი დიდებით ეჭირათ. სერიოზული სახით მივიდნენ რომელიღაც სასტუმროში და ოთახის დაქირავება ითხოვეს. მაგრამ...

ფინალი უკვე გასაგებია. „შემოგვხედეს და გვითხრეს, აბა დაახვიეთ ახლა აქედან, სასტუმრო არა, ტოროლო.“ მაშინ ახალგაზრდებს ქორწინების მოწმობის გარეშე სასტუმროში ვინ შეუშვებდა. ასე აღმოჩნდნენ თებერვლის სუსხიან დილას უცხო ქალაქში. ახლა აღარც ახსოვთ, რატომ აირჩიეს მაინცდამაინც სოხუმი შუა ზამთარში. ალბათ ზაფხულის ზღვის რომანტიკის გამო, „თორემ წადი რა, მაგალითად, ნითელწყაროში, სადაც მთელი ბავშვობა მქონდა გატარებული და ყოველი კუთხე-კუნჭული ნაცნობი იყო.“ რაღა უნდა ექნათ ღია ცისქვეშ? პირველი, რაც მოაფიქრდათ, კულინარიული პრობლემის მოგვარება იყო. იქვე, ერთ ფაცხაში გადასარევე აჭარულ ხაჭაპურს აცხობდნენ. მერე ნახეს ფილმი - კომედია „ოთხი მუშეკეტერი“ და თადარიგიც დაიჭირეს: უკან, თბილისში დასაბრუნებელი ბილეთები აიღეს. მაგრამ საღამომდე სადგურში ხომ ვერ ისხდებოდნენ, დრო როგორმე ხომ უნდა გაეყვანათ?

ფირი ხელახლა იხვევა. ისევ სახაჭაპურე, ისევ ფილმი... „იმ დღეს სამჯერ ვჭამეთ აჭარული ხაჭაპურები და ორჯერ ვნახეთ ერთი და იგივე ფილმი.“ ამასობაში სადგურზე წასვლის დროც მოახლოვდა. ესეც თქვენი საქორწინო მოგზაურობა. თუმცა ეს ერთი დღე სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მშობლები (ორივე მხარე) შვილების ქორწინებას შეგუებოდნენ.

**მოჯახობა**

„ჩემს ბავშვობაში ინდური ფილმების ბუმი იყო. შესაბამისად, ჩემს ვირტუალურ რეალობაში, ბრიჯიტ ბარდოს მაგივრად, ზიტა და გიტას ტიპის ქალები ცხოვრობდნენ. ლამაზი შავგერმანი ქალები მომწონს. ჩემი ცოლიც ძალიან ჰგავს ლამაზ ინდოელ ქალს. ერთია, რომ შუბლზე ხალი არა აქვს...“ ერთხელ ძალიან სასაცილო ამბავი გადახდათ თავს. გურამი და მანანა გერმანიაში იყვნენ. სადღაც წავიდნენ ექსკურსიაზე, ციხესიმაგრეზე უნდა ასულიყვნენ. იქამდე გრძელი გზა იყო. ამხელა გზის გავლა დაეზარათ. მოდი, მოკლეზე გადავჭრათო, იფიქრეს. „საბჭოთა ცნობიერება რომ გაქვს, თორემ წადი რა ჩვეულებრივი გზით.“ მანანას თეთრი თუ მოვარდისფრო კოსტიუმი აცვია. ნამდვილ ინდოელს ჰგავს, რადჰას. ლობზე მიძვრიბიან. უეცრად ალყაში აღმოჩნდნენ. თეთრი, ქერა ბავშვები ნაძვის ხესავით ეხვევიან, წრე შეკრეს და რალაცეებს მღერიან. „უამრავი ქერა ბავშვი და ჩვენ ორი – შავი“. ბავშვები გაკვირვებულები შესცქერიან მანანას, ხელს



სახლი. ფოტო: ირა პიავილი

**გურამს და მანანას თავი დიდებით ეჭირათ. სერიოზული სახით მივიდნენ რომელიღაც სასტუმროში და ოთახის დაქირავება ითხოვეს. მაგრამ... „შემოგვხედეს და გვითხრეს, აბა დაახვიეთ ახლა აქედან, სასტუმრო არა, ტოროლო.“**

იშვერენ და გაიძახიან: აღმოსავლეთის პრინცესა, აღმოსავლეთის პრინცესაო. უდემამო ბავშვთა სახლის ეზო ყოფილა. მანანას გულმა ველარ გაუძლო და ატირდა. „კიდევ კარგი, ბავშვებს ვიზები არ ჰქონდათ, თორემ ყველას სახლში წამოიყვანდა.“

ჰყავს სამი შვილი: გიგა, მარიამი და ლადო. „პირველ შვილს რომ ველოდებოდით, გიჟებს ვგავდით. ფეხით სიარული ჯანმრ-

თელობაო და კუკიდან უნივერსიტეტამდე მანანა ლექციებზე ყოველდღე ფეხით დამყავდა. პირველ ლექციაზე ლექტორის გარდა არავინ მოდიოდა. უფრო ამიტომ არ ვაცდენდით. მეცოდებოდა ის კაცი და ვისხედით აუდიტორიაში ორნი — მე და მანანა.... მეოთხე კურსზე ერთი ხანშიშესული ლექტორი გვყავდა. მასხოვს, უკანა მერხზე ვისხედით და მანანამ რაღაც გადმომიჩურჩულა. ლექტორმა შენიშვნა მომცა: ყმანვილო, გადმოვქეით, ეგ ქალი თქვენ გაგაფუჭებთო. და ატყდა ერთი სიცილი...“

„გიგა რომ დაიბადა, აბსოლუტურად არ მქონდა იმის შეგრძნება, რომ მამა გავხდი. მეც და მანანაც სტუდენტები ვიყავით, ლექციებს არ ვაცდენდით. ბავშვი, ფაქტობრივად, დედაჩემმა გაზარდა. მერე, როცა მარიამი გვეყოლა, უკვე სრულფასოვან მამად ვთვლიდი თავს.“ შვილებთან მეგობრული დამოკიდებულება აქვს. „უბრალოდ, მათთან ურთიერთობისათვის ცოტა დრო მრჩება. თანაც სამივენი ძალიან დამოუკიდებლები არიან. მგონია, მათთვის მეგობარი უფრო ვარ, შორეული მეგობარი. აი, მანანა კი ნამდვილი დედაა.“







ბუჩაქი და ბანას, 1993 წელს. ფოტო: იური ბერიძე

### რა უყვარს და რა არ უყვარს

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამოსახულებების ხარისხს, სიზუსტეს და ვიზუალურ აზროვნებას.

თავის დროზე მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ტარკოვსკის „ნოსტალგია“ (თუმცა ტარკოვსკი მისი საყვარელი რეჟისორი არ არის). პირველივე კადრებიდან შეატყო, რომ გამოსახულება იყო სხვანაირი, სხვანაირი და ლამაზი: „მერე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. უბრალოდ, ფირი იყო კარგად დაბეჭდილი. იქ ნაცრისფერი ნაცრისფერი იყო, მწვანე — მწვანე; ხოლო რაც მანამდე ფილმები მქონდა ნანახი, ისინი ცუდად იყო დაბეჭდილი.“

არ უყვარს ე.წ. ბუხ-ეფექტები. „მიყვარს, როცა რალაცას ისრუტავ ნელ-ნელა და მერე ხვდები, რომ მასში რალაც ძლიერი არის.“

უყვარს ყველაფერი ნაღდი, ყოველგვარი არტისტულობისა და კეკლუცობის გარეშე. ყველაზე მეტად მის გაღიზიანებას კეკლუცობა იწვევს.

უყვარს, როცა ყველაფერს თავის სახელს არქმევენ.

შესაბამისად, უყვარს სიურრეალისტები, რომელთაც ასეთი ლოზუნგი ჰქონდათ: „დაარქვით საგნებს თავისი სახელი!“ სიურრეალისტები, დალის გამოკლებით (შეი-

ძლება კიდევ სხვებისაც, ამდენი აღარ ვიცი), რადგან “დალი კეკლუციც არის, პოზიორიც და აფერისტიც“.

ძველისძველი, გაცრეცილი ფოტოები მასში სენტინენტალურ განცდებს არ იწვევს. მასში მონივნებას მხოლოდ ჭეშმარიტი ღირებულებები აღძრავს. „როინაშვილისა და ერმაკოვის ფოტოები იმიტომ კი არ მომწონს, რომ ძველია, ჩემთვის ქალაქის ასახვის მათეული მეთოდია საინტერესო.“

გურამ ნიბახაშვილი რეალისტი. ის არასოდეს ყოფილა რომანტიკოსი, რადგან არასოდეს უცდია რეალობიდან გაქცევა. რაც შეეხება სიურრეალიზმით დაინტერესებას, ეს მიმდინარეობა მისთვის რეალობიდან საინტერესოდ გასვლაა, რეალობის საზღვრების გაფართოებაა, მაგრამ არა გაქცევა. „ცალი ფეხით ყოველთვის რეალიზმში დგანან.“

ვერ ეგუება ტერმინს — შემოქმედება და ამ სიტყვის ხმარებისას ძალიან ფრთხილია. „ჩემი გაგებით, შემოქმედი ღმერთია. იმას, რასაც ჩვეულებრივად აკეთებ, არ შეიძლება შემოქმედება დაერქვას. შემოქმედება შეიძლება ბეთჰოვენის ცხოვრებას უწოდო — ეს თავგანწირვა იყო, ტანჯვა. თანაც, ამას

დროც განსაზღვრავს. დღესდღეობით ჩვენში შემოქმედებაზე საუბარი ძალიან უტრირებული მეჩვენება ხოლმე. წამდაუნუმ ლაპარაკობენ: ამის შემოქმედება, იმის შემოქმედება, ჩემი შემოქმედება ხომ — საერთოდ. ამიტომ ირონიულად ვუყურებ საკუთარ „შემოქმედებას.“

პასიურ დასვენებას ვერ იტანს. ძილი დასვენებად არ მიაჩნია. საღამოობით ტელევიზორს უყურებს, უყვარს მეგობრების წრეში ყოფნა, გართობა. თუ საქმიანი გართობაა, ხომ მთლად უკეთესი. „ვცეკვავ? — კი, ხანდახან ვცეკვავ. კონდიციას გააჩნია. უფრო სწორად, ხალხს გააჩნია. სმით არ ვსვამ. მაგრამ იმდენ ღვინოს ვსვამ, რამდენიც მსიამოვნებს. შესაბამისად, კარგ ხასიათზე ყოველთვის ვარ ხოლმე. ისე, როცა არ ვსვამ, მაშინაც კარგ გუნებაზე ვარ.“

**ტელეფონი რეკავს. ნიბახას სთხოვენ. უნდა გავიდეს. თავის უზარმაზარ ჩანთას მოიგდებს მხარზე. გარეთ ისევ ჭყაპია. ცრის. სტუდიის შესასვლელში (თუ გასასვლელში) ყავის კოლოფი დევს, რკინისაა, ხუთთეთრიანებით სავსე. ისე ლიფტით ვერ ჩახვალ. ლიფტში, ხურდის ჩასაყრელი რკინის ყუთის მაგივრად, ძველი ტელეფონის ავტომატია დამონტაჟებული — ესეც ჩვენი დროის კიჩი.** ■

**PUMA**<sup>®</sup>

**Jamaica**



Her **NEW** fragrance by PUMA.



ავტორი: ანა კორძაია-სამადაშვილი

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

## ჩემი სახლი

### სახლი.

1. ადამიანთა საცხოვრებელი შენობა;
2. გადატ. ერთ სახლში მცხოვრებნი, ოჯახი;
3. გადატ. ბინა, თავშესაფარი;
4. ზოგიერთი კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულების სახელწოდება.

### ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

დიდი მეგობარი, დიდი ერის შვილი, არაჩვეულებრივი მთხრობელი და მხიარული თანამეინახე, რომელსაც ნახევარი მსოფლიო აქვს მოვლილი, და არა ტურისტის, არამედ მსოფლიოს მოქალაქის სტატუსით, ერთ-ერთი შორეული მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ხსნიდა, რომ სახლი სადღაც კი არა, ვიღაცასთანაა. თავის სახლს მან სწორედ იქ მიაგნო, საიდანაც მისი მოგზაურობა დაიწყო: თბილისში, ხრუშჩოვკაში, სადაც ერთ მშვენიერ დილას თავის სატრფოს გამოუცხადა, სიგარეტს ვიყიდი და მოვალო. წავიდა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა – თავის გოგონასთან, თავის სახლში.

არ ვიცით, იპოვეს თუ არა ჩვენმა გმირებმა ასეთი სახლი; არ ვიცით, აქვთ თუ არა ნივთები, რომელთა თან ტარებითაც მუდამ შინ გრძნობენ თავს – ამბობენ, ასეთი რამეებიც ხდებაო. არ ვიცით, ეგებ ზაზუნა ჰყავთ, რომელთან ერთადაც ქვეყანას მოივლიდნენ და სულ შინ იქნებოდნენ. ასეთების არაფერი გამეგება, რაც არ ვიცი, არ ვიცი.

ამიტომ მათი იმ სახლების შესახებ გიამბობთ, რომლებიც ვნახეთ, ანუ – იხ. ზემოთ – იმ საცხოვრებელი შენობების შესახებ, რომლებშიც ისინი, ადამიანები ცხოვრობენ; მათ ირგვლივ თუ სხვა ადამიანები არა, საკუთარი იდეები მუდამ ირევიან – ესეც ოჯახია; ეს სახლები მათი თავშესაფარია და თუკი მათ ნათესავ-მეგობრებს კულტურულ საზოგადოებად მივიჩნევთ – რატომაც არა? ამ სიტყვის მეოთხე მნიშვნელობით განმარტებაც შეიძლება.







## გუგა კოტეტიშვილი

მხატვარი

ჩემი სახლი მომწონს და ძალიან მიყვარს – მამშვიდებს. დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი აქ უფრო ხშირად და თან მარტო. სამწუხაროდ, არ გამოდის: ან საერთოდ სხვაგან ვარ ხოლმე, ან შინ ვარ, მაგრამ მარტო ყოფნას ვერ ვახერხებ...












## მამუკა ბერიკა

მუსიკოსი

ჩემთვის სახლი იურტასავითაა. ნივთების მინიმალური რაოდენობა მაქვს. ძალიან იოლად შემოდის, მთელი ავლა-დიდება ჩავალაგო და სხვაგან გადავიდე საცხოვრებლად.

რატომღაც თვლიან, რომ მარტო მცხოვრები მამაკაცის სახლი უსუფთაო უნდა იყოს და არეული. პირიქით! ასეთი მამაკაცის საცხოვრებელი განსაკუთრებით მოვლილია, თუნდაც იმის გამო, რომ იცის: ერთ დღეს შეიძლება მშვენიერი ქალი ენვიოს.









## ნინო ხოშტარია

ტელეჟურნალისტი

სამი წელია, ამ სახლში ვცხოვრობთ: მე, ბაჩა და კიდევ ბევრი ადამიანი. გიჟი არა ვარ, ჩვენს გარდა აქ მართლა ვიღაცეები ცხოვრობენ. მათთან საუკეთესო ურთიერთობა მაქვს. რომ შემოვდივარ ხოლმე ოთახში და სინათლეს ვანთებ, ვესალმები: „აი, მეც მოვედი“.

საკუთარი სახლი არ მაქვს. შეიძლება ითქვას, რომ არც მქონია. ადრე მინდოდა, ახლა კი მივხვდი, რომ ასე სჯობს, მიჯაჭვული არაფერზე არ უნდა იყო. ეს სახლი მიყვარს, მაგრამ ის არ მმართავს. ზოგი ინტერიერი გკარნახობს, როგორ უნდა იცხოვრო, ჩაი როგორ უნდა დალიო, სტუმრები როგორ უნდა მიიღო... ამ სახლს მე განვაგებ. ხოლო როცა მომბეზრდება, სხვაგან წავალ.











## ლადო ფოჩხუა

მხატვარი

ძალიან ბევრი სახლი მქონია. ახლაც ასე ვარ – შეერთებულ შტატებში და წყნეთში. იქაც – სახლში და აქაც – სახლში...

ჩემთვის სახლი ის ადგილია, სადაც არაფერი მაღიზიანებს და ვთქვათ, კომპაქტდისკებიც ისე მაქვს დალაგებული, რომ ძებნა არ მიწევს.









## მაია კანკავა

ფერმწერი, მუსიკოსი

ჩემი ზოდიაქოს ნიშანი კირჩხიბია. მისი სიმბოლო სახლია, ოჯახი. შესაძლოა, ჩემი ინტერესი სახლის, ინტერიერის მიმართ ამანაც განაპირობა.

ჩემთვის სახლი ცოცხალი არსებაა, გამოკვეთილი, ინდივიდუალური სახის მქონე. ის მატერიალური გარსია, მისი ბინადარნი კი მისი სასიცოცხლო ენერჯიაა. შენი სახლი შენი ნაწილია, შენი მატერიალური გარსი, შენი შემოქმედება.

ადამიანი სიმყუდროვისკენ მიისწრაფვის, სადაც საკუთარ თავთან დარჩენას შეძლებს. ამ მიზნის მიღწევა სხვებთან ურთიერთობასაც განსაკუთრებულ ელფერს სძენს — მარტივად: ბედნიერი ხდები.











## გია გუგუშვილი

მხატვარი

ბავშვობიდან ვხატავ. სახატავ რვეულებში ვხატავდი და პირველი ორი გვერდი ყოველთვის მიფუჭდებოდა ხოლმე. მერე და მერე, რვეულს როცა ვეჩვეოდი, სულ უფრო კარგი ნახატები გამომდიოდა. ბინაც ასეა. ეს ჩემი ბინა საკმაოდ არაკომფორტულია, მაგრამ ისე მივეჩვიე, რომ აქ მე მე ვარ. აქ საკუთარ თავს ვგრძნობ, თუმცა საკუთარი თავით უკმაყოფილო გახლავართ. როგორც საქართველოში ყოფნა, ვიცი, რომ სიგიჟეა, მაგრამ აქ ვარ და არსად მივდივარ.

იმას, რომ სახლი ჩემს ციხე-სიმაგრედ ვიგულო, ვერაფრით მივაღწიე. არ ხერხდება. საერთოდ, რამის გაკეთება ძალიან ძნელია, უამრავი დრო მიდის იმაში, რომ არაფერი არ კეთდება.

ბინა კი ისეთი რამაა, ხომ იცი: როგორი ცხვირიც გაქვს, ისეთია კედელზე შენი ჩრდილიც.









## გაგა ნახუცრიშვილი

პოეტი

სახლი ის ადგილია, სადაც ყველაზე მძიმე წუთებში ყველაზე კარგად გრძნობ თავს.









## ზაზა ლოდია

მხატვარი

სახლი მიყვარს, ერთი-ორი კვირით წასვლა და ისევ სახლში დაბრუნება. რამდენიმე დღეც კი თუ სხვაგან ვარ, მინდა, რომ ჩემ-ბური სახლი მოვიწყო. სახლი ხომ მარტო კედლები არ არის, განწყობაა, მის მიმართ დამოკიდებულება, ადამიანები. ისეთი სახლი უნდა მოიწყო, რომ ანგელოზი მოვიდეს და შიგ დასახლდეს.











## ოთარ ყარალაშვილი

გამომცემელი

ჩემთვის სახლი ძალიან მნიშვნელოვანია. ტიპი ვარ ასეთი. სადაც კი ვცხოვრობდი – არადა, ბევრგან მიცხოვრია – ყველგან ვინყობდი გარემოს.

ეს სახლი ჩემთვის შემოქმედებითი ენერჯის სრულად გამოყენების საშუალება იყო. თავისთავად სახლის კეთება ძალიან საინტერესო პროცესია. უბრალოდ, მერე აღმოვაჩინე, რომ მეტისმეტად ბევრი დრო და ენერჯია მიაქვს, სხვისთვის აღარ მრჩებოდა დრო. ეს აღარ მესიამოვნა, მაგრამ ვეღარ გამოვერიდე, სახლი კი ფაქტიურად მაინც დაუმთავრებელია.









## ირაკლი სანაია

არქიტექტორი, მუსიკოსი

სახლი მიყვარს – ვის არ უყვარს? რასაკვირველია, მიყვარს ჩემი სახლი: დალლილი როცა ვარ, სხვის სახლში ხომ არ მივიჩქარი... დღეს იქაც კი ვერ ვისვენებ, სადაც გავიზარდე – ჩემს სახლში მინდა.

ისე, დრო და შესაძლებლობა რომ მქონდეს, ბევრ რამეს შევმატებდი, მაგრამ ეგ არაფერი, ასეც კარგია.









# ნინო ქათამაძესთან, სულ რამდენიმე წუთით

ავტორი: სოფიო კირვალიძე  
ფოტოექსკლუზივი: დავით მესხი

კლუბი: „აჭარა“, 15 დეკემბერი, 2005 წელი

ნინო ქათამაძის კონცერტი



მრავალი, მრავალი წლის წინათ,  
დედამინას უცნაური ადამიანი მოევლინა.  
ამბობენ, ძალიან ლამაზი იყო, ოქროსფერი,  
და სულ მღეროდა – თავის უფალს  
ადიდებდა, ავდრისღრუბლისფერ კრიშნას  
და მის მარადიულ მეუღლეს, მოცეკვავე  
რადჰას. მორწმუნენი ამტკიცებენ, ეს  
უცნაური კაცი, ჩაიტანია – ადამიანი  
კი არა, თავად უფალი იყო, რომელიც  
ქვეყნიერებას იმისთვის მოევლინა, რომ  
ჩვენში ღვთისადმი მიძინებული სიყვარული  
გაელვიძებინა. არა ტანჯვა-ვაებითა თუ  
ფილოსოფიური სპეკულაციებით, არამედ  
სიმღერით, გალობით, ცეკვით...

ასე იყო თუ ისე, მეთხუთმეტე საუკუნის  
ბოლოს, დასავლეთ ბენგალიაში,  
ნავადვიპაში, ჩაიტანიათან ერთად  
უამრავი ადამიანი ცეკვავდა და  
მღეროდა: „ყოვლისმპყრობელო! მე არც  
სიმდიდრე მწაღია, არც დიდება, არც  
მშვენიერი ქალები, არც მიმდევრები.  
მე არც განათლება მიზიდავს, არც  
მაღალფარდოვანი სიტყვები და არც  
ხელოვნება. მხოლოდ ერთი რამ მინდა –  
შენი სახელის გალობის უმიზეზო სურვილი  
მქონდეს“.

მცოდნე ხალხი ამბობს, ძალიან  
ბედნიერები იყვნენო. მე ვერაფერს  
გეტყვით. მღეროდნენ კია – ეს  
დანამდვილებითაა ცნობილი.



## CURRICULUM VITAE

ნინო ქათამაძე, მომღერალი.  
დაიბადა 1972 წლის 21 აგვისტოს;  
1990-დან 1994 წლამდე სწავლობდა  
ზაქარია ფალიაშვილის სახელობის  
ბათუმის მუსიკალურ ინსტიტუტში,  
ვოკალის ფაკულტეტზე;  
1991-1998 წლებში სხვადასხვა  
ჯგუფებთან და შემსრულებლებთან  
ერთად მღეროდა;  
1994-1998 წლებში სათავეში ედგა  
არასამთავრობო ორგანიზაციას,  
რომელიც სოციალურად დაუცველ  
არტისტებსა და ინვალიდებზე  
ზრუნვას ისახავდა მიზნად;  
1999 წლიდან რეგულარულად იწყებს  
გამოსვლას ჯგუფ Insight-თან  
ერთად საქართველოს, რუსეთისა და  
ევროპის სხვადასხვა კლუბებში.



ნესით, ეს ჩემი ნაამბობის გმირის ცხოვრებაა – რიცხვები, ფაქტები, თარიღები. ძალიან კარგი. ამომწურავი ინფორმაციაა. უბრალოდ, რამდენიმე დეტალი აკლია: ნინო ქათამაძე მთის ძირას დაიბადა, საიდანაც მწვერვალები და ზღვა მოჩანდა. მის სახლთან წყალსაცავი თავის სიმღერას მღეროდა, ელექტროგადამცემი – თავისას, და როცა გოგონა ზემოთ აიხედავდა ხოლმე, ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ, მის ირგვლივ კი ციციანათელები ირეოდნენ. ზემოხსენებული ფაქტები არც იმის შესახებ გვაუწყებს, რომ დილით უნაგირა მთიდან მზე იწვევებოდა, ამოდიოდა, ამოდიოდა – და ყველა მღეროდა. პატარა გოგონას ნამდვილად ესმოდა, როგორ ადიდებდა უფალს ყოველი სული.

მაშინ ყველაზე შორეული მიზნის მიღწევაც კი სავსებით შესაძლებელი იყო. იქ, იმ მთის კალთაზე გინდა მოხვედრა? ნება შენია, გზას გაუდექი და მიგიყვანს, აბა, რას იზამს. იმ ოდესღაც პატარა გოგონამ დღესაც ზუსტად იცის, რომ აუხდენელიც შეიძლება ახდეს.

კითხვა: სად ისურვებდა ნინო ქათამაძე ცხოვრებას?

პასუხი: ალბათ, ვენეციაში.

კითხვა: ზღვისა და მზის პრინციპით?

პასუხი: ჰო.

კომენტარი: ნინო ქათამაძეს უმზეობა არ უყვარს.

ნარმოიდგინე, რომ ცა გაიხსნა, კეთილმა ანგელოზმა გადმოგხედა და გითხრა: ინატრე, ნინო. ის ერთი, სანუკვარი სურვილი მითხარი და აგიხდება. რას იტყვი?

აღმოჩნდა, რომ ნინოს, ჩემგან განსხვავებით, აზრადაც არ მოსდის, რომ ანგელოზი გახსნილი ზეციდან გადმოხედავს, თუმცა დარწმუნებულია, რომ სასწაულები ხდება. „გჯეროდეთ სასწაულებს!“ ეს სასწაული აქვეა, არავინ იცის, სად იჩენს თავს: მატარებლის ბაქანზე თუ ბრბოში. თავს რომ იჩენს, ამაში ნინოს ეჭვი არ ეპარება. მისი ყველაზე სანუკვარი, ბავშვობიდან გამოყოლილი ოცნება კი ის ყოფილა, რომ თვითონ გადაიქცეს კეთილ ჯადოქრად – სადღაც, მთაზე, კობტა სახლში იცხოვროს... კაცმა რომ თქვას, ნაწილობრივ, ნინოს ეს ოცნება უკვე აუხდა: პატარა, ლამაზ სახლში ცხოვრობს. ერთი ბენო ეზოში ზღაპრული ხეც იზრდება. კატაც ჰყავს, თურმე პია ჰქვია (პია-ნინო!) – დიდი, რუხი, ფუმფულა, როგორც კეთილ ჯადოქარს შეეფერება; ხოლო სიხარულის დარიგებაში – ნინო ქათამაძე უშურველია.

ამჯერად კვლავ შევხვდი. სავარძელში ფეხმორთხმული ნინოს შემყურეს, ის სახეები მახსენდებოდა, რომლებსაც გზად ვეყრებოდი ხოლმე: იმ ცნობისმოყვარე, მოსიყვარულე გოგონებს გრძელ თმაში ყვავილები ჰქონდათ ჩანწული; პაციფიკით დამშვენებული მაისურების გაუხდელად ტარების გამო მხოლოდ იდაყვებამდე გარუჯულები, საღამოობით სანაპიროზე დანთებულ ცეცხლთან ჩაცუცქედებოდნენ ხოლმე და კონსერვის ქილებისა და სავარცხლების თანხლებით მღეროდნენ: „დახედე რუკას, ტარტუში მივიდივართ“. მხიარული დრო იყო, და საერთოდ, „მიყვარს შეშლილები, რომელთაც გააფთრებით სწყურიათ სიცოცხლე, ენატრებათ საუბარი, გადარჩენაზე ოცნებობენ; რომელთაც ერთბაშად სურთ ყველაფერი; რომლებიც ფარ-ხმალს არასოდეს ყრიან და არასდროს წამოსცდებთ უხამსი სიტყვა. ისინი ყოველთვის იწვიან, იწვიან, იწვიან.“ – ამ სიტყვებს ჯეკ კერუაკს დავესესხე, უკეთ მაინც ვერ ვიტყვოდი, არადა, თქმა მინდოდა, რადგან ნინო ქათამაძის შესახებ ვსაუბრობთ.

არ ვიცი, როგორია სინამდვილეში ნინო ქათამაძე. ვფიქრობ, ეს არც არავინ იცის, და მისი ცხოვრების დეტალების ცოდნა არც არაფერს შეგვმატებს. მთავარია, რომ მღერის, და როგორც მისი კონცერტის დროს ჩემს ზურგსუკან მჯდომმა უცნობმა ბრძანა, „ეს სიმღერა კი არა, აფეთქებაა!“ სულ მგონია, რომ ყოველი გამოსვლის შემდეგ ხელახლა უნდა დაიბადოს. გარკვეულწილად, მიხარია კიდევ, რომ მისი პოლიტიკური მრწამსისა თუ სასიყვარულო თავგადასავლებისა არაფერი გამეგება. ამჯერად ის ჩემთვის საუკეთესო პრინციპის ხორცშესხმად რჩება: ცხოვრობს, მღერის და უყვარს.



**ვშიშობ, რომ ნინო ქათამაძეს „ჩემოს“ ძნელად თუ უწოდებს ვინმე. ის ყველას უმღერის. როგორც თვითონ ამბობს, პირადად ვინმეს მიმართ გრძნობა, დიდი-დიდი, ერთი ფრაზის დასასრულისთვის იყოს შთაგონების წყარო.**

რიტორიკული შეკითხვა: რატომ აინტერესებს ყველას, განურჩევლად სქესის, ასაკისა თუ სოციალური მდგომარეობისა, ვის ვინ უყვარს, ვის ვინ ჰყვარებია, ვინ ვინ მიატოვა და ა.შ. და ა.შ.? რატომ აინტერესებთ ადამიანებს სხვისი სიყვარულის ამბები?

გულკეთილი პასუხი საკუთარ შეკითხვაზე: იქნებ იმიტომ, რომ საკუთარი არ აქვთ და სხვისი გულისფრიალი იმედს უღვივებთ, რომ ეს ამბავი ოდესმე მათაც შეემთხვევათ, მათაც ეტყვის ვინმე: „ჩემო ძვირფასო“?

ვშიშობ, რომ ნინო ქათამაძეს „ჩემოს“ ძნელად თუ უწოდებს ვინმე. ის ყველას უმღერის. როგორც თვითონ ამბობს, პირადად ვინმეს მიმართ გრძნობა, დიდი-დიდი, ერთი ფრაზის დასასრულისთვის იყოს შთაგონების წყარო. სცენაზე მდგომი მომღერალი იმდენ ადამიანს უშლის გულს, იმდენ ადამიანს უძღვნის საკუთარ თავს და იმდენის წინაშე რჩება გახსნილი, გაშიშვლებული, რომ მისი საკუთრად და-





„კონცერტის შემდეგ ისეთი გრძნობა გექნებათ, რომ მსგავსი არაფერი გსმენიათ. დიდხანს იქნებით ბალახზე პირალმა წამოწოლილი და თვალს ვერ მოსწყვეტთ ცაზე ნელ-ნელა ანთებულ ვარსკვლავებს“.

„თუ მოაზროვნე ადამიანი ხარ, იგულისხმება, რომ საკუთარ თავს უამრავ კითხვას უსვამ, რომელზე პასუხიც არ არსებობს. შეიძლება მთელი სიცოცხლე აზრებით აივსო და შინ მიმავალი მაინც მარტოსულად გრძნობდე თავს. გრძნობები ყველაზე დიდი ყურადღების ღირსია. მუსიკა ჩემთვის გრძნობაა“.

ერთი ძალიან მაგარი ამერიკელი მომღერალი ქალი

გულების მსურველებს ალბათ ძალიან მძიმე განცდები ეუფლებათ. ნინოს სახლშიც კი, როცა მისი თხუთმეტწუთიანი სტუმარი ვიყავი და მსმენელთა რიგებში მდგომის სტატუსი არ მქონდა, ვერაფრით დავიჯერებდი, რომ ამ ქალს – კეთილმოსურნეს, მომღიმარს – ერთ თემაზე ან ერთ პირვინებაზე კონცენტრირება შეუძლია. მაშინაც კი, როცა რაიმეს მიამბობდა, მეგონა, ის საკუთარ სიტყვებს კი არა, რალაც სხვას უსმენდა, მისთვის ახლობელს, ჩვეულს და მერე, თუ მოუნდებოდა, შეიძლება ჩვენთვისაც გაემხილა.

რთული ქვეყნობილი წინადადები და დასრულებული ფრაზები ნინო ქათამაძეს არ ახასიათებს. ის უფრო ემოციურად გადმოგცემთ ნაფიქრს თუ განცდილს და არა ვერბალურად. ეს საინტერესო შეგრძნებაც კია – რალაცის დადევნება, რაც, თუ ჩაავლე, უჩვეულო სახით წარმოგიდგება: გოგონა, რომელსაც ყველი ისე ამოჰყავს, თითქოს საიდუმლო რიტუალს ასრულებდეს; სიმღერა, რომელიც იწყება, ვითარდება, სრულდება და უმაღვე ახლით იცვლება – უწყვეტი წრე, მედიტაციური მდგომარეობა, განუწყვეტელი სიკვდილი და განუწყვეტელი დაბადება. ასეთივეა მისი “სიყვარულიც”: სიტყვა, რომელსაც ის მანტრასავით იმეორებს.

აგრესიული მსმენელი, რომელიც პირველი სიმღერის დროს უმსგავსოდ იქცევა, მეორე სიმღერის მოსმენისას უფრო მშვიდდება, მესამე სიმღერა – და ისიც გრძნობს რალაცას, რას – თვითონ არ იცის. ნინო ამბობს, რომ ეს სიყვარულია. ალბათ ასეცაა. დაუფეროთ, ამ ამბავს უფრო ლოგიკურ ახსნას მაინც ვერ მოუძებნით.

„სიყვარული თვითშემეცნების სხივებია, მისი სურნელი. სიყვარული ყოვლისმომცველი სიხარულია. სიყვარული ისაა, რომ ხედავ, ვინ ხარ – მაშინ ისლა დაგრჩენია, რომ საკუთარი თავი სხვებს გაუნანილო. სიყვარული ისაა, რომ ყველაფერთან, რაც კი არსებობს, ორგანულ, ორგანიზმისმაგვარ ერთობას გრძნობ.“

სიყვარული არ არის სხვაზე დამოკიდებული, სიყვარული არსებობის ფორმაა. სხვა აქ არაფერ შუაშია. კი არ გიყვარს, სიყვარული ხარ. ცხადია, როცა სიყვარული ხარ, გიყვარს კიდევ, მაგრამ ეს მხოლოდ შედეგია და არა წყარო. წყარო ისაა, რომ თავად ხარ სიყვარული.

და მაშინ ხეები და ჩიტები და ღრუბლები და მზე და ვარსკვლავები – ყველა შენშია. სიყვარული ისაა, რომ შენს საკუთარ სამოთხეს ხარ ნაზიარები“.

პასუხი კითხვაზე: საყვარელი ოშო, რა არის სიყვარული?

...2004 წლის 24 მაისს, “Русский Дом. Усадьба. Джаз“-ის შემდეგ ანონიმის გამოძახილი ასეთი იყო: „ნინო ქათამაძე, უბრალოდ, ბუხართან რომ მჯდარიყო და ჩუმად ემღერა, ისიც საკმარისი იქნებოდა – მაინც ყველა სტუმარს შეძრავდა. ეს საოცარი ქალი აჭარიდან ხან თავზეხელაღებულ ჰაუს-ვოკალისტ Scilla-ს მოგვაგონებს, ხან ბოსას წარბმეუხრელ დედოფალ ასტრუდ ჟილბერტოს. კონცერტის შემდეგ ისეთი გრძნობა გექნებათ, რომ მსგავსი არაფერი გსმენიათ. დიდხანს იქნებით ბალახზე პირალმა წამოწოლილი და თვალს ვერ მოსწყვეტთ ცაზე ნელ-ნელა ანთებულ ვარსკვლავებს“. მაშინ ნინო ქათამაძეს „შენელებული მოქმედების ქართული ჭურვი“ უწოდეს, რაც მე ძალიან მომეწონა. იარაღში დიდი რუსი ერი ხომ ჩინებულად ერკვევა. ჭურვი კი იმისაა, რომ ერთხელაც იქნება და აფეთქდება. ისიც ძალიან მისასაღმებელია, რომ ნინო ქათამაძე ქართულად მღერის. გარნმუნებთ, ვინრონაციონალური ვნებები ნაკლებად მალეღვებს. უბრალოდ, ეს მომღერალი სიტყვებს კი არა, გრძნობებს მღერის, გნებათ, ლაპარაკობს კიდევ. და ამ ფონზე სულ არაა აუცილებელი, რომ ყველას ყველაფერი დაუღეჭოს – გამგები ისედაც გაიგებს. ■





## ერთგულების ასი წელი

„გახსოვს გაბრიელ?... მახსოვს, მახსოვს, რავა არ მახსოვს!...“ ასე დავარქმევდი სურათს, რომელიც შარშანწინ გადაიღეს, ჰავანას საერთაშორისო კინოფესტივალის გახსნაზე, 2003 წელს, გაბოსა და მერსედესის გაცნობიდან 58 წლის შემდეგ.

მარკესმა მერსედეს ბარჩე პარდო პირველად 1946 წელს ნახა. გოგონა მაშინ 13 წლის იყო, მარკესი 18-ის და ბორდელებს დაჩვეული ახალგაზრდა ჟურნალისტი მისმა პირველივე მზერამ დაატყვევა. ეს ტყვეობა 14 წელი გაგრძელდა, 14 წლის შემდეგ კი თეთრ პიჯაკში გამოწყობილმა გაბომ მერსედესის ხელი ითხოვა.


მათი ცხოვრება თავგადასავლებით იყო სავსე, ბევრჯერ მოუწიათ ადგილის გამოცვლა. 1959 წელს, პირველი შვილის, როდრიგოს დაბადების შემდეგ ისინი ნიუ იორკში ჩავიდნენ საცხოვრებლად, მაგრამ იქ დიდხანს ვერ გაძლეს და ავტობუსით მექსიკის გზას დაადგნენ. 1962 წელს მეორე შვილიც შეეძინათ, გონსალო. 1965 წელს კი მარკესი „მარტოობის ასი წლის“ წერას შეუგდა. გაბო მუშაობდა, დანარჩენს კი მერსედესი უძღვებოდა. ბავშვების მოვლის გარდა, მას ბევრი სხვა პასუხისმგებლობაც დაეკისრა. სწორედ მერსედესი „დაჩალიჩობდა“ ქალაქის, ყავისა და სიგარეტის ფულზე.

სხვათა შორის, მერსედესი „მარტოობის ას წელშიც“ გაიღვებეს, იგი ბუნდიას მეგობრის, გაბრიელის საცოლუა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ მარკესის ორი ყველაზე უცნაური პერსონაჟი ქალის, რე-ბეკასა და ცად გაფრენილი მშვენიერი რემედისოს შესაქმნელად, შთაგონების წყარო სწორედ მერსედესი იყო.

18 თვის შემდეგ, მარკესს რომანის 13 ათასი გვერდი დაუგროვდა, საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ ოჯახს კაპიკი აღარ ჰქონდა გამომცემლისთვის ტექსტის გასაგზავნად, რომ აღარაფერი ვთქვათ ვალზე, რომელმაც 10 ათას დოლარს გადააჭარბა. აქაც მერსედესმა ივაჟკაცა, გაყიდა ფენი და უთო და სამი უზარმაზარი ბანდეროლის გასაგზავნი ფულიც ამით იშოვა.

მერსედესზე კიდევ ერთ ამბავს ჰყვებიან. საქმე ისაა, რომ 80-იანების ბოლოს მარკესს თურმე აღარც ახსოვდა 1982 წელს შვეიცარიის ბანკში გახსნილი ანგარიში, სადაც მან ნობელის პრემიის თანხა შეინახა. ეს ამბავი ცოლმა მაშინ შეახსენა, როცა გაბომ კოლუმბიაში საკუთარი ჟურნალის, „კომბიოს“ გამოცემა გადაწყვიტა.

მერსედესი მთავარი პერსონაჟია მარკესის ცხოვრების რომანში. იგი ადევნებს თვალყურს ოჯახს. მარკესებს ხომ რამდენიმე სახლი აქვთ: სამი კოლუმბიაში, ერთიც ფიდელას ნაჩუქარი – კუბაზე, ჰავანაში, და ასევე მეხიკოში, პარიზსა და ბარსელონაში. მერსედესი უვლის ავადმყოფ მეუღლეს (მარკესს 1998 წელს ლიმფური ჯირკვლების კიბო აღმოაჩნდა და მას რამდენიმე ურთულესი ოპერაციის გადატანა მოუწია), თავად მაკონდოს შემოქმედი კი კარგ ამინდში 1992 წელს გამოშვებული Lancia Thema Turbo-თი დასეირნობს ხოლმე, რომლის საჭესაც დონ პეჩე უზის, წარსულში ცნობილი რეციდივისტი, დღეს კი მარკესის 6 კაციანი დაცვის უფროსი.



**ავტორი:** მალხაზ ხარბედია  
**ფოტო:** როიტერი

## ზოგი ქირი მარგებელია

თხუთმეტწლიანი ფატვას მიუხედავად, რუმდომ გასულ წელს უკვე მეოთხედ იქორწინა. როგორც ჩანს, ირანელ ფანატიკოს-მუსულმანთა მუქარებს ეს კაცი აღარაფრად აგდებს და მაშინ, როცა მისი „სატანური სურების“ მთარგმნელებს იაპონიაში, შვედეთსა თუ რუსეთში საშინლად უსწორდებიან, რუმდი მშვენიერი პადმა ლაკუმის აყვავებული მკერდის ჩრდილქვეშ „განიგრილებს სულს“. ეს ქალი 24 წლითაა უმცროსი სახელგანთქმულ მწერალზე და უკვე თავადაც საკმაოდ გაითქვა სახელი, როგორც ტოპ-მოდელმა, ტელე-კინო ვარსკვლავმა და კულინარიული წიგნების ავტორმა.

რუმდი პირველად კლარისა ლუარდზე დაქორწინდა. მისი მეორე რჩეული მარიანა უიგინსი იყო, 1990 წელს კი „ბუკერის ლაურეატი“ ელიზაბეტ უესტს გადაეყარა, ვისთან ერთადაც თავისი ცხოვრების ყველაზე მძიმე წლები გაატარა. მაგრამ დადგა 1999 წელი და ნიუ იორკში, სრულიად შემთხვევით, პადმა პარვატი ლაკუმში გაიცნო და მის ცხოვრებაში ახალი, რომანტიკული სიუჟეტის დროც დადგა. ასეთ ქალებზე რუმდი ბევრს წერდა, ჯერ კიდევ პირველი რომანებიდან მოყოლებული. ასე რომ, როგორც იქნა, გამონაგონი და რეალობა ერთმანეთს შეხვდა.

პადმასთან შეუღლებით რუმდი საკუთარ ძირებსაც დაუბრუნდა. როგორც მიხვდით, ლაკუმში ინდოელია და მისი სახელი ინდურ ნაყოფიერების ქალღმერთს უკავშირდება, სულ მალე, კი ეს ნომინალური ნაყოფიერება შესაძლოა რეალობადაც იქცეს; ამაში მალე დარწმუნდებით, თუკი ახლად დაქორწინებულთა სასიყვარულო ჟღერტულს მოუსმენთ და ნაიკითხავთ – ინტერნეტი ხომ სავესე ასეთი ურთიერთკომპლიმენტებით. მაგალითისთვის პადმას ერთი ფრაზაც საკმარისი იქნებოდა, სადაც იგი ამბობს: „სალმანი უფრო ცეცხლოვანი და სექსუალურია, ვიდრე ბრედ პიტი“-ო.

ისინი შარშან დაინიშნენ, 20 თებერვალს, 17 აპრილს კი „ქორნილიც ქნეს“, ნიუ იორკში. ვარდებით მოფენილ დარბაზებში სიტარისა და ტაბლების ხმა ისმოდა და წყვილს 250-ზე მეტი სტუმარი ულოცავდა, უნივერსიტეტული პროფესორებითა და ცნობილი მწერლებით დაწყებული – სტივ მარტინითა და ლუ რიდით დამთავრებული.

ქორნილის შესახებ ბევრს ყვებოდნენ და იმასაც ამბობდნენ, რუმდის მეგობარი ბებერი მწერლები პადმას დაქალებს „ნამეტანი“ უჟუჟუნებდნენ თვალბსო. დაველოდოთ, იქნებ რომელიმე მათგანმა მაგარ გოგოსაც გამოკრას ხელი.





# Espress yourself

გამოავლინე შენი თავი,

შენი  
ნიჭი,  
საუკეთესო  
მხრიდან.

შენ და ლავაცა,  
სრულყოფილი ბინომი.  
შესთავაზე შენს თავს  
საუკეთესო ყავა-ესპრესო.  
ლავაცა წარმოგიდგენთ  
საუკუნოვან გამოცდილებას,  
საუკეთესო ყავის შენარევეების  
დაუვინყარ არომატს.

აღმოაჩინე შენთვის  
ლავაცას  
სამყარო.

**LAVAZZA**  
ITALY'S FAVOURITE COFFEE

“ბბ კომპანი”.  
კოსტავას 26. ტელ.: 98 40 24.

[www.lavazza.com](http://www.lavazza.com)



# ლაშა-გეორგ, მიაძებე რამე



- *ძია რიმუს, ზღაპარი მიაძებე, რა!*
- *ზღაპარიო? თუ ჩუმად იჯდები, ყურადღებით მომისმენ, არ შემაწყვეტინებ და წამდაუნუნ არ მკითხავ, „მერე, მერეო“, არაფერი მაქვს იმის სანინააღმდეგო, რომ ზღაპარი გიაძებო.*
- *მე, ძია რიმუს, გასუსული ვიჯდები.*
- *კარგი. მაშ, ასე...*

*ძია რიმუსის ზღაპრებიდან*



*ანა კორძია-სამადაშვილი*

ეს კაცი იმდენი წლის წინათ გავიცანი, რომ გახსენება აღარ მიხარია... ხან არქეოლოგიურ ექსპედიციებში დარბოდა და ხან ეთნოგრაფიულში. ის ბუბა ყარალაშვილის საყვარელი სტუდენტი იყო და მე, ეჭვიანობის ნიადაგზე, ცუდად ვხედობდი. ჯერ იყო და, თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა გერმანისტიკას, მერე იენაში გადავიდა. გერმანიაში ძალიან დიდხანს ცხოვრობდა, სწავლობდა და ხან რადიოში მუშაობდა, ხან ჟურნალებისთვის წერდა.

გამოხდა ხანი და ეს ჩემი ნაცნობი კაცი შვეიცარიაში, ბერნის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე აღმოჩნდა. მერე კვლავ გერმანიაში დაბრუნდა, პოლიტოლოგიის შესასწავლად, და მას აქეთ, ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე აკრედიტებული ჟურნალისტიც ბრძანდება. ეს კაცი გერმანიაში ხან ქართული ლიტერატურის დღეებს აწყობდა და ხან ქართველ ხელოვანთა გამოფენებს.

სად იყო და სად არა, ჩვენი გმირი ვენაში გაემგზავრა – კვლევითი საქმიანობა და მსგავსები. ერთ წელიწადში კი დიტო ცინცაძის მიერ გადაღებულ „უილბლო მკვლევლებში“ მთავარ როლში ვიხილეთ. მერე მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის „ტბა“ სცენარი დაწერა და შორეულ ტეხასში პრიზი მიიღო. ევროპელ ლიტერატორებთან ერთად, მან 2000 წელს „ლიტერატურული ექსპრესით“ ნახევარი ევროპა მოიარა, – და დისერტაცია დაიცვა; თან, არც მეტი, არც ნაკლები, პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობების, კერძოდ, ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობის შესახებ.

მერე მიუნხენში გაემგზავრა, სადაც სცენარისტთა სახელოსნოში სცენარების წერას სწავლობდა. იმხანად, თბილისში მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ეროტიკული ამბავი“ აჩვენეს. ქართული ზნეობის სადარაჯოზე მდგომნი აღშფოთდნენ, მთავარი როლის შემსრულებელი ჩვენი გმირი კი კოტბუსის კინოფესტივალზე ჟიურის წევრად აირჩიეს. ამის შემდეგ დიტო ცინცაძემ სან-სებასტიანში „ოქროს ნიჟარი“ დაჯილდოვებულ „გასროლის შიშში“ იარაღით მოვაჭრის, უსაძაგლეხი ქართველი მამოს როლში გადაიღო. ჩვენმა გმირმა ფრანგულ მოკლემეტრაჟიან „ფაბრიკაშიც“ მიიღო მონაწილეობა.

მოკლედ, სად აღარ იყო, რა არ ისწავლა, რა არ აკეთა... ბატონ დოქტორ ლაშა ბაქრაძის შესახებ მოგახსენებდით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლაშა ბაქრაძე დიდი ხნის წინათ გავიცანი, შესაბამისად, პატარები აღარ ვართ. მაგრამ არც ისე საშინლადაა საქმე, როგორც ლაშა ჰყვება ხოლმე. ავსტრიიდან ჩამოსულმა მიაძებო, რომ ვენის აკადემიაში საოცარი ტილო აღმოაჩინა – ფლამანდიელი მხატვრის ნამუშევარი. ტილოზე გამოსახულია ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი, რომელსაც ზურგსუკან ცელიანი სიკვდილი ამოსდგომია. ყველაზე გასაბრაზებელი სურათის სახელწოდებაა: „მხატვრის ავტოპორტრეტი 34 წლის ასაკში“.

მაშინ ლაშა ოცდაცამეტისა იყო, და თუ დაეუჯერებთ, მას აქეთ, ზურგსუკან გამუდმებით ესმის ცელის ზუზუნი: ზზნგ! ზზნგ! ზზნგ!

მაგრამ ცელის ზუზუნი ხელს არ უშლის, რომ მხიარულად დააბიჯებდეს ამ დედამინაზე და ამბები ისმინოს, ამბებს მოჰყვეს. დაწერას მოყოლას ამჯობინებს და ალბათ, მართალიცაა. ისედაც ცელი ზუზუნებს, როგორ შეიძლება ასეთებზე დროის ხარჯვა....

ქართველთა სადიდებლად, ლაშა ბაქრაძე მუდამ აღნიშნავს, რომ მარად საკუთარ პრობლემებზე, სამუშაოზე თუ დაფინანსებაზე მოსაუბრე ჩრდილოევროპელთაგან განსხვავებით, ჩვენ ამბის თხრობის უნარი გვაქვს: რაღაც იწყება, ვითარდება, მთავრდება. სულ ერთია, რას ვყვებით – კუიბიშევში ქალების გაცნობის იმედად ჩასვლის თუ განძის პოვნის ამბავს; მთავარია, რომ ვყვებით. ლაშას ნაამბობი ხშირად კლასიკური ჩინური რომანის ქარგას ჰგავს: ის, რომ გმირი ჩნდება, სულ არ ნიშნავს, რომ ნაამბობის ბოლომდე გმირად დარჩება; ის შეიძლება ისევე უმისამართოდ გამოჩნდეს და გაქრეს, როგორც ის ჩინური რესტორანი, რომელიც ლაშა ბაქრაძემ ტუნისში მოგზაურობისას, რკინიგზის გასწვრივ აღმოაჩინა – ნამდვილი ჩინური რესტორანი, შესასვლელთან აღმართული ორი დრაკონით... ოღონდ ირგვლივ უდაბნო იყო, მატარებელი იქ საერთოდ არ ჩერდებოდა, კაცი არ იყო, რომ რაიმე შეეკვეთა. დიდი-დიდი, ვინმე ბედუნის ჩამოველო.

მთავარია, რომ ჩინური რესტორანი იყო, დრაკონებიანი.





თბილისი. სელოვნება და ლაშა ბაქრაძე

### საბრალო გოგო

ლაშა ქალებზე არაფერს გიამბობთ, ტყუილად ნუ ჰკითხავთ. პირად ცხოვრებაზე საუბარი, ინტიმური დეტალების მოყოლა და ექს-ჰიბიციონისტური გამოსვლები არ ახასიათებს. ერთმა ჟურნალისტმა იმდენი ჰქენა, რომ ინტერვიუში ათქმევინა, ქალის ეროვნებას არ დაგიდევთო, და იმანაც, თავის სტატიას დიდებული სათაური გაუკეთა: „ლაშა ბაქრაძეს ცოლად ზანგი ქალი მოჰყავს!“ ერთ არაპოლიტიკორექტულ წინადადებაში ორი საშინელი ტყუილი!

სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ საუბრისას, ლაშა ბაქრაძე თავის ბავშვობას იხსენებს, სრულიად უდრტივინველსა და ბედნიერს, როცა ერთხელ, ეზოში თამაშის დროს, მოფარებულ ადგილას მეზობლის პატარა, თავისზე ერთი წლით უმცროსი, იმხანად ხუთი წლის ფუმფულა გოგო გაიყვანა და აკოცა. „ლოყაზე?“ – „არა, როგორც წესი და რიგია“. ეს ამბავი გოგოს მამამ გაიგო და მას მერე შვილს ეზოში აღარ უშვებდა, ლაშასა და მსგავსი მავნე ადამიანებისგან გადარჩენის მიზნით. აი, ასე.

**ერთხელ, ეზოში თამაშის დროს, მოფარებულ ადგილას მეზობლის პატარა, თავისზე ერთი წლით უმცროსი, იმხანად ხუთი წლის ფუმფულა გოგო გაიყვანა და აკოცა. „ლოყაზე?“ – „არა, როგორც წესი და რიგია“.**

### დიდი შიში

ბერნში, სადაც თეოლოგიას სწავლობდა, ერთ ჩინებულ ახალგაზრდასთან მეგობრობდა. ის ბიჭი მღვდლობას აპირებდა და მერე გახდა კიდევ – ღმერთმა ხელი მოუშარტოს.

ერთხელ გაირკვა, რომ მომავალი მღვდელი გერმანიაში მანქანით გამგზავრებას აპირებდა, და ვინაიდან იქ ლაშასაც რაღაც საქმე ჰქონდა (ვეჭვობ, შვეიცარიაში მოწყენილობისგან სული ხდებოდა), თან გაიყოლა.

მანქანა შვაბეთის ალპებში, სერპანტინზე მიუყვებოდა გზას. ნისლი ჩამოწვა, ტრასაზე მანქანის ჭაჭანება არ იყო. მომავალი მღვდელი ლაშას მიუბრუნდა და უთხრა: „ლაშა, მშია“. რა გაეწყობა, შიოდა კაცს. მაგრამ ცოტა ხანში თანამგზავრს კვლავ მიუბრუნდა და ავის-მომასწავებელი ჩურჩულით გაუმეორა: „მშია“. „ვაიმე!“ – იფიქრა ლაშამ.

კაცს თვალეები უელავდა, საჭეს გამწარებით უჭერდა ხელს და ხმას უწევდა და უწევდა: „მშია, მშია!“ „გადამჩხავს? შემჭამს?“ მე, ალბათ, მანქანიდან გადავხტებოდი.

საბედნიეროდ, რომელიღაც უბედურ ბენზინგასამართ სადგურს მიადგნენ და რაღაც უბედური სოსისები იყიდეს, მართალია, საშინელი რაოდენობით. კაცმა ყველაფერი ჩასანსლა და შემდეგ ლაშას აუხსნა, რომ შიმშილის მიმართ ავადმყოფური დამოკიდებულება აქვს და თუ დიდ განსაცდელში ჩავარდა, ანუ უმაღვე ვერ დანაყრდა, თავს ვეღარ აკონტროლებს.

რას იზამ, ხალხი ჭრელია.

ჰო, როგორც მოგახსენეთ, ის კაცი დღეს მღვდელი გახლავთ.

## ანდალუზიური სამკუთხედი

ანდალუზიაში, ალკუხარას მთებში, პანანინა სოფელია. ლაშას თქმით, იქაურები დიდი სილამაზით არ გამოირჩევიან, მაგრამ იქ ისეთი ამბები ტრიალებს, რომ აღმოდგარს ნამდვილად გაუგებს კაცი. „მანამდე მეგონა, რომ აჭარბებდა ხოლმე, მაგრამ არა!“

სწორედ ამ სოფელში, არცთუ ლამაზ ხალხში, ერთი ბრგე, ლამაზი მამაკაცი გამოერია. ის მასწავლებელი იყო. გარეგნული მონაცემებისა და სოციალური მდგომარეობის წყალობით, მთელი სოფლის ქალები მას ეტრფოდნენ და თუკი რომელიმე ქალი ოდნავ მაინც შეიხედებოდა, ყველასთან ჰქონდა საქმე.

ერთხელაც, მასწავლებელს ერთ გათხოვილ ქალთანაც გაუბამს რომანი – მთლად რომანიც არა; ისე, ერთი-ორჯერ. ეს ამბავი ქმარს გაუგია, რომელიც პატარა ტანის, სუსტი მამაკაცი ყოფილა. გაუგია და არაფერი უთქვამს – თითქოს ჩაყლაპა.

გავიდა რამდენიმე კვირა, და ერთ დღესაც, ორგული ცოლის მეუღლეს სოფლის მთავარ მოედანზე ახლად ნაყიდი მანქანა შეუგრიალეხა. მან მანქანიდან თავი გამოყო და იქვე მდგომ მასწავლებელს დაუძახა.

მერე რა, რომ ოდესღაც მის ცოლთან იგორავა, მაინც თანასოფლელები იყვნენ. თან, ის არასასიამოვნო ამბავიც კარგა ხნის მომხდარი იყო. მასწავლებელი მანქანასთან მივიდა და რადგან ტანად მაღალი ბრძანდებოდა, ფანჯარასთან დაიხარა.

შეურაცხყოფილმა ქმარმა გაუქანა და სახეში სთხლიშა, უმაღვე დაძრა მანქანა და გაქროლდა.

ასეთი იყო ანდალუზიელი მასწავლებლის ამბავი.

ერთხელაც მასწავლებელს ერთ გათხოვილ ქალთანაც გაუბამს რომანი – მთლად რომანიც არა; ისე, ერთი-ორჯერ.... ეს ამბავი ქმარს გაუგია, რომელიც პატარა ტანის, სუსტი მამაკაცი ყოფილა. გაუგია და არაფერი უთქვამს – თითქოს ჩაყლაპა.

## თამარი

ჩემი უმისამართო ცნობისმოყვარეობის დამსახურებაა, რომ ლაშა ბაქრაძის სადისერტაციო თემა, ჩემზე უკეთ თავად ავტორმა თუ იცის. ჰოდა, 1914-1918 წლებში ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობის შესწავლისას, ლაშამ სახელმწიფო არქივში მრავალი წერილი აღმოაჩინა – გერმანიასა და შვეიცარიაში გახიზნულ ქართველთა მიმონერა. ამ წერილებში ხშირად იყო ნახსენები ვინმე თამარი, რომელზეც მამაკაცები ძალიან ზრუნავდნენ; წუხდნენ, რომ ავადმყოფობის გამო, ხალხში გარევეს ერიდებოდა. ვინ იყო ეს თამარი, მაინც ვერ გავიგე და დიდად არც მიდარდია – რამდენი ემიგრანტი დაიტანჯა, რა ჩემი განსაცდელია. მით უმეტეს, რომ ლაშამ დისერტაცია წარმატებით დაიცვა.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, გერმანიაში მყოფი ლაშასგან წერილი მომივიდა, სადაც მრავალ სხვა ამბავსა თუ ჭორთან ერთად, ნათქვამი იყო, რომ „ჩვენი თამარი მორფინისტი ყოფილა“. ვაი? ვინ თამარი?

აი, ის თამარი, ემიგრანტი, სრულიად კომიტეტის მზრუნველობის საგანი. მისი ამბის გასაგებად ლაშამ ბერლინის არქივები გადააქოთა და დაადგინა, რომ ნარკომანთან გვექონია საქმე.

რალა გვიჭირს.



გზაში. ზურაბ ალავერდიაშვილის ფოტო





ლაშა და მამოკრაპი. თბილისი. გასული საუკუნე

### წმინდა ევსტათი

ბარსელონაში, ერთ მშვენიერ ბარში, რომელიც ბარსელონელებს და უცხო სტუმრებს მთლად მეცხრამეტე საუკუნიდან ახარებს, ერთი კაცი დადიოდა. ლაშამ შენიშნა, რომ მის გვერდით მჯდომებს პატარა, გარმონივით დაკეცილ ქალაღდს აჩვენებდა ხოლმე: დიდი რუდუნებით შლიდა და მერე ასევე გულმოდგინედ კეცავდა. ცხადია, ძალიან დაინტერესდა, სანამ ერთ დღეს თავადაც მის გვერდით არ აღმოჩნდა და მისი განძი არ ნახა: წმინდა ევსტათის ცხოვრების და მარტვილობის ამსახველი სურათები.

იმ კაცმა, ესპანურის გარდა, არცერთი ენა არ იცოდა, მაგრამ იმის მოყოლა კი შეძლო, რომ წმინდა ევსტათი ამ კაცის მფარველი ყოფილა, მისი წმინდანი. კაცი ამაყად ამბობდა, რომ სახლში ამ წმინდანის ყველა გამოსახულება აქვს, სულ ნაირ-ნაირები, მაგრამ მერე დასევდიანდა: ამ ბარში, საპირფარეოს თავზე, კიდეც ერთი ჰკიდა, ისეთი, როგორც მას არ აქვს, ზღაპრული სილამაზისა. და ეს ღორები – ხელი ბარმენებისკენ გაიშვირა – არ აძლევენ! ძალიან ძვირს უფასებენ! მას კი ამდენი ფული არ აქვს! მაგრამ ეგ არაფერია, შეაგროვებს და იყიდის.

ამ სევდიან ამბავს ისეთი გზნებით ჰყვებოდა, რომ ყოველგვარ ფუჭ სანტიმენტებს მოკლებულმა ბატონმა ბაქრაძემ ჯიბეზე ხელი გაიკრა და წმინდა ევსტათის შეძენისთვის ათი ევრო გაიღო. კაცი უმაღვე გამოცოცხლდა და ტკბილად მიმართა ბერმენებს, რომელთაც მანამდე ღორებს უწოდებდა: ეს კაცი ჯიგარია, ორი ლუდი და მინის თხილიო! „წუნურაქი კი არ იყო,“ დაასკვნა ლაშამ.



„უიღბლო მკვლელების“ გადაღვის დროს



ჩაკლაშა ზირისთვის H&M

### ჩვენიანი

2000 წელი. ლიტერატურული ექსპრესი. მრავალ სხვა ლიტერატორთან ერთად, მატარებელში ერთი ბასკი მწერალიც იმყოფებოდა, რომელიც დიდი კომუნიკაბელობით არ გამოირჩეოდა – იჯდა თავისთვის. მაგრამ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მოახლოებისთანავე, აშკარად ნირი წაუხდა და საჩქაროდ დაუმეგობრდა ქართველებს – გიო ახვლედიანს, ლაშა ბულაძეს და ლაშა ბაქრაძეს.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, დაზაფრულმა ბასკმა ისიც კი გაიხსენა, რომ ბასკები და ქართველები მთლად ნათესავები არიან. ძალიან წახდა კაცი.

ბელორუსიაში გამართულ მიღებაზე გამცილებელმა ბელორუსმა ბიჭმა საზოგადოებას ანთებული თვალებით ამცნო, რომ დიდი პურმარილი გველის, ხორციც კი იქნებაო. ლიტერატორებს ბედნიერი ბავშვები დახვდნენ, ყვავილებით ხელში და, ლაშას თქმით, ჩიკა-ჩიკარამაიას ძახილით.

და მაშინ ბასკი გადაირია, ლაშას შესძახა: „ყვავილები არ გამოართვა! ფრანკოს დროს, ჩვენც ასე გვექცეოდნენ, ყვავილებს გვაყრიდნენ, რომ პედერასტები გავმხდარიყავით!“ თავად მან მორთმეული ყვავილები, ცხადია, გადაყარა.

ბასკები აშკარად ჩვენი ნათესავები არიან.

### 2000 წელი, ლიტერატურული ექსპრესი.

მრავალ სხვა ლიტერატორთან ერთად, მატარებელში ერთი ბასკი მწერალიც იმყოფებოდა, რომელიც დიდი კომუნიკაბელობით არ გამოირჩეოდა – იჯდა თავისთვის. მაგრამ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მოახლოებისთანავე, აშკარად ნირი წაუხდა და საჩქაროდ დაუმეგობრდა ქართველებს – გიო ახვლედიანს, ლაშა ბულაძეს და ლაშა ბაქრაძეს.

## ციდან ჩამოსული კაცი

21-ე საუკუნეს უშგულში შევხვდით, კავკასიელი მამაკაცების შესახებ ფილმის გადაღებების დროს. შესანიშნავი დარი იყო – მზე, ლურჯი ცა, ბრჭყვიალა თოვლი... და ამ მშვენიერებაში ვერტმფრენი დაეშვა, საიდანაც სახეგაბადრული კაცი გადმოვიდა. ასეთი ბედნიერი ლაშა არასოდეს მენახა.

სვანური ქუდი ეხურა და ყველა ჯიბე – ჯიბეები კი უხვად ჰქონდა – კანფეტებით ჰქონდა გამოტენილი. ვერტმფრენის შესახვედრად შეგროვებული ბავშვები პირდაღებულები შესცქეროდნენ. ის კანფეტებს არიგებდა, ხანდახან ყიჟინასაც დასცემდა ხოლმე.

მერე ლამარიაზე ავედით – წელამდე თოვლში. მერე ქვედა სოფლისკენ გავეშურეთ და ვერტმფრენის ზუზუნიც გაისმა. მიდის! ვაშა, ლაშა, დარჩები!

და ლაშა გაიქცა, როგორც მერე თავად აღიარა, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მას ასეთ ტემპში შეეძლო სირბილი, მით უმეტეს, მოლიპულ გზაზე, აღმართში. მაგრამ გაიქცა და ვერტმფრენსაც მიუსწრო.

მერე კი, სალამოს, გაირკვა, რომ იმ დღეს უშგულის ბავშვებს თოვლის ბაბუა ეწვიათ. ცხადია, თოვლის ბაბუა იყო, აბა, ვინ იქნებოდა: ციდან დაეშვა, კანფეტები დაარიგა და ისევ გაფრინდა.

მარტივი დასკვნა: ასე იქმნება ზღაპრები.

## მზიანი მთა

საოცარი სახელწოდებები აქვთ ხოლმე დასახლებულ ადგილებს. მაგალითად, გერმანიაში იმდენი რაღაცბერგია, კაცს ტიპეტი ეგონება – „ბერგი“ მთას ნიშნავს. არადა, ისეთი ბრტყელია იქაურობა, ისეთი ბრტყელი...

ზონენბერგი, ანუ მზიანი მთა, განსაკუთრებით ტკბილი ადგილი ყოფილა. დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, ეს დასავლეთ ბავარიაში შეჭრილი სამკუთხედი დახურული სასაზღვრო ზონა იყო – როგორც, ერთ დროს, ჩვენი მესხეთ-ჯავახეთი. იმ დალოცვილ ზონენბერგში, ვგონებ, არც კი იცოდნენ, რომ გერმანიის გარდა, დედამიწაზე სხვა ერის ხალხიც ცხოვრობდა.

ერთ დღესაც ლაშა ზონენბერგში აღმოჩნდა და ერთ ახალგაზრდასთან ერთად ლუდი მიირთვა. კარგი ბიჭი იყო, ზომიერად ჩლუნგი და არც ისე მთვრალი. ის მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ მიხვდა, რომ ლაშა ადამიანი კია, მაგრამ გერმანელი არაა, და ჰკითხა კიდევც, საიდან ხარო. პასუხის მოსმენის შემდეგ, უცებ წელში გაიმართა და – ინდიელების შესახებ ფილმები ხომ გინახავთ? მკერდში მჯილი ჩაიკრა: „მე – იოჰან, შენ – ?“

ცუდია, როცა ბრიყვი ხარ. თან ზონენბერგში.

ლაშა გაიქცა, როგორც მერე თავად აღიარა, საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მას ასეთ ტემპში შეეძლო სირბილი, მით უმეტეს, მოლიპულ გზაზე, აღმართში.







„ლიტერატურული ექსპრესი - 2000“. ლაშა ზაქარაძე და გიორგი ახვლედიანი

„...და მეც ვილიმოდი და ძალიან ვამაყობდი, რომ ამ შესანიშნავ შეკრებაზე ასეთ შესანიშნავ კაცთან ერთად მოვხვდი“.



პანს შაიზის „აიტიის ასულის“ მგლავის გარემოცვაში. ღათო მისხის ფოტო

## ამბავი იმისა, თუ როგორ გადაარჩინა ლაშა ზაქარაძე ერთი ცოდვილი სული

ეს სევდიანი ამბავი იმით დაიწყო, რომ ფეხსაცმლის ყიდვა მინდოდა და ლაშამ ყველაზე მსხვილბურჟუაზიულ მაღაზიაში შემარბენინა. იქ არასოდეს შევსულვარ, რადგან ბევრი რამ მომწონდა, მაგრამ ვერ ვყიდულობდი. ლაშამ მითხრა, შევიდეთო, და შევედი – ასეთ ამბებში ის ჩემზე უკეთ ერკვევა.

ძალიან ლამაზი ფეხსაცმელი ვიყიდე. ო, რა ლამაზი ფეხსაცმელი ვიყიდე! თან რა იაფად! ეს ფეხსაცმელი იმდენად მომწონდა, რომ მეორე დღეს, ერთ დიდ ფილოსოფოსსა და მწერალთან სტუმრად მიმავალმა, თავი გავწირე და გაგანია იანვარში ლაშას მოკლე კაბასა და თხელ წინდებში გამოვეცხადე. ძალიან კი მცოდნა, მაგრამ მაინც – ჩემი ლამაზი ბაჩიები იმ მოხუც ფილოსოფოსს ხომ მაინც უნდა დაენახა. კიდევ კარგი, ლაშას დაგვიანება არ სჩვევია.

ძალიან სევდიანი საღამო იყო. მალე დაბნელდა. ფილოსოფოსს ჩაისა და ცუდი შამპანურის გარდა, არაფერი შემოუთავაზებია. ჩვენ ვითომდა მყუდროდ განათებულ, ჩემი აზრით კი დეპრესიულად ჩაბნელებულ ოთახში ვისხედით. პირველ მსოფლიო ომსა და გარენარ კაიზერებზე ვსაუბრობდით. რუსეთის მეფის კარი და საქართველოში არსებული ვითარება განვიხილეთ. ჩვენთან ერთად მყოფი ქალბატონი ნაზი, აქროლადი და ცრემლივით წმინდა იყო, საქართველოში ერთხელ ნამყოფი და ხავსმოდებული გალავნებით ალტაცებული. ძალიან მშოიდა და ვგრძნობდი, რომ მალე გავგიჟდებოდი. ვიცოდი, რომ გარეთ არაბუნებრივად შემცივდებოდა და მძულდა ჩემი ახალი ფეხსაცმელიც, ბერლინიც და ჩემი ცხოვრებაც. ის ქალი ხომ მძულდა და მძულდა.

წამოსვლისას ლაშამ მითხრა, ნუ გეშინიაო. აქედან ტაივანურ რესტორანში წავალთ და მაგრად ვჭამთო. მერე კიდევ სადმე წავალთ და იქაც ვჭამთო. მოკლედ, ნუ გეშინიაო.

ნურას უკაცრავად. გამოსვლისთანავე იმ ქალმა – ფოკუს-მოკუს! ჩანთიდან ორი მოსანვევი ამოაძრო და გახარებულმა გვითხრა, გერმანულ-ქართული საზოგადოების შეკრებაზე ხართ დაპატიჟებულიო. შეკრების თემა – საქართველოს კონსტიტუცია.

ნუ გეშინიაო, მითხრა ლაშამ. მივალთ და ხუთ წუთში გავიპარებითო. აქედან ტაივანურ რესტორანში წავალთ და მაგრად ვჭამთო. მერე კიდევ სადმე წავალთ და იქაც ვჭამთო. მოკლედ, ნუ გეშინიაო.

მაგრამ ვერსადაც ვერ გავიპარეთ, რადგან დარბაზი საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს, ბატონ ლაშა ზაქარაძეს ტაშით შეხვდა. ჩვენ საპატიო ადგილებზე დაგვსხეს. მეც ვილიმოდი და ძალიან ვამაყობდი, რომ ამ შესანიშნავ შეკრებაზე ასეთ შესანიშნავ კაცთან ერთად მოვხვდი – ო, როგორ მიხაროდა საქართველოს კონსტიტუციის შესახებ გერმანელის მიერ წაკითხული მოხსენების მოსმენა!

ყველაფერი მთავრდება და მოხსენებაც დამთავრდა. უკვე აღარ მშოიდა და აღარც მცოდნა. მორჩა. როცა შპრეეს ჩავუარეთ, ცხოვრებაში პირველად და, იმედია, უკანასკნელად ვიფიქრე, ხომ არ ვისკუპო-მეთქი. რაა რო? ივერია უჩემოდაც გაბრწყინდება, შეუცვლელი არავინაა. არ მითქვამს, მაგრამ იმ ღამეს შპრეეს შავი წყალი ძალიან მიმზიდველად გამოიყურებოდა.

და მაშინ ლაშამ მითხრა ის, რაც სულ მახსოვს: „მოდი, ჯერ ვჭამთ და მერე გადავხტეთ“.

პრინციპში, მართალი იყო. რომ გადავმხტარიყავი, ველარაფერს შევჭამდი.

ჩვენ ტაივანელთან წავედით და ვჭამეთ, მერე სხვაგანაც წავედით და იქ ველარ ვჭამე იმიტომ, რომ ტაივანელთან ძალიან ბევრი ვჭამე და ამას ძალიან ვნანობდი. მაგრამ ფაქტია, რომ აღარ გადავხტი.

სწორადაც მოვიქეცი. მოესწრება. მეც მესმის ხოლმე ჩემს ზურგსუკან: ზზნგ! ზზნგ! რა მეჩქარება.



. . .

ლაშამ მითხრა, რომ მეცამეტე საუკუნეში ბერ დოგენს შესანიშნავი ლექსი დაუწერია:

**ყვავილები – გაზაფხულზე,  
გუგული – ზაფხულში,  
შემოდგომაზე – მთვარე,  
ცივი, სპეტაკი თოვლი – ზამთარში.**

მერე, მეთვრამეტე საუკუნეში, ეს ლექსი ვინმე რიოკანიმ გადაამღერა:

**რა დარჩება ჩემს შემდეგ?  
ყვავილები – გაზაფხულზე,  
გუგული – მთებში  
და ნეკერჩხლის ფოთლები – შემოდგომაზე.**

არაა ცოტა. თქვენ რას იტყვით?





# ვთამაშობთ თბილისობანას

აკა მორჩილაძე

სერიალი

ილუსტრაცია: სოფიო რეხვიაშვილი

გაგრძელება (დასაწყისი 2005 წლის იანვრის ნომერში)

## II თავი, ლაპარაკებით მოგრო და ისევ კიკილას წარმოდგენებით შეთხზული და მართალგამორეული, რახან გამოჩნდა წყნეთელი ზახოდა

ეს ძველი ამბავია. მისული გახლდით და მაგიდაზე პირქვე გადაშლილი სტივენ კრეინის წიგნი ვნახე. ინგლისური წიგნი იყო, რბილყდიანი და გადამსკდარი. ახლა, სიმონ, როგორი ამბავი გახლავს, იცი? მე სანთელს ავანთებ და გამოვალ ქუჩაში, დღისით და მზისით, დაფუყვები დაღმართებს და აფუყვები აღმართებს. მლოცველი კი არ ვიქნები და ვინმე ტკივილოსანი, არამედ ახალგაზდა კვალისმადიებელი. დავივლი ამ სანთლით ყოველ კუთხე-კუნჭულს და ვერა ვნახავ დიასახლისს, თუნდა ახალგაზრდას, თუნდაც დროულსა, რომ სტივენ კრეინის წიგნი მაგიდაზე პირქვე გადაშლილი ედოს, თვითონ კიდევ, ერბო-კვერცხს ამიშხინებდეს ტაფაზე.

მაშინ ოხუნჯობის ხასიათზე ვიყავ, გერმანიისკენ მეჭირა გეზი და ცხოვრების ხელახლად დაწყების მულამი იმგვარად მხიბლავდა, რომ ბიჭებს რიგრიგობით ჩამოვუვლიდი და იქ გვარიანად ვერთობოდი.

ამიტომაც, ზურას ვუთხარ, ასე, ქალაქურად:

— ცოლს რაებს აკითხებ, ტო, რა არი... გინდა რო თავი მოიკლას?

— თავი მოიკლას?

— აბა, მა ეს სტივენ კრეინი რა გგონია? კაცებს აგიჟებს და ქალს რაღას უზამს?

ასეთ სათნო ქალს.

— თათუნ!

— რა არი?

— კუკლუმ, ეს რა წიგნია? რაებს კითხულობ?

— პედერასტებზეა. მეტრაკეებზე. აი, ნახე, — უჭურჩულე მე,

— აი, „ცისფერი სასტუმრო.“

— და სასტუმროში არიან პედერასტები?

— მთელი სასტუმრო პედერასტებით არი სავესე.

— და თათუნა რატო კითხულობს?

— მეც მაგას გეკითხები. თათუნა რატო კითხულობს?

— თათუნ, რატო კითხულობ ამ წიგნს?

— რა ვიცი, ვკითხულობ... —

— რაღა პიდარასტებზე კითხულობ, ქალზე და კაცზე ნაიკითხე.

— ხო, ხო, აბა, არ ვიცი, ერთი, ქალები რატო უნდა კითხულობდნ ასეთ წიგნებს.

— აი, კიკილამ გამხილა.

თათუნას აღარ მოუსმენია, ისე გავიდა.

— ისე, ინგლისური რო ვიცოდე, მეც წავიკითხავდი პიდარასტებზე, — ჩაიხიბითა ზურამ.

აღარ მითქვამს, რო „ცისფერი სასტუმრო“ სულაც არ არი პედერასტებზე, სიკვდილის მადიებელ კაცზეა, რომელსაც არავინ უშლის ხელს ამ სიკვდილის ძებნაში. არ არი მაინცდამაინც თბილისელი გოგოს, გინდა კლასიკური ფილოლოგის საკითხავი ამბავი და მერე თათუნას ერთი-ორი სიტყვა გადმოვადებინე. საერთოდ, ხმადაბლა ლაპარაკი იცოდა და ისიც გაირკვა, რო სტივენ კრეინი მისი საყვარელი მწერალი ყოფილიყო. ეს გამიკვირდა იმიტო, რო ფილოლოგოსებს, გინდაც კლასიკურებს, რუსები უყვართ, თათუნას კიდევ დოსტოევსკი უნდა ყვარებოდა. დადიოდა ოჯახწამოკიდებული გერმანიის ქალაქებში, ჭლექიანიო, სასტუმროს საზიზღარ ნომრებში წერდა და ჩვენსეულ მოკვდაო, ასე მითხრა ამ კრეინზე. ეგ ამბავი კი ვიცოდი, მაგრამ არ მეგონა, ჩვენებური გოგო თუ ესევიტარ მღელვარებით ალაპარაკებოდა ამგვარ რამეზე. თანაც, ლიტერატურაა, ჭორები ხო არა.

ის დრო იყო, როცა კარგად ვიცოდი ამათი ცხოვრება. ნამოვნებოდი და ათას სხვა რამესთან ერთად, ამათი ცხოვრების სურათებიც დამიდგებოდა ხოლმე თვალწინ.

აი, ვთქვათ, მანქანი მიდიან.

— ჰა? — ჰკითხა ზურამ, — სად ჩამოგსვა? აქედან ჯობია?

— ხო.. აქ.. სადმე...

— კუკლუმ, არ ინერვიულო... ხო არ შემოგყვე? არ არი სანერვიულო...

— არა, რა გინდა?... ვერ ვიტან, ქმრები რო დააცილებენ ამ კლინიკების დერეფნებში...

— დერეფნებში კი არა, კორიდორებში... დერეფანი რა ქართულია? — გაიცინა ზურამ, — ჩვენი მასწავლებელი ამბობდა კონიდორს... მერე ნიკა ტრი დნია კონდორს ეძახდა...

— შევალ, — კარი გააღო თათუნამ.

— იცი რა? — ჩაფიქრდა უცებ ზურამ, — ხუთი თვე არაფერი არ არი... ხალხი წლობით ელოდება. მოდი რა, ნუ შეხვალ...

რა საყვარელი და კეთილი იყო!

თათუნამ იცოდა... თქვენა გგონიათ არ იცოდა?

— აგაძვრენენ ესლა იმ საზიზღარ სავარძელზე, ამათი ქვის ხანა დედას რო შვც... მერე კიდევ გეტყვიან, წესრიგშია ყველაფერი, ელოდეთო. მერე მე ვერ მოვისვენებ და წავალ... ესლა მე მომცემენ ხელში პლასტმასის ჭიქას და გამიშვებენ საზიზღარ ტვალეტში, გააკეთო...

თათუნა გაცოცხლებული და გახალისებული უყურებდა.

— ხო, ეგრე ამბობენ, გააკეთო, — თავი დაუქნია ზურამ — აბა, ხო არ გეტყვიან, ჩამოკარო...

— გაჩუმდი, — ვითომ ეწყინა თათუნას.

— ხო. მერე მე ვერ გავაკეთებ... გიჯამოვი ხო არა ვარ, რო ეგრე გავაკეთო... ვიქნებით ისევ გაურკვევლობაში. ამიტო, წვალების გარეშე გაურკვევლობაში ყოფნა ჯობია, წვალებით გაურკვევლობაში ყოფნას..

თათუნა ფიქრობდა, შესულიყო თუ არა ქალთა კონსულტაციის თეორმინებთან ოფისში.

— ვითომ იყავი, რა?

— ვის ვატყუებ?

— დედას, — თქვა ზურამ — ჰა... დავანექი?

— დაანექი, — ამოიხრა თათუნამ.

— ესლა არ ჩამოუშვა ცხვირი... გეხვენები. ჩაგახრობ კაპუჩინოში... სად წავიდე?

— სახლში, — თქვა თათუნამ და ენაზე იკბინა — არა... არა... სადმე...

ზურამ გადმოხედა, ამოიხვნეშა და სიჩქარე გადართო.

მერე, ალბათ ვერაზე, ერთ კაფეში ისხდნენ, იმ კაფეში, რომლის ვიტრინაზეც ვილაცას შავი საღებავით მიეწერა: ძირს ხუნტა. ეს, ძმანო, აი ეგ არის თბილისი. კაფეს რესპექტაბელური ეჭირა, წარწერა კი ვერაფრით წაეშალათ, რალაც სამუდამო და აუტანელი საღებავით შეესრულებინა ხუნტის მტერს. ამიტომაც, ბარე ერთ თვეში იმ კაფეს ყველა ხუნტას ეძახდა და პატრონმაც შეიფერა ეს სახელი. ორიოდ თვეში აბრა გააკეთებინა: ზედ ვარდები კიაფობდნენ და ლათინური წარწერაც ელავდა: Junta. მაგრამ ახლა, კაფეს ჯერ არ ერქვა ხუნტა. ამ წარწერის ამბავი კი თათუნას ზურამ უამბო.

კაპუჩინო არ ვარგოდა. საერთოდ არ იყო კაპუჩინო. უფრო კაკაოს ჰგავდა. ალბათ იმიტომ, რომ ძალიან წყალწყალას აკეთებდნენ. ეს გაგიკვირდებათ, ძმანო? თბილისი გახლავთ. საერთოდაც, მგონი, ახალი ამბავი იყო, რომ კაპუჩინო არსებობს.

თათუნამ დააპირა, ზურას ვეტყვი, კაპუჩინო არ ვარგაო, მაგრამ გადაიფიქრა, რაიმე არ ატეხოსო.

საერთოდ, გამუდმებით ეშინოდა, რომ ზურას რამე არ აეტეხა.

სახლში ჯანდაბას, ქუჩაში.

ეს გოგოების ბრალიც იყო. სულ თავიდან ისინი ეჩიჩინებოდნენ: იცი ეგ ვინ არი? იცი ვინ არიან მაგის ძმაცაცები? რო იცინის, ის ხო არ გგონია? იცი, ეგენი რაებს აკეთებდნენ? მაგან და კვეტომ, ერ-



თხელ... მაგან და გამცემლიძემ ერთხელ... ახლა თათუნა გოგოებზე უკეთ კი იცნობდა ზურას, მაგრამ ამ უცნაურ შიშს, რომ მის ქმარს სახალხოდ რამე არ აეტეხა, მაინც ვერ მორეოდა. განა ამას ვერ ვხვდებოდი? თან კიდევ, თათუნაც ხო არსებობდა? იმასაც ხო ქონდა თავისი ხასიათი?

თათუნამ ჩაკეტვა იცოდა. დადუმება. ზოგჯერ ისე გამოვიდოდა, რომ ზურა რაც უფრო ფართოდ გამოაღებდა თავის ალაყაფებს, თათუნა მით უფრო მჭიდროდ გადაარზავდა თავის კლიტებს.

აი, ეს იყო თქვენი კიკილას თვალთახედვით და მეტი არაფერი. თუმცა, მეტი რალა უნდა ყოფილიყო?

თათუნა კითხულობდა, ზურა ხუმრობდა:

— აი, მზითევი... რამდენი ტონა იქნება? — და თაროებს ახედავდა — ა, კიკილ... მაგარია?

აქაც, ამ კაფეში, თათუნა ნემსებზე იჯდა. ზურა კი ცდილობდა, გაემხიარულებინა. სხვაგან დიდად არც ჩანდა, რომ ზურა მხიარული იყო. თათუნასთან კი გაიქაჩებოდა ხოლმე.

— ეხლა საქმე მაქ შენთან, კუკლუმ, — თქვა უცებ ზურამ. მანქანის გასაღებით ფრჩხილს ინმენდდა.

— არ უნდა მითხრა?

— არა... კი უნდა გითხრა, მარა... ეხლა მერაბა რო იყოს... ან ბიჭები... ნიკუშა... უფრო თავისუფლად გეტყვოდი... კი არ მიტყდება, მარა...

„რალაც საშინელებას მეტყვის ვილაც გოგოზე... მაგიტო არ შემიშვა კონსულტაციაში...“ გაიფიქრა თათუნამ, მაგრამ უფრო შორს წასვლა ზურამ აღარ აცალა:

— თათუნ, ხო იცი როგორც არი... არსებობენ პოლიციელები. არსებობენ ბიჭები... მერე მოუვით ხოლმე ერთმანეთთან ჩხუბი და ზოგჯერ პოლიციელები იმალეობან, ზოგჯერ ბიჭები...

— ადრე პოლიციელები იმალეობდენ...

ზურას გაეცინა.

— ეხლა მაგას ბევრი დრო უნდა... — თქვა ხმადაბლა — იმ ოთახში ხო მაინც არა ვართ... შეიტან ნიგნს, გამოიტან ნიგნს, ხო?

— ხო.

— ხო. ეხლა ეგეთი ამბავია. ამაღამ მე ერთ ბიჭს მოვიყვან და ცოტა ხანს იმ ოთახში იცხოვრებს. გაუფორებთ ჩვენი სპალნის ტელევიზორს და არ გამოვა საერთოდ...

თათუნამ პირი დაალო, თითქოს რალაც უნდა ეთქვაო, იმ გაციებულ კაპუჩინოს ფინჯანი კი ხელში შერჩა. თითქმის სავესე ფინჯანი.

— ეხლა ვიცი, რაც უნდა თქვა და ჯობია არ თქვა... საქმელები შენ არ უნდა უკეთო, შენ არ უნდა ურეცხო და შენ არ უნდა უკერო ნასკები...

— მაგას არ ვამბობ, — წაიკნავლა თათუნამ.

— ყველა ცოლი მაგას ამბობს. კუკლუმ კიდე არა... — გაიცინა ზურამ — ეხლა გეტყვი პირდაპირ. იმ ოთახიდან საერთოდ არ გამოვა. რასაც ჩვენ შევჭამთ, იმას შეჭამს. შენი მაგრა შერცხვება. თვალელებიც არ შემოგხედავს. სმა არ იქნება... რისიც შეგეშინდა, წამლის ხარშვა არ იქნება. ცოტა ხანს დარჩება... შენთვის სამიში არ არი. შენი გულისთვის ტანკს შეუვარდება... არ დადუმდე ეხლა...

— ექებენ? — რალაცას დაებლაუჭა თათუნა.

— სადაც წაასწრებენ, იქ დაატყნავენ — თქვა ზურამ — მაგრა უჭირს...

— მკვლელია? — სხვა რა გაახსენდებოდა თათუნას.

— არა.

— და ვინმე რო მოვიდეს, სტუმარი? — ეს კი იყო ჩასაბლაუჭებელი.

— ეგ ოთახი გასაღებით იკეტება... ჩაკეტილია და მორჩა... ჰა, თქვი ეხლა...

— რა ვთქვა?

— რა ვქნა...

— მე რო გითხრა არა-თქო, არ მოიყვან?

— ვახ, რა მურტალი კითხვები იცი, — სიგარეტს მოუკიდა ზურამ — კაი. შეილება მოვიყვანო?

— ხმადაბლა, ხალხია — შეშინდა თათუნა — კარგი, მოიყვანე...

— ნუ შეგეშინდება რა, კუკლუმ... ნუ ხარ ეგეთი მშიშარა...

— ვინ არი?

— ბიჭია რა...

— სახელი არა აქვს? ხო უნდა დავუძახო...

— როგორ არა აქ, — გაეცინა ზურას — ზახოდა, წყნეთელი...

ბავშვობის ძმაკაცია... ყველა ზაფხულს... ძმა არი, რა... ხო იცი, როგორ ითვლება?

— მე ზახოდა დავუძახო?

— რავი, თუ გინდა დაუძახე...

— ნამდვილი სახელი მითხარი...

ზურას გაეცინა.

— რა იყო, არა აქ ნამდვილი სახელი?

— სოგრატი.

— რა?

— სოგრატი.

თათუნას სიცილი წასკდა.

— სოგრატი ი ბაგრატი. ბაბუამისის სახელია. სოგრატი ყვავილამვილი...

— და სოგრატი ყვავილამვილი არი შენი ბავშვობის მეგობარი? — ძალიან გახალისდა თათუნა.

— ძმა.

— და არი ყაჩალი?

— არა... რა ყაჩალი... ერთი მორფინისტი ბიჭია. სანყალი, მაგარი ნესიერი, დარდიანი. სულ მიწაში იყურება.

— ეხლა ნუ შემეყვარებ... სოგრატი ყვავილამვილი, — გადაიკისკისა გოგომ.

— ნეტა მაგიტო დამეწყო... ეგრე ხო არ გადაირეოდი.

— როდის გადავირიე? სოგრატი ყვავილამვილი! — შესძახა თათუნამ. — სახლში რას ეძახიან?

ზურამ წარბები შეკრა და სწრაფად და ბრაზიანად გამოისროლა:

— სოგრო!.. სოგროუ!..

კვლავ იცინოდნენ.

— წამო რა, წავიდეთ... დედაჩემთან ხო დამტოვებ?

— ხო... სოგროუ!..

— ფხუ!...

ღამით კი თათუნა დივანზე მიწოლილიყო. ელოდა. თორმეტი ხდებოდა, კარის ხმა რომ გაიგონა.

— შემო, ხო...

თავჩაქინდრული ჯეელი შავტუხა უნდა ყოფილიყო. ერთი ნომერი პადსტაკით გადაღებული თმა და ხშირი, გადაბმული წარბები ჰქონდა. ხელები ჯინსის ჯიბეებში ჩაეტენა და ხალიჩას ჩამტერებოდა.

— აი, თათუნ, ეს არი ზახოდა, — თქვა ზურამ — დაჯე...

ზახოდა დაჯდა. ერთხანს ისევ ხალიჩას ჩამტერებოდა, მერე კი ტელევიზორისკენ გააპარა თვალი. თათუნა სამზარეულოში გავიდა და დაიძახა:

— ზურა...

— რა იყო? — შეჰყვა ზურა...

— მისმინე... ნამცხვარი გავაკეთე... აი, რულები... ეხლა მე მაგათი არ ვიცი, საღამოსაც ხარჩოებს და რამეებს ჭამენ, თუ... იქ კატლებია ხვალისთვის... ლოგინი დავუგე და ტელევიზორი გავიტანე... ოღონდ ანტენა ვერ შევადრეთ... იქ თავთან ყვითელი პირსახოცი უდევს... თუ უნდა, დაიბანოს...

ზურამ შუბლზე აკოცა სწრაფად.

— კუკლუმ, — თქვა ჩახრინწული ხმით — რა კლინტი ხარ...

ჩაიზე ზახოდა მოშინაურდა. ასევე შავი, ბრაზიანი თვალები გამოაჩინა. ზურამ კონიაკი გამოაძრო კარადიდან.

— კურვანი გავიგია, ხეჩო? — დაანახა სტუმარს.

— მაგარი იქნება. რათ უნდა გავება? — ეს იყო ზახოდის პირველი სიტყვები ამ ოჯახში. სამ-სამი რომ ჩაარტყეს, ზახოდამ ფეხიანი ჭიქა აიღო და წამოდგა.

— თათუნ, შენი სადღეგრძელოა, — ჩაიფხუკუნა ზურამ.



— თამრიკოს სადღეგრძელო მინდა შეესვა... — გული ამოაყოლა ზახოდამ — დღეისდღეისობით, ჩემო დაიკო, მე შენ არ გიცნობდი. გიცნობდი, რა, შორიდან. როგორც ზურას ულაპარაკნია, ისე გიცნობდი. ამ ბინაშიც ეხლა პირველად ვარ.. .

— რა პირველად, — გაუჯავრდა ზურა — რაც შენ აქ გიცხოვრია...

— რაც თამრიკომ შემოაბიჯა ამ ქერის ქვეშ. დღეისდღეისობით ეს ბინა არი გამთბარი შენი სიყვარულით, ჩემო დაიკო... დღეისდღეისობით, მე მიჭირს. ან დავრჩები, ან მოვკვდები. თუ დავრჩები, დღეის შენი დახვედრა მემახსოვრება სულ. დამახსოვდება. სულ ბოლომდე სულ ვიტყვი, რო ჩემმა დაიკომ მე გული დამანახვა... გაგიმარჯოს თამრიკო, შენი პატარა ძმა ვარ...

— შენზე უმცროსია, ტო, — ხელი წაკრა ზურამ.

— მე ყოველთვის უნცროსი ვიქნები, — თქვა ზახოდამ — ყოველთვის პატარა ვიქნები თამრიკოსთან.

მერე ზახოდას ეძინა.

— რა დააშავა?

— რათ გინდა? რამე რო მოხდეს...

— რა უნდა მოხდეს? — შეშფოთდა თამრიკო.

ზურამ ჩაიღიმა, რო იცოდა ხოლმე, ისე:

— მოატყუა ვილაცეები. დაიჭირეს, პრაკოლი უნახეს. წაიყვანეს. იქ თქვა, ბარიგას დაგაჭერინებთო. ოღონდ ორასი დოლარი მომეცით, ფული არა მაქ და ხო უნდა მივცეო. თავისი ჯიბიდან გაატანეს. შეუშვეს პადიფდში, ქვემოთ ელოდებიან. ავიდა, წამალი აიღო და მოტყდა... ექებენ. ეგ არი, მეტი არაფერი. იპოვნინან, დაჭყლიტავენ...

— ექებენ?

— აბა რას იზამენ, გოგო? ვინ შეგარჩენს? ეგ დაცინვაზე უარესია..

— და როგორ გამოიპარა?

— კითხე და გეტყვის. სულ შენთან არ იქნება?

ზურამ ტელევიზორს გაუშტერა თვალი.

— ზურა? — მიეხუტა თათუნა — მეც რო რაღაცა გითხრა...

— აბა, რისთვის ვარსებობ? ჰა...

— არა, რა ვიცი...

— ჰა, მოვკვდი, მიდი რა... — წამოჯდა ზურა.

თათუნა მოემზადა. სცადა სუნთქვა მოენესრიგებინა.

— აქ ვილაცა რეკავს, ზურა.

— მდუმარე?... შენ მაგაზე არ ინერვიულო, — გაეცინა ზურას.

— აღარ არი მდუმარე, ლაპარაკობს...

— ვა... რაო, რა მინდაო?

— მაშინებს.

— რა?

— მკვლელია.

ზურამ გადაიხარხარა.

— ჩუ, არ გაელვიდოს.

— რას გაშინებს?

— საშინელებებს ამბობს და მართლდება... იმ დღეს დარეკა... ქალბატონ თამარს მეძახის... მეოთხეზე ცხოვრობთო, დღეს შენი მანქანის ნომერი მითხრა...

ზურა დუმდა.

— ქალი მოვკალი გლდანშიო. კრიმინალურ ქრონიკას უყურეო... რაც მოყვა, ის იყო ტელევიზორში.

— რა იყო?

— ზუსტად ისე იყო. ქალი, აკუნული, — ატირდა თათუნა — მოგძებნიო. ჩემი მესაიდუმლე ხარო...

— რატო არ მითხარი?





— მერე აღარ დაურეკია და...  
 — რა, რა?  
 — და დღეს დარეკა. მტკვარში რო კაცი ნახეს, მე გადავაგდეო. და უყურეო... ვუყურე. იყო. მერე რო ვუყურებ, რეკავს და მაშინებს. დაფუკიდებ, რეკავს.  
 — ნუ იღებ! — წამოხტა ზურა და სიგარეტის კოლოფს სტაცა ხელი — მე ავიღებ!.. ნუ ტირიხარ.. მაგას მოუტყენავ დედის ტრაკს!.. მაგას გაფხრავე, მე მაგის.. ნუ ტირიხარ!  
 — მანიაკი ვარო, — ამოისლუკუნა თათუნამ — ვერ დამიჭერენო, შენსკენ მოვიწვეო...  
 — ნუ იღებ! გესმის?... რა შარში იგდებს ზოგი თავს, ა?  
 — შენ რო არ ხარ, მაშინ რეკავს... ასე გამოდის, — აღმოხდა თათუნას.  
 ზურა სავარძელში გაშეშდა. კარგა ხანს იჯდა ასე, ეწეოდა და მიშტერებოდა ტელევიზორს.  
 — ე, — მოისმა ბოლოს — ე... წამო, კუკლუმ, დაფწვეთ... მანიაკებს და ანანისტებს მე მივხედავ... შენ ზახოდა არ გამიცო...

### III თავი, მაიაკის გათამამების ჩვენებით, კიკილას გარეშე და ზახოდასთან ერთად

ზახოდა კაბინეტში შეკეტილიყო. ზუსტად ისე, როგორც ზურა ამბობდა.  
 — სოგრატა რას შვება? — შემოსული არ იყო, იკითხავდა ზურა.  
 — წიგნებს ითვლის, — ეცინებოდა თათუნას — რატო რუსული

კითხვა არ ვიცო, ამბობს...  
 — ქართული ხო იცის, — უხაროდა ზურას და კარს შეაღებდა, — გამო ჰა, ბიბლიოთეკის გამგე...  
 სოგრატ ყვავილაშვილი არ იყო ძნელი შესანახი კაცი. მდუმარე გახლდათ და თათუნას კარისკაცივით ექცეოდა. ზურას მოსვლამდე ოთახიდან ძნელად გამოდიოდა, ზარის ხმაზე კი უსიტყვოდ წამოდგებდა და თავისი ოთახისკენ გასწევდა. ამიტომ, სტუმრებს არასოდეს უნახავთ.  
 ასე გრძელდებოდა და თათუნას ველარც კი წარმოედგინა, რომ მათ სახლში პოლიცია მოვარდებოდა და სამივეს დაიჭერდა.  
 ათი დღის განმავლობაში, ერთადერთხელ იყო, რომ ვილაცამ და-რეკა და ქართლური ომახიანობითა და სითამამით მოითხოვა:  
 — ზურასა სთხოვეთ, თუ შეიძლება...  
 — ზურა არ არი... — მიუგო თათუნამ.  
 — მაშინ, ისა... თქვენთან ერთი ბიჭი უნდა იყვეს და იმასა სთხოვეთ.  
 — ვინ ბიჭი? — ეგლა აკლდა თათუნას, რო ასე იოლად დაეძახა.  
 — კარგი, ბოდიშით, — და დაკიდა.  
 თათუნამ კაბინეტის კარზე მიაკაკუნა.  
 — შეილება?  
 ზახოდა უკვე ფეხზე იდგა, პერანგის ზედა ლილვებს იკრავდა.  
 — ვილაცამ დარეკა... თქვენთან რო ბიჭიაო. მე უთხარი, აქ ბიჭი არავინ არ არი-თქო...  
 — როგორი ხმა ჰქონდა, თამრიკო? — ჰკითხა ზახოდამ.  
 — შენნაირი, — თათუნამ სხვა ველარაფერი მოიფიქრა.  
 ზახოდას ჩაეცინა.  
 — პოლიცია ხო არ იქნებოდა?  
 — ა-რაა... პოლიცია წინდანინ ხო არ დარეკამს, გეგმზადეო. შეილება დავრეკო?

— დარეკე და საერთოდ... ნუ ხარ შეკეტილი. ეს ტელევიზორი გა-  
მოგაშტერებს... გინდა წიგნი ავირიჩო?

— რუსულათ არ ვიცი და სურათებს ხო არ ვნახავ შიგა?  
— ქართულს მოგცემ...

ზახოდა სასტუმრო ოთახში გავიდა, თათუნამ კი თაროები აათვალ-  
ჩაათვალღერა. მერე ქვემოდან ერთი მწვანეყდიანი ტომი გამოაძრო  
და გადაფურცლა.

— ტელეფონი რეკავს, თამრიკო... — შემობრუნდა ზახოდა.

— მესმის... აი, ეს არი კვაჭი კვაჭანტირაძე... დაჯექი და წაიკი-  
თხე. პირველი რომელიც არი, ისა...

ზახოდამ ჩაიღიმა. ტუჩებს ძლივს მოუყარა თავი და წიგნი გა-  
მორთვა.

თათუნა ტელეფონისკენ გაქანდა. ტელეფონს რა დალიდა? რე-  
კავდა და რეკავდა.

— ქალბატონო თამარ...

ღმერთო! ათი დღეა არ დაურეკია და..

— მე... აქ აღარ დარეკოთ...

— ქალბატონო თამარ, ყურმილთან არმოსვლა, დამალვას არ ნიშ-  
ნავს... — ჩახველა მანიაკმა — მომენატრეთ. ამიტომაც მოგანა-  
ტრეთ თავი.. მითხარით რამე და მერე მე გეტყვით ახალი საგმირო  
საქმეების შესახებ.

— რა გინდათ ჩემგან, — წაიჩურჩულა თათუნამ.

— თქვენგან?... როგორც რაინდმა, ჯერ საგმირო საქმეები უნდა  
ჩავედინო და უამრავი ვიგინდარა მოვსპო... ეს კი თქვენ მოგიძღვ-  
ნათ. ვეფხისტყაოსანი ხო გისწავლიათ სკოლაში?

თათუნას არ უპასუხია.

— თუ დაგივლიათ, ტარიელს რამდენი კაცი ჰყავდა მოკლული?  
დონ კიხოტი ვერ კლავდა და ყველა დასცინოდა. ახლა მისმინეთ...  
სანამ შეეხვდებით, დღეს ცხრის ნახევარზე...

— ვიცი, — აღმოხდა თათუნას.

— საინტერესოა, რა იცით?

— ვიცი...

— ესე იგი, თქვენ უკვე ელოდებით... ამჯერად თქვენ გეძღვნებათ  
ერთი საზიზღარი ადამიანის თავი... მარად გაღეშილმა, ვარკეთი-  
ლის მეტროსთან ჰპოვა აღსასრული. შეღამებული იყო და ის შინ  
მიდიოდა, ვინ იცის, ეგებ ცოლის საცემრადაც, მაგრამ ვინ აცა-  
ლა?... მკვლეელი კვლავ არ ჩანს. დიახ, ალიკ ნასიევა ისედაც ბევრი  
იცოცხლა. უყურეთ და დატკბით, ეს თქვენ გეძღვნებათ... აბა, რას  
იტყვით?

— აღარ დარეკო... გემუდარები... გეხვენიები, აღარ დარეკო...

— ქმართან გამთქვით? თუმცა, ეს სულერთია. ნუ მიპასუხებთ.  
ამ ბოლო დროს, რაღაც ადრე ბრუნდება შინ... ჩანს, რაღაცამ შეაშ-  
ფოთა. თქვენც სულ გარე-გარე და-  
ღიხართ, დაყვებით. ეს რას ნიშნა-  
ვს, მე გამირბიხართ?

თათუნა აქვითინდა.

გაიგონა, როგორ

გაჭრიალდა

კაბინეტის

კარი.

ოთახში ზახოდამ შემოყო თავი. თვალებით ჰკითხა, რა ხდებო.  
თათუნამ თავი გადააქნია და ტუჩებზე თითი მიიღო.

ზახოდა გაქრა.

— ჩვენი შეხვედრა ბედისწერაა, — მოისმა ყურმილიდან.

— მანიაკი ხარ.. — ამოთქვა თათუნამ.

— თქვენ რა იცით მანიაკების, ქალბატონო თამარ... თქვენ რა  
გესმით. როგორც გულის მანდილოსანს, ისე გეტრფით, თორემ გგო-  
ნიათ ვერ ვხვდები, რომ ამ ქვეყნისა ბევრი არაფერი გაგეგებათ. აი,  
თქვენ მაგალითად, პიტერ აკროიდი გაგიგიათ?

— ვინ?

— აი, ხომ ხედავთ... ესეც დავალეხა თქვენ... მოძებნეთ და წაი-  
კითხეთ, პიტერ აკროიდი, „ელიზაბეტ კრის პროცესი“... მიხვდებით  
ვინა ვარ, რა და როგორ... უყურეთ ალიკ ნასიევის საზარელ მკვლე-  
ლობას „კრიმინალურ ქრონიკაში.“ ახლოვდება ჩვენი მწველი ამბო-  
რი...

თათუნამ დაკიდა.

ტელეფონი, რა თქმა უნდა, აზუზუნდა.

— აღარ დაკიდოთ ხოლმე... მომავალ შეხვედრამდე.

თათუნა იჯდა და ცრემლს ინმენდა შუათითით.

— ხო მშვიდობაა, თამრიკო, — ზახოდა ოდნავ დაბნეული, მაგრამ  
ანთებული ჩანდა.

— კი...

— ვინმე მოკვდა?

— არა, არა...

— ეხლა მე ვინ მკითხავს, — კეფა მოიქექა ზახოდამ — ზურა აქ  
არ არი და... თამრიკო, შენ ვინც განყენიებს, კუბოში ჩავანვენ... აი,  
ესე, პაბეგში რო ვიყვებ და ოთახიდან ვერ გამოვდიოდე, მანიც...

— მადლობთ, ზახოდა...

— ეგრე, — სახე გაუნათდა წყნეთელს — ძლივასძლივას სახელი  
არ დამიძახე?

— არ ვიცოდი რა დამეძახა... სოგრატა დაუძახეო, ზურა მეუბ-  
ნება...

— ჩემი ნათლია რა ვთქვი, — დადნა ზახოდა — პარიკმახერს  
მონათლინეს ჩემი თავი... და რა მაგარი ბიჭი გამოვედი. ჩემი და,  
კიდე, ქურდმა მონათლა, შალიკო გასპაროვმა. მე უთხარი, თქვე-  
ნა, ქალო, დედაჩემს უთხარი, ქურდს ვერ მომანათლინეთ? ქურდის  
სული მაქ და პარიკმახერ ბარდუას რო მომანათლინეთ, პარიკმახერი  
გინდოდა რო გამოვსულიყავი?

თათუნამ გადაიკისკისა.

— ხო, ეგრე იყო... მერე ჩემი და გაჰყვა... ე... — ხელი ჩაიქნია  
ზახოდამ.

— მოყვივი... მოყვივი...

— სიძე ვცემე, რა.. სულ კანისტრა ვურტყი...

— რატო, კაცო... — იცინოდა თათუნა.

— აბა, და რო გაატანო, როგორია... თან, ეგეთსა... ქორნილში და-  
ვცხე ის კანისტრა, — ჩაიხითხითა ზახოდამ — დავითვერი მაგრათ  
და წავინიე ზედა, დაგიმტვრევე სათბურებს-თქო. სათბური ჰქონდა  
მამამისს, კაი დროში. ეხლა რაღა აქ სანყალს. ვინ მიმიშვა. რო წა-  
ვინიე და ჩამომიყვანეს ეზოში. დამსვეს. იქ დავინახე ის კანისტრა  
და, ერთიც არი და, ვხედავ, ჩამოვიდაა... დავცხე თავში.

— და რატო, რატო.. — კინაღამ ჩაბჟირდა თათუნა.

— რატო, რა და ჩემი და უნდა იმასექნა და, — დაიმორცხვა ზახო-  
დამ.

— ეხლაც ცემ შენ სანყალ სიძეს?

— თუ გაახურებს, ეხლაც ვცემ, რა... მარა ეხლა რუსეთშია, რეი-  
სავიკი გახდა. ორჯონიკიძეზე მოაქ მანქანებით, — ხელი ჩაიქნია  
ზახოდამ — რა ქნას, ხო უნდა აჭამოს ამათა...

— მოდი, ეხლა, მე და შენ გავაკეთოთ შოკმანჟე...

— ჰა? — შეცბა ზახოდა.

— შოკმანჟე. ტკბილია ეგეთი, შოკოლადის, უნდა შევყინოთ.

— ჰოოო, — ამოისუნთქა ზახოდამ — რო არ ვიცი?

— გასწავლი, მაგას რა უნდა?







— ხინკალი ვიცი... მწვადი, ლიუბოი საჭმელს გაგაკეთებ. საქელეხოს, ჯვარი წერია ასი წელი, ვაფშე გაგაკეთებ.

— წამო, წამო, — და ვითომ მკაცრად უთხრა — ნიგნს ძილის წინ წაიკითხავ...

შელამებულზე, როცა ზურა მოვიდა, როცა ის-ის იყო დამთავრდა კრიმინალური ქრონიკა, რომელსაც ზახოდამ განუზომელი ინტერესით უყურა, ოღონდ არა თავის საკანში, არამედ ლოჯში და რომლის ცქერისასაც თათუნამ გულისფანცქალით ჰკითხა სტუმარს, ეს ლოთი კაცი რატომ უნდა მოეკლათო, ხოლო ზახოდამ მიუგო, ვინმე თავის-ნაირს შეეყრებოდა, ეგეთი, დღეში ასი კაცი კვდებაო, ჰოდა, როცა ზურა მოვიდა, თათუნამ ზარ-ზეიმით გამოუცხადა:

— სოგრატ ყვავილაშვილმა შოკმანყე გააკეთა.

მხიარული საღამო გამოვიდა.

— ერთ-ორ დღეს და მეტს აღარ შევანუხებ თამრიკოს, — გაიღორბლა ზახოდა.

— მერე შოკმანყეს ვინ გაგვიკეთებს? — ხალისობდა თათუნა.

— ბირჟაზე უნდა ჩახვიდე წყნეთში, კინოსთან. .. რა ქვია, კაფე როა, ერთმანეთს რო ბრიდავთ ხოლმე? იქ უნდა ჩამოარიგო შოკმანყე, — სთავაზობდა ზურა.

მერე თათუნა სამზარეულოში იყო და ჭურჭელს რეცხავდა. ჩაესმოდა როგორ ჩურჩულებდა ზახოდა. მერე ზახოდა კაბინეტში გავიდა.

— თათუნ, მოდი ერთი აქ...

„უთხრა, რო ვტიროდი,“ გაიფიქრა თათუნამ და გაუკვირდა, იმ ზარის შემდეგ რა სწრაფად დავდექი კარგ ხასიათზეო. ყურმილი რომ დაკიდა, მაშინაც აღარ იყო შეშინებული და აცახცახებული. ამას ახლა მიხვდა.

— თათუნ!

— ხო, რა იყო... — ხელები შეიმშრალა თათუნამ.

— მოდი, აქ დაჯექი..

— აჰა, დაჯექი...

— კუკლუშ, რაც მე და შენ ცოლ-ქმარი ვართ, გიტირია? — თვალი თვალში გაუყარა ზურამ — და ეხლა არ თქვა, ზახოდა ჩამშვები ყოფილაო. ზახოდას გული გაუხეთქე. ნახევარი საათი ცეკვა-თამაში დავინყე, რო გაცინებოდაო... რატო, კუკლუშ?

თათუნამ ვერ უპასუხა. უცებ:

— იმ დედამოტყუნლმა დარეკა, ხო? მითხარი, ერთი... მითხარი, რა თქვა... ჩქარა, თორე ავნეე აქაურობას ჰაერში! — ზურამ სკამს ფეხი ჰკრა და გადააყირავა. გაფითრებული იყო.

— ისევ დაემთხვა, — თავი ჩაქინდრა თათუნამ.

— ნუ იღებ ტელეფონს! ნუ იღებ ტელეფონს! — აღრიალდა ზურა — ნომრის გამომცნობს მოვიტან... — ძლივს ამოისუნთქა ბოლოს.

— როცა შენი ქმარი სახლშია, მაშინ არ დავრეკავო...

„როგორ არ მივიდე ტელეფონთან?“ გაიფიქრა თათუნამ, „ეს ზახოდაც მაგარი ვინმე ყოფილა. როგორ უთხრა...“

— ჩემი ეშინია არა, მაგ დედამინერილს... სწორათ ეშინია... შარი რა, შარი... ზახოდა ეგრე უნდა მოქცეულიყო, გესმის? — თითქოს ესმოდა ზურას.

— მე გეტყოდი, — დაიკნავლა თათუნამ.

— როდის, შეიდშაბათს? — უცებ გაიცინა ზურამ — რატო უნდა ტიროდეს ჩემი ცოლი?

მერე ისინი ინუნენ.

თათუნა თვალგახელილი ფიქრობდა:

„ელიზაბეტ კრის პროცესი“.

სად ვიშოვნო?

გაგრძელება შემდეგ ნომერში ■

# PANTENE

## ძლიერი თმის ძირითადი ელემენტი



სერტიფიცირებულია



ამინო + Pro-V კომპლექსი





# „ბიჭებო, სვით არაყი, მიაყოლეთ პური, გიყვარდეთ გოგოები და სამოთხეში მოხვდებით!“

## მაგდა ნოვაკოვსკა უკვე თბილისელი გოგონა

„სიყვარულში კომპრომისზე წასვლა ძალიან ცუდია. თუ გიყვარს, უნდა გიყვარდეს. სიყვარულის გამო კომპრომისზე წასვლა კი სულ სხვაა. აქ ალბათ პრიორიტეტებშია საქმე. თუ შენს ცხოვრებაში სიყვარულია მთავარი და არა კარიერა, მაშინ სიყვარულისთვის ყველაფერზე წახვალ. მთავარია, საკუთარ თავთან იყო მართალი,“ – ასე ფიქრობს პოლონელი გოგონა მაგდა ნოვაკოვსკა და ამ სიტყვებში ალბათ თავის ქართველ მეუღლეს, ზაზა კორინთელს (ზუმბას) გულისხმობს. მაგდა რამდენიმე წელია საქართველოში ცხოვრობს. უკვე ტკბილი ქართულით მეტყველებს და შორისდებულებიც ქართული წამოსცდება ხოლმე. მშობლები ზოფია და სტეფანი, ასევე უფროსი და – კატაჟინა ხშირად ენატრება. გახარებულია, რომ მშობლებს დიდი ხნის ოცნება აუსრულებიათ და საკუთარი სახლი შეუძენიათ ქალაქ ქელცის მახლობელ სოფელში, ისეთ ადგილას, „ტურები რომ ჩხავიან“. კატაჟინა კი თურმე გემზე მონყობილა სამუშაოდ, გემს „ტრანს-ატლანტიკი“ ჰქვია და მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს. „ისიც ჩემი ხასიათის არის, ვერ ჩერდება ერთ ადგილას“, ამბობს ჩვენი რესპონდენტი. თავად მაგდას კი ასეთი მოუსვენრობა პირველად შვიდი წლის წინ დაეტყო.

## „გამარჯობა, ია იზ გრუზიი!“

1997 წელი. კრაკოვს ბუდი ასდის. ისმის მუსიკა. საზაფხულო კონცერტს, სიცხის მიუხედავად, მაყურებელი არ აკლია. მზე ჩასასვლელად ემზადება, ხალხი კი თანდათან მატულობს. ფიქრებში გართულ პოლონელ თინეიჯერს, მაგდა ნოვაკოვსკას კი ველოსიპედზე ამხედრებული დასიცხული რაინდი მიუახლოვდება და მამა-პაპური, კავკასიური აქცენტით ეტყვის: „გამარჯობა, ია იზ გრუზიი!“

„გრუზინს“ მაშინ ველოსიპედი ჰყავდა. დღევანდელივით სამთვლიან ლურჯ მოტოციკლეს ჯერ არ დააგეგმებდა! ჰოდა, ეს ჩვენი მხედარი ზაზა კორინთელიც, დასეირნობდა ველოსიპედით კრაკოვის ვინრო ქუჩებში და პოლონელ გოგონები თავისი ორენოვანი მისაღებებით ხიბლავდა.

თავიდან ჩამავალი მზის ფონზე ამ უცხოტომელი ბიჭის მხოლოდ სილუეტი მოჩანდა, შემდეგ ამ სილუეტმა ხმა ამოიღა და დამტვრეული პოლონურით კიდეც რაღაც თქვა. მერე დიდხანს საუბრობდნენ. „გრუზინი“ მუსიკოსი აღმოჩნდა. მაგდა ძლიერ მოიხიბლა. ისინი ყველაზე მეტად მუსიკის სიყვარულმა დაახლოვა. ქართული სიმღერაც პირველად ზაზასგან მოისმინა. მოისმინა და გაოგნდა. ასეთი რამ ხომ ცხოვრებაში იშვიათად ხდება – ახლადგაცნობილებს ერთნაირი განცდა დაუფლებიათ: ერთმანეთის პოვნის სიხარული. მაშინვე „დაუნახავთ“ ერთმანეთი. დაუნახავთ და შეყვარებით.

მანამდე კი 19 წლის პოლონელი გოგონა კონკრეტული მიზნებით ცხოვრობდა, კრაკოვის ჯაზის აკადემიაში სწავლობდა და თან ვიტრაჟის სახელოსნოში მუშაობდა.

პოლონეთში ვიტრაჟის ხელოვნებას თურმე მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონია. კრაკოვში მრავლად ყოფილა საოჯახო სახელოსნოები, რომლებიც ვიტრაჟის ტექნიკის საიდუმლოს მხოლოდ ოჯახის წევრებს ანდობენ. მაგდას გაუმართლა და მალე, პირველი საიდუმლოებები მასაც გაანდეს. ისიც შეუდგა საყვარელი საქმის შესწავლას. ჯერ შუშას ჭრიდა, ამუშავებდა, მერე კი ამ ყველაფერს ტყვიის ჩარჩოში ათავსებდა. თურმე კარგად გამოსდიოდა. ახლა ენა-



ავტორი: ირენ მახარაძე  
ფოტო: დათო მესხი



ვიტრაჟებიდან დოლ-გარმონამდე





ტრება ეს საქმე, მაგრამ თბილისში ვიტრაჟზე მუშაობისთვის სათანადო პირობების შექმნა ადვილი არ არის: მასალა არ იშოვება, გერმანიიდან უნდა ჩამოიტანო. ეს კი ძალიან ძვირი სიახლოვებაა.

მასალის სიძვირის გამო, მაგდას სახელოსნო ძალიან მალე გაკოტრებულა. სწორედ ამიტომ მოუხდა საყვარელ სამუშაოსთან დამშვიდობება. მაგდას ხელით შესრულებულ ვიტრაჟებს დიდი სიახლოვნებით ნახავდა კაცი, მაგრამ ზუმბას გადამკიდეს, თავისი ხელნაკეთებისათვის ფოტოების გადასაღებად, როგორც ჩანს, ველარ მოუცლია.

ყველაფრის მიუხედავად, მაგდა მაინც ოპტიმისტია. ხშირად ამბობს: „როდესაც ეძებ, პოულობ კიდევ. ბევრჯერ შეიძლება გული გეტკინოს, ცუდად მოგექცენ, მაგრამ არასდროს არ უნდა თქვა, რომ რაღაცის მერე ცხოვრება დამთავრდა. ხომ ვარსებობ. ე.ი. ის, რაც ჩემია, უეჭველად ვიპოვი“. ვინ იცის, ალბათ ამის მიზეზიც აქვს...

### მაგდას იმით გზა არ ჰქონდა

1998 წელი. თბილისი. მაგდა პირველად ჩამოდის ზაზას ქალაქში. მანამდე კი კრაკოვში ერთად გატარებული რვა თვე იყო. მაგდამ უკვე იპოვა ის, რასაც მთელი ცხოვრება ეძებდა: სიყვარული.

თბილისში ჩამოსვლას წინ უცნაური ამბები უძლოდა.

დაიწყო კრაკოვული ზამთარი და მაგდას პირველი გამოცდაც ახლოვდებოდა. ზაზა საქართველოში მარტო აპირებდა გამგზავრებას. არ უნდოდა, ამ ზამთარში პოლონეთიდან გაყინულ თბილისში წაეყვანა საცოლე. გულდანწყვეტილი მაგდა ბედს უნდა შეეუბოდა. მეტი რა გზა ჰქონდა. თან ფიქრობდა, ზაზა წავა. მერე რა მოხდება? ჩამოვა თუ არ ჩამოვა? და საერთოდ, რა არის ეს მითიური „გრუზია“, იქედან ხალხი ბრუნდება თუ არ ბრუნდება?! არ იცოდა.

ბარგით დატვირთულ ზაზას ავტობუსზე დააგვიანდა და უკან მობრუნდა. მეორე ჯერზეც არაფერი გამოუვიდა. საზღვარზე პრობლემები შეექმნა და ისევ დაბრუნდა. მესამედ, თვითმფრინავით გადანყვიტა გამგზავრება, მაგრამ რეისი გადაიდო. ისევ კრაკოვში ჩარჩა. მაგდას კი ზაზა უკვე თბილისში ეგულეობდა.

პოლონეთში დარჩენილმა ზუმბამ გადანყვიტა საცოლესთვის სიურპრიზი გაეკეთებინა. კრაკოვში ერთი საერთო მეგობარი ჰყავდათ, ქართველი ქალბატონი, ნელი. ზაზამაც მასთან შეთანხმებულად დაიწყო მოქმედება. მისი დავალებით ნელიმ მაგდას დაურეკა და უთხრა, რომ შობა დღეს ვილაც სადილად ეპატიჟებოდა. მაგდამ იფიქრა, გულს გადავაცოლებო და დათანხმდა. რას ნარმოიდგენდა, რესტორანში ზაზა თუ შეეგებებოდა. სიხარულით ცას ენია. ამბობს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო მის ცხოვრებაში. ამის მერე რაღა უნდა ექნა ქართველ ჯეელს, მოჰკიდა ხელი თავის შეყვარებულს და აეროპორტისკენ გაეშურა. ამჯერად არანაირი შეფერხება არ ყოფილა. თვითმფრინავიც იყო, საზღვარიც მშვიდობიანად გადაკვეთეს და ასევე მშვიდობით ჩამოფრინდნენ თბილისში.

ასე იყო. ზაზა კორინთელი სამჯერ არ გაუშვეს პოლონეთიდან. მეოთხე ცდაზე გაუმართლა, ოღონდ მაგდას გარეშე წასვლა არაფრით გამოუვიდა.

### მუსიკა და უძილო ღამეები

ორი წელი დასჭირდა, ქართული რომ კარგად ესწავლა. მერე კი ვინ არ მოიხიბლა მაგდას ტკბილი, პოლონურ აქცენტთან შეზავებული ქართულით. ჩემი პოლონელი ბებიაც გამახსენდა, გემრიელად რომ ურევდა პოლონურ გამოთქმას იმერულ-გურულ კილოსთან.

თავიდან ოჯახი და ოჯახური საქმეები. გვერდით ჰყავდა საყვარელი ადამიანი. მთავარი ეს იყო. მისთვის გემრიელი სადილების მომზადებაც სიახლოვებდა. ფანტასტიკურია! მაგრამ მთელი ცხოვრება წინსაფრით და ხელებდაკაპინებული ხომ ვერ იქნები? პოლონელ რძალს აქაური ცხოვრებით უნდა ეცხოვრა? არც ზაზას უნდოდა ისეთი ცოლი, მთელი დღე სინით ხელში სამზარეულოდან მისაღებ ოთახში წინ და უკან რომ იბზრიალებდა. უქმად ჯდომას ვერც მაგდა აიტანდა. როგორც ამბობს, რაღაც უნდა მოემოქმედა.

ის ხომ აბსოლუტურად უცხო ქალაქში მოხვდა. ამიტომაც ცდილობდა გარკვეულიყო, რა ხდებოდა ირგვლივ; აინტერესებდა, რას ფიქრობდა, როგორ ცხოვრობდა აქაური ხალხი. თანდათან ზაზას თბილისური სამყარო მისიც ხდებოდა: „მივხვდი, რომ ურთიერთობები აქ ადამიანურ ფასეულობებზეა აგებული“.

ასე იყო თავიდან. ახლა მაგდას უამრავი საქმე აქვს.

„დღეს შემიძლია გითხრა, რომ ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. მაქვს პატარა სამყარო, რომელიც ჩემი ხელით ავაშენე, რომელიც მართლა ჩემია“. ამ სამყაროში უმთავრესია მუსიკა. მუსიკა და უძილო ღამეები. ისე, რომ ჰკითხოთ რა პროფესიისაა, იცით რას გიპასუხებთ? „ვერ გეტყვით, მუსიკოსი ვარ თუ არა. ისე, ხანდახან ვუკრავ“.

თბილისშიც სიყვარულთან ერთად ხომ მუსიკამ ჩამოიყვანა. შარშანდელი ფესტივალის დროს, მთელი საქართველო რომ შემოიარა, სხვადასხვა კუთხეში, ოჯახებში ქართულ სიმღერებს უმღეროდნენ და კარგ ღვინოსაც ასმევდნენ. „აი, ასეთი საქართველო მიყვარსო“, ამბობს. თვითონ კარგად მღერის. დასარტყამ ინსტრუმენტებზეც უკრავს. ზუმბასთან ერთად ხშირად გამოდის კონცერტებზე. ხოლო როცა მასურბელი მის მელოდიებს აიტაცებს ხოლმე, დიდი ენერგიით ივსება. ისეც ყოფილა, რომ კარგი კონცერტის მერე, ორი ღამე ვერ დაუძინია.

მაგდა ჟურნალისტიც გახლავთ. მისი წერილები ინტენსიურად იბეჭდება პოლონეთის მთავარ გაზეთში „ვიბორჩა“. ერთი სიტყვით, პოლონელებს აქაურ სიახლეებს ამცნობს. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ წერს. ყველაზე მეტად დატვირთული რეჟიმი რევოლუციის პერიოდში ჰქონდა. ნოემბრის მოვლენებზე ოცდაათამდე სტატია დაუწერია.

პოლონურ ენასაც ასწავლის. რამდენიმე მონაფე ჰყავს. ყველაზე მეტად ეს საქმიანობა მოსწონს. თბილისში გაჩაღებულ ქართულ-პოლონურ კონფერენციებზე თარჯიმნადაც უწევს მუშაობა, ხოლო განსაკუთრებით თეატრის ხელმძღვანელის დაკვეთით, ლაშა ბუღაძის პიესას – „თეატრს“ თარგმნის.

### სიყვარული ქართულად, პოლონურად თუ უნივერსალურად

„ცხენები ძალიან მიყვარს. იპოდრომზეც დავდივარ. იქაურმა მასწავლებელმა, დიმა ერთხელ ასე მითხრა: „სამი რამ ძალიან ჰგავს ერთმანეთს ცხოვრებაში: ღვინო, ცხენი და ქალი“. ასეა, ვერ მოერევი ღვინოს ყანწით, ცხენს – მათრახით, ქალს – ძალით. სიყვარულის თუ არაფერი გაგეგება, სჯობს ახლოსაც არ მიხვიდე მათთან, სამივე ძალიან საშიშია.

პირველად, თბილისის ქუჩებში ერთი რამ მოხვდა თვალში. აქ ყველაფერი ბოლო მოდაზეა. გოგონები მოდას მისდევენ. კარგია, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად მეტყველებს ჩაცმულობა მათ ინდივიდუალობაზე. გაუკვირდა, ყველა გოგონას მაღალყელიანი ჩექმა რომ ეცვა. „ასე ერთნაირად ჩაცმულები რომ დადიან, მოილაპარაკეს თუ რა?“ ისიც ახსოვს, რაც ერთ სეზონზე თბილისში იყო მოდაში, პოლონეთში ერთი წლის მერე აუტაცებიათ.

ოთხი წელია რაც თბილისში ცხოვრობს და ამ ქალაქთან უკვე ბევრი რამ აკავშირებს. არა მხოლოდ ზაზას გამო. მოგონებები, საყვარელი ადგილები, მეგობრები. „დღეს თბილისი ჩემი ქალაქია. აბსოლუტურად ჩემი“, ამბობს მაგდა. თბილისში მაგდას პოლონელი მეგობრებიც ჰყავს: იუსტინა, კატაჟინა, ალექსანდრა. ბედნიერია, უახლოესი ადამიანები მის გვერდით რომ არიან. მათთან ერთად ყოფნას არაფერი ურჩევნია. მოენატრება? – დაურეკავს, შეუვლის. საათობით ლაპარაკობენ ათას რამეზე.

როგორც მაგდა ამბობს, პოლონელი ქალი ძალზე მოსიყვარულეა. მან კარგად იცის, თუ რა უნდა და როგორ უნდა მიაღწიოს სასურ-

ველ მიზანს, სამსახური იქნება ეს თუ პირადი ცხოვრება. ასეთია თვითონ და ასეთები არიან მისი მეგობრებიც. თუმცა მათი მთავარი პრობლემა სათანადო მამაკაცის პოვნა ყოფილა. მაგდა ფიქრობს, რომ ეს საზოგადოებაში ქალის როლის გააქტიურებამ განაპირობა, და არა იმან, რომ მამაკაცმა თავისი ფუნქცია დაკარგა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თურმე პოლონელი ქალები ვერ პოულობენ ისეთ მამაკაცებს, გვერდით ფარად რომ დაუდგებიან.

ქართველ ქალებზე საუბრისას, მაგდა ერთ ქართულ გამოთქმას იხსენებს, ოჯახში ქალიც მე ვარ და კაციცო. ქართულ სინამდვილეში მაგდა ქალს ასე ახასიათებს: ქალი ოჯახის საქმეს აკეთებს იმიტომ, რომ იცის, სხვა ამას მის ნაცვლად ვერ გააკეთებს. გარდა ამისა, ის მუშაობასაც ახერხებს და თავის მოვლასაც, ლამაზად გამოიყურება და იღიმის. ეს უნარი ქალს ბუნებისგან აქვს მინიჭებული, ასეა მონყობილი. მაგრამ თუ ამისთვის სტიმულიც აქვს, ის ქალი ბედნიერია.

მაგდას დაკვირვებით, ქართველი მამაკაცები სულაც არ ჰგვანან პოლონელებს. ძირითადი განსხვავება მენტალიტეტშიაო. პოლონეთში აქცენტი გადატანილია პიროვნულ განვითარებაზე, აქ კი ტრადიციაზე, საერთო აზრზე, საზოგადოებაზე, თავისი პატარა წრის შექმნაზე.

სამსახურიც ისეთი აქვს, რომ უფრო ხშირად მამაკაცებთან უწევს ურთიერთობა. პოლიტიკასთან მიმართებაში კი, ქართველ მამაკაცებს ასე აფასებს: პოლიტიკაში მოღვაწე მამაკაცები მამლებს შეიძლება შევადაროთ. პატარა ეზოში ათი მამალი რომ გაუშვა, ჩხუბი არ მოხდება?!

თუმცა პოლიტიკა იქით იყოს, მაგდას და ზაზას უყვართ მოგზაურობა. საზღვარგარეთ ცხოვრებაზეც უფიქრიათ. უცხოვრიათ კიდევ ვარშავაში, კრაკოვში. მაგრამ თავს კომფორტულად მხოლოდ თბილისში გრძნობენ, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე მყუდრო ბინაში. ეს პატარა, ლამაზი სამყარო თავიანთი ხელით ააშენეს. „რაც გვჭირდება, ყველაფერი აქ არის. საქართველო ზაზას სამშობლოა. დღეს აქ ვართ...“







# ამბავი ქალისა, რომელმაც ძალიან ბევრი რამ იცოდა და მაინც არაფრის ეშინოდა

ოფიციალური ინფორმაცია: 2004 წლის 28 დეკემბერს,  
71 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ,  
გარდაიცვალა „აშშ-ს სინდისი“, მწერალი და ესსეისტი  
სიუზან ზონტაგი.

ავტორი: ანა კორძია-სამადაშვილი  
ფოტო: ენი ლაიბოვიცი



ცხადია, მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთები სულშიჩამწვდომ ნეკროლოგებს აქვეყნებდნენ, გაიძახოდნენ, რომ მისი სახით, „უჩვეულო, კრიტიკული ხედვის მქონე მოაზროვნე“ და „მამაცი და ქედუხრელი დისიდენტი“ დაგვარგეთ. სალმან რუშდიმ, კიდევ ერთმა „მამაცმა და ქედუხრელმა დისიდენტმა“, ამერიკის პენ-ცენტრის სახელით უაღრესად ორიგინალური სიტყვა წარმოთქვა: „სიუზან ზონტაგი დიდი პროზაიკოსი გახლდათ, გაბედული და ორიგინალური მოაზროვნე, რომელიც სიმართლისთვის საბრძოლველად მუდამ მზად იყო. ის ჩემი დაუღალავი თანამებრძოლი იყო მრავალი ბრძოლის დროს. მან ინტელექტუალური ღირსების იმდენად მაღალი დონე წარმოაჩინა, რომ ყველა მისი თაყვანისმცემელი – ჩემი ჩათვლით – მასზე აკეთებს და გააკეთებს სწორებას. ზონტაგის აზრით, ლიტერატურული ნიჭი მწერალს იმის სათქმელად ეძლევა, რაც კაცობრიობას დღეს ყველაზე მეტად ალღევს. ტირანის პირისპირ მდგომი ნებისმიერი მწერლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი აზრის და შთაგონების თავისუფლება უნდა იყოს“.

რა მეთქმის. ისე, სალმან რუშდისგან მეტს მოველოდი.

მოკლედ: მემარცხენე ლიბერალისა და კულტურის კრიტიკოსის – ზონტაგის პროვოკაციული განცხადებები მართლაც შთამბეჭდავი იყო. ეს „რადიკალური მოდის დედა“ (ამ ეპითეტს ტომ ვულფს დავუვსებ) 60-70-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე აშკარა გავლენას ახდენდა. კარგს თუ ცუდს? – ამის შეფასება მთლიანად თქვენს მსოფლმხედველობაზეა



აროვნული ჯილდო ნიხნისთვის „ამერიკაში“. 2000 წლის 15 ნოემბერი

დამოკიდებული. ერთი კია, რომ დისკუსიების „ტემპერატურა“ აშკარად გაიზარდა და მთელს მსოფლიოს მოედო.

ო, როგორ აღიზიანებდა სიუზანი თვითკმაყოფილ საზოგადოებას! ერთხელ ბრძანა, რომ „ჩვენ ჰერმენევტიზაცია კი არა, ხელოვნების ეროტიზაცია გვესაჭიროება“; რომ კამპუსი „იდეალური ადგილია სერიოზულობის ტახტიდან გადმოსანარცხებლად“; რომ სამოციან წლებში კაცობრიობას ახალი მოციქულები მოველინენ, რომლებმაც „ახალი ვნება“ შემოიტანეს. მონინალმდეგეების მთლად ჭკუიდან გადასაყვანად სიუზან ზონტაგი თავს სერიოზული არგუმენტაციით არ ინუხებდა: ის იგებდა არა თეორიით, არამედ განწყობით, ტონალობით. 1982 წელს (და არა 60-იანების მიწურულს) კრიტიკოსი მერვინ მადრიკი თავის სტატიაში, სახელწოდებით „მომღიმარი სიუზი სიყვარულითა დაკავებული და არა ომით“, წერდა, რომ „მას (ანუ სიუზან ზონტაგს – ა.კ.ს.) ჭეშმარიტება, გულწრფელობა და რეალობასთან შესაბამისობა არ აინტერესებს. მისთვის მნიშვნელოვანია სტილი, ანუ უსტილობა, თუკი სტილში საკუთარ სიტყვებზე პასუხისმგებლობას ვიგულისხმებთ“. საბრალო მადრიკ!

თქვენ წარმოიდგინეთ, სიუზან ზონტაგი 11 სექტემბრის შემდეგაც უკმაყოფილო იყო პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის „იმპერიული პროგრამით“, რის გამოც „სამშობლოს მოღალატედ“ შერაცხეს და ახლა, მისი გარდაცვალების შემდეგ, ისიც კი ბრძანეს, ზონტაგის თავბრუდამხვევი კარიერა ინტელექტუალური მიღწევების კი არა, რადიკალური მოდის მიმდევრობის შედეგიაო.

დაე, ილაპარაკონ. როდის იყო, სიუზან ზონტაგს ასეთები აფრთხობდა?!

...

2003 წლის 13 ოქტომბერს ფრანკფურტში საერთაშორისო წიგნის ბაზრობა (სხვათა შორის, მსოფლიოში დღემდე უდიდესი ბაზრობა ყოფილა) დასრულდა. ფრანკფურტის წმინდა პავლეს ტაძარში, სადაც ოდესღაც გერმანიის პირველი პარლამენტი შეიკრიბა და, ლამაზად რომ ვთქვათ, გერმანული დემოკრატიის აკვანი დაირწა, გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანებამ მშვიდობის პრემია (პატივსა და დიდებასთან ერთად, 15 ათასი ევრო) ამერიკელ მწერალსა და ესსეისტ სიუზან ზონტაგს გადასცა. მის მიერ იმ დღეს წარმოთქმული სამადლობელი სიტყვიდან მოყვანილი ციტატები დღესაც აქტუალურია.

სამადლობელი სიტყვა, რომელსაც ცნობილმა გერმანელმა კრიტიკოსმა, ივან ნაგელმა „ყველა მოაზროვნე ინტელექტუალისთვის სამაგალითო გამოსვლა“ უწოდა, ამერიკასა და ევროპას შორის არსებულ წინააღმდეგობებს ეძღვნებოდა. ტყუილად ხომ არ იყო სიუზან ზონტაგი „ზნეობისა და უზნეობის გამაფრებული აღქმით დაჯილდოებული მშვიდობისთვის მებრძოლი“! ზოგიერთები კი ძალიან გაჯავრდნენ, საკუთარი მთავრობა ასე როგორ გაიმეტაო: „მშვიდობის პრემია პროვოკატორისთვის“ – მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, სიუზან ზონტაგს ასეთი სათაურები სულ არ სტკენდა გულს. იქნებ პირიქით, ახალისებდა კიდევ.

თავისი გამოსვლა მწერალმა იმით დაიწყო, რომ დღევანდელ სამყაროში, სადაც კითხვა და საკუთარ სულიერ სამყაროზე კონცენტრირება ლამის ცუდ ტონად მიიჩნევა, ლიტერატურა თავისუფლებას ნიშნავს. სიუზან ზონტაგმა ბრძანა, რომ „ამერიკელები თავს გავიდნენ, ვინაიდან საკუთარი თავი მიაჩნიათ ერთადერთ ძალად, რომელსაც ცივილიზაციის მომავლის გადარჩენა ძალუძს; ისინი თვლიან, რომ თავს არავის ესხმიან, მხოლოდ თავს იცავენ ავი ბარბაროსებისგან; ამერიკელებს ჰგონიათ, რომ ღმერთი მხოლოდ მათ მხარეზეა“. მსგავსი რამ მას ადრეც უთქვამს: „შეერთებული შტატები უცნაური ქვეყანაა. ხალხს მკვეთრად გამოხატული ანარქისტული მიდრეკილებები



დასვენება ზაღვი, პრესკონფერენციის წინ. 2003 წლის 9 ივნისი, რომი

აქვს და, ამავე დროს, კანონის მიმართ ლამის ცრურწმენამდე მისულ რიდს განიცდიან. ისინი უზნეო წარმატებას აღმერთებენ და თან ძალიან მკაფიო წარმოდგენა აქვთ სიკეთისა და ბოროტების შესახებ“.

ცხადია, უკვე მშვიდობის პრემიის ლაურეატ ქალბატონ ზონტაგს არც ის გამორჩენია, რომ მისთვის ჯილდოს გადაცემის დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა გამოცხადება არ ინება, და „თავისიანებს“ მწარედ გაჰკრა კბილი, – სავესებით დასაშვებად მიმართა, რომ ჯილდო ანტიამერიკული და პროევროპული განწყობისთვის მომანიჭესო. გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა ბირჟების გაერთიანებას ესლა აკლდა – ისედაც სულ აბრალებენ, რომ მისი მთავარი მიზანი საზოგადოებრივი აზრის პოლარიზაციაა. თუ მართლაც ასეა, ამჯერად გაერთიანებამ მიზანს აშკარად მიაღწია – იმ, უკვე შორეულ 2003 წელს, მშვიდობის პრემიის გამო დიდი ვნებათაღელვა ატყდა...

**„ვიეტნამი პატარა ქვეყანაა, სადაც მშვენიერი ხალხი ცხოვრობს. მას მსოფლიოში ყველაზე მდიდარი, ძლიერი და უზომოდ შეიარაღებული ქვეყანა სასტიკად და სრულიად უსაფუძვლოდ ჩაგრავს. ამერიკა დანაშაულებრივ, კრიმინალურ სახელმწიფოდ იქცა, რომელიც თვითკმაყოფილებით, უძლებობითაა გარყვნილი და იმ შემზარავი რწმენითაა გამსჭვალული, რომ მას სამყაროს ბედის გადაწყვეტის უფლება აქვს“.**

**სიუზან ზონტაგი**


ჩვენ, ყოფილ საბჭოთაკავშირელებს, ტოტალიტარიზმისა და ადამიანთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ მებრძოლი მწერლები და

საზოგადო მოღვაწეები, წესით, ვერ გაგვაკვირვებენ. მაგრამ ისიც კარგად გვახსოვს (იმედია, გვახსოვს), რომ დასავლეთში მცხოვრები, პროგრესულ ინტელექტუალებად შერაცხული მოღვაწეები ჩინებულად ხვდებოდნენ, თუ რა ხდებოდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, მაგრამ დუმდნენ იმის შიშით, რომ მათ განცხადებებს ბურჟუაზიის დემოკრატიული ფასეულობების დამცველები „ბოროტად გამოიყენებდნენ“. ამიტომ ისინი არც საბჭოთა ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეჭრას აღუშფოთებია და არც ავღანეთის ომი განუხილავთ განსაკუთრებული გზებით. სამაგიეროდ, თუ სადმე, სამხრეთ ამერიკაში, ვინმე პატარა ბიჭს თავში წაარტყამდა – ოოო!

დღესაც ასეა: ევროპელი და ამერიკელი ინტელექტუალების დიდი ნაწილი ადამიანთა უფლებების დარღვევის გამო საშინლადაა დასტრესილი, მაგრამ არა მაშინ, როცა მოქმედება კუბასა თუ ჩინეთში ხდება. პაციფისტური მოძრაობაც ამავე კალაპოტში მიედინება: ის, რომ ნატო იუგოსლავიას შეეხო, ძალიან ცუდია ის, რომ ერაყში ომია, ძალიან ცუდია; ჩეჩნეთის ომი კი რა... მე ისიც კარგად მახსოვს, ბერლინის პენ-კლუბის წევრები რომ გასძახოდნენ, სერბები რა სახსენებელი არიან, ჰკა მაგათა, ჰკაო.

სიუზან ზონტაგი კი უკომპრომისო ქალბატონი ბრძანდებოდა და, სხვათა შორის, ჩეჩნეთის ომის წინააღმდეგაც ილაშქრებდა. ერაყის ომსა და პრეზიდენტ ბუშს ის ისეთივე წარმატებით „მისწვდა“, როგორც მარკესსა და კუბას: „გაბრიელ გარსია მარკესი ფიდელ კასტროს მეგობარია, კარგად იცის, კუბაზე რაც ხდება და დუმს“. საშუალო სტატისტიკურმა პაციფისტებმაც ვერაფერი მოუხერხეს ზონტაგს, რადგან მას შეეძლო მშვიდად ეთქვა: „ძალადობა ყოველ-





სიუზან ზონტაგი. ენი ლაიოვიციის ფოტო

თვის გასაკიცხი როდია, ყველა ომი როდია უსამართლო“. მოკლედ, პაციფისტებიც გადაკიდებული ჰყავდა. ძალიან მოჩხუბარი ქალი იყო. მივიდა, დაინახა, დაწერა — და მერე ველარავინ გადაათქმევინებდა. მართალია, თვითონ ყველაფერზე სულ სხვადასხვა აზრი ჰქონდა ხოლმე, მაგრამ მხოლოდ საკუთარ აზრს ითვალისწინებდა, შესანიშნავი პრინციპით: თუ არ მოგწონთ, ნუ მომისმენთ და ნუ ნაიკითხავთ. აი, ასე.

**„მოდით, ერთად ვიგლოვოთ, მაგრამ სისულელეებს ერთად ნუ გავაკეთებთ. ერთი მარცვალის ისტორიული ცნობიერება მაინც რომ გვქონდეს, წარსულისა და მომავლის გაგებაში დაგვეხმარებოდეს. სულ გვიმეორებენ, რომ „ჩვენი ქვეყანა ძლიერია“. მე ამაში სანუგეშოს დიდს ვერაფერს ვხედავ“.**

### სიუზან ზონტაგი

ესსეებში მან მხოლოდ ერთხელ ახსენა საკუთარი თავი. 1972 წელს პარიზში თავისი ოთახი აღწერა, სადაც ის წიგნების გარეშე გამოიკეტა და საბეჭდ მანქანასთან ერთად განმარტოვდა. ქალბატონი ზონტაგის თქმით, ის ამგვარად ეძებდა საკუთარ ხმას.

მაგრამ შემდეგ, მან ბალიშის ქვეშ რამდენიმე წიგნს, მათ შორის, პოლ გუდმენის „ახალ რეფორმაციასაც“ მიაგნო.

დილით ზონტაგმა შეიტყო, რომ გუდმენი გარდაიცვალა. არადა, გუდმენმა, თავისდაუნებურად, მის ცხოვრებაში დიდი მასწავლებლის როლი ითამაშა.

ნიუ იორკელმა ანარქისტმა ინტელექტუალმა პოლ გუდმენმა 1962 წელს გამოაქვეყნა ეპოქალური მნიშვნელობის წიგნი “მოზღვავებული აბსურდი“, სადაც ქვეყნიერებას სამოციან წლებში ახალგაზრდუ-

ლი მოძრაობის დაწყება ამცნო. სიუზან ზონტაგი იმაზე საუბრობდა, თუ რას ნიშნავდა ეს უჩვეულო მამაკაცი მისთვის, იმხანად ჩვიდმეტი წლის სიუზანისთვის, რომელიც მის ყველა ნაწარმოებს იცნობდა. ის იგონებდა, თუ როგორ ცდილობდა ნიუ იორკში გამართული წვეულებების, მოხსენებებისა თუ საჯარო კითხვის საღამოების შემდეგ მასთან გამოლაპარაკებას, მაგრამ არც ერთხელ არ მიეცა ამის საშუალება. არადა, სიუზანს უნდოდა ეთქვა, რომ მის წიგნებში შეერთებული შტატების ახალგაზრდობის პორტრეტი არასრულყოფილი იყო, რადგან ერთი დეტალი აკლდა — გოგონები; ან გოგონა. მაგალითად, სიუზან ზონტაგი.

1972 წელს, უკვე ორმოცი წლის სიუზანი იხსენებდა, თუ წლების განმავლობაში როგორ არადა აგდებდა მამაკაცი, რომელიც მისთვის ლამის სათაყვანებელი პიროვნება გამხდარიყო. როგორც ჩანს, სიუზანმა დიდი მასწავლებლისგან ესეც ისწავლა: შემდგომში თვითონაც არანაკლებ განსაცდელში აგდებდა თავის თაყვანისმცემლებს; პოლიტიკური შეხედულებებისგან განსხვავებით, იშვიათად თუ აჩვენებდა ვინმეს თავის ქალურ არსს. ლამაზი ქალი კი იყო, და მტრულად განწყობილი საზოგადოება ხშირად ამასაც ბრალად უთვლიდა — თავის შთამბეჭდავ გარეგნობას ბოროტად იყენებო. ნეტა, რატომაც ცუდი ლამაზი ქალი?

1968 წელი — კუბა და ვიეტნამი, 1973 წელი — ჩინეთი, 1993 წელი — სარაევო და იქ დადგმული „გოდოს მოლოდინში“.... განვავრდით?

სიუზან ზონტაგი 1933 წლის 16 იანვარს, ნიუ იორკში დაიბადა. ბერკლისა და ჩიკაგოში, ჰარვარდში, ოქსფორდსა და პარიზში ის ლიტერატურასა და ფილოსოფიას სწავლობდა. მისი ლიტერატურული დებიუტი რომანი „კეთილისმყოფელი“ იყო. სანამ სერიოზულად დაიწყებდა რომანების წერას, ერთობ უჩვეულო წერტანას გადიოდა: მრავალი წლის განმავლობაში ქმნიდა ევროპელი, ძირითადად, ფრანგი ფილოსოფოსების, მწერლების და ხელოვანების ლიტერატურულ პორტრეტებს (ქალბატონი ზონტაგი ყველას როდი უთმობდა ყურადღებას; მას მხოლოდ ექსტრემისტები და მათი მიმდევრები იზიდავდა). უნდა ითქვას, რომ ამ ესსეების არსებობას მნიშვნელოვანი წილი „ნიუ იორკ რევიუს“ გამომცემლებს უნდა ვუმაღლოდეთ: რობერტ სილვერსმა და ბარბრა ეშპტაინმა სიუზან ზონტაგი შემთხვევით გაიცნეს, მასთან თანამშრომლობა ისურვეს და აი, რა გამოვიდა: ყურნალის წყალობით, სიუზან ზონტაგი მეოცე საუკუნის ევროპელ მოაზროვნეთა ცოდნასა თუ ცნობაში უპირობო ავტორიტეტად გადაიქცა (აქედან ორი დასკვნა: 1. ყველა საქმეს სწავლა უნდა; და 2. ძალიან კარგი რამაა კარგი გამომცემელი, — ა.კ.ს.).

60-იან წლებში ფრანგულ გაზეთებში მას „ავანგარდის მოციქულს“ უწოდებდნენ, თავად სიუზანი კი თვლიდა, რომ „ევროპასა და შეერთებულ შტატებს შორის შუამავალი“ იყო. მწერალს გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ავანგარდული კულტურის არცერთი დეტალი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მისი გმირები იყვნენ ტენესი უილიამსი, არტურ მილერი, ლეროი ჯონსი, ჯეიმს ბოლდუინი, ის აშუქებდა ეფი გროტოვსკის და პიტერ ბრუკის სასცენო ექსპერიმენტებს, „ახალ რომანს“ თუ „აბსურდის თეატრს“, კამპუსს, ჰეფენინგებს, პოპ-არტს და ენდი უორჰოლის შემოქმედებას. ზონტაგი წერდა, როგორც ჯონ ქეიჯის კონკრეტული მუსიკის, ასევე ჯოზეფ კორნელის მინიატურული ზარდახშების შესახებ.

ყველაზე დიდი ხმაური ატყდა კრებულის გამო, რომლის სახელწოდებაა “ინტერპრეტაციის ნინაღმდეგ“; მერე კი „რადიკალური ნების მაგალითებში“ შესულმა ესსემ „პორნოგრაფიული წარმოსახვა“ საზოგადოება მთლად გადარია. მე მაინც მოვერიდები, რომ მკითხველს 1967 წელს დაწერილისა და ნაჩუხარის შესახებ ვუამბო. თუ რამეა — ზონტაგის წიგნების ნაკითხვა ნამდვილად შესაძლებელია და არც ჩემს ინტერპრეტაციას საჭიროებს — მით უმეტეს, რომ თავად ქალბატონ ზონტაგს ნებისმიერი ინტერპრეტაცია ეჯავრებოდა. ■



10 თებერვლიდან

ოუზენის

12

ფეგოზარი



ბრედ  
პიტნი

ჯორჯ  
ქლუნნი

ქეთრინ  
ჯონსი

ენდი  
ბარსნი

ჯულია  
რობერტსი



24 თებერვლიდან

ავიატორი

2004 წლის „ოქროს გლობუსის“ პრიზიორი, ოსკარის ნომინანტი

რეჟისორი მარტინ სკორსეზა  
მთავარ როლში ლეონარდო დი კაპრიო





# დონ პეპე

ფოტომოთხრობა

დათო ტურაშვილი

ფოტოების ავტორი    გია ჩხატარაშვილი

ისინი, ვისაც ტფილისში უნახავს ალექსანდრე დიუმა, ცოცხლები აღარ არიან. შეიძლება ცოცხალი იყო ვინმე მათ შორის, ვისაც ცნუტ ჰამსუნის ჩამოსვლა ახსოვს საქართველოში, მაგრამ მხოლოდ თეორიულად, რეალურად კი ცოცხლები არიან ისინი, ვინც თბილისში სტუმრად მყოფ ჯონ სტეინბეკს მასპინძლობდნენ. ცოცხლები არიან ისინიც, ვინც ჩვენი ქალაქის ქუჩებში საკუთარი თვალით ნახა გაკვირვებული ბობ დილანი და აღშფოთებული ალენ გინზბერგი.

პირადად, საქართველოში ჩამობრძანებულ სახელოვან უცხოელებს შორის, კარგად მახსოვს კევენ კიგანი - პირდაღებული რომ დატოვა ოთარ გაბელია და მასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის განვალებული მოსახლეობა, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი ჩემთვის, მაინც ჯოზეფ ზავინულის კონცერტი იყო. ჯო ზავინულის თბილისში ჩამოსვლა და საერთოდ, მისი შემოქმედების პოპულარიზაცია საქართველოში, რეჟისორ დავით საყვარელიძის დიდი დამსახურებაა, რომელსაც ზავინულის ფოტოებით თავისი ოთახი ჯერ კიდევ საბჭოთა ბავშობაში ჰქონდა აჭრელებული და მაშინაც კი, როცა ყველა საბჭოთა ბავშვს სოფია როტარუსა და ლევ ლეშჩენკოს მოსმენა ევალებოდა, სუყო მაინც ჯიუტად უსმენდა ჯო ზავინულს და მეტიც - მის შემოქმედებას აქტიურ პროპაგანდას უწევდა. პირველად ზავინულის კომპოზიციები მეც სუყომ მომასმენინა და პირველივე მოსმენაზე მივხვდი, რომ ჯო ზავინული ნამდვილი გენიოსი იყო. ანკი რა ძნელი მისახვედრი ეგ იყო, მაგრამ იმას, რაც თბილისის კონცერტზე ვნახე და მოვისმინე, მაინც ძნელად წარმოვიდგენდი და მაინც არ მჯეროდა, რომ რასაც სცენიდან ვისმენდი (მეშვიდე რიგში ვიჯექი), ადამიანის მიერ იყო შექმნილი. ვერ ვიჯერებდი, რომ ასეთი ჰარმონიის მიღწევა მართლაც შესაძლებელია და რაც მთავარია, ვიყავი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში და

არა რომელიმე გრიმის რომელიმე ზღაპარში. თუმცა იმ საიდუმლოს ამოხსნას, რასაც ზავინულის სასწაული ჰქვია, იქვე დარბაზშივე შევეცადა და მგონი მივაგენი კიდეც: ჩემის ღრმა რწმენით (რაც თავისთავად სუბიექტური მოსაზრებაა), ყველაზე მნიშვნელოვანი საზრდო, რითიც ჯო ზავინულის შემოქმედება იკვებება - ფოლკლორია. ზავინულმა იმდენად კარგად იცის მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური ფოლკლორი, რომ ზემოთქმულის გამო, მისთვის მუსიკაში არანაირი სირთულე აღარ არსებობს და იმ ზღვა ნიჭის გამოყენებასაც, რომელიც მას აქვს, სწორედ ცოდნასთან ერთად ახერხებს. უკვე ნახსენები ჰარმონიულობაც მის შემოქმედებაში, ამ აუცილებელ სინთეზს ეფუძნება კიდეც და შედეგიც (შესაბამისად), სამართლიანია - მთელს მსოფლიოში, იქ, სადაც სეროიზული მუსიკა სეროიზულად უყვართ, ჯო ზავინული ერთ-ერთი ყველაზე დიდი, მართლაც უზარმაზარი ფიგურა და ავტორიტეტია.

თბილისში ზავინულის კონცერტს, რა თქმა უნდა, ქართველი მომღერლებიც ესწრებოდნენ (ვინც ხალხურ სიმღერებს ასრულებს) და კონცერტის ბოლოს (რომელიც სინამდვილეში ნამდვილი დღესასწაული იყო), ქართველები სცენაზე ავიდნენ მაღლობის სათქმელად. ჯო ზავინული (თავისი პატარა, კოხტა და კლასიკური თავით), დაღლილი და ცოტა გაკვირვებული იყო მაღლიერების უჩვეულო გამოხატვით - ოცამდე მამაკაცი (დიდი ქართული თავებით), სცენაზე ადიოდნენ და ოფლიანი ტუჩებით კოცნიდნენ გენიოს მუსიკოსს. გენიოსს ყველაფრის ცოდნა არც ევალება და ზავინულმაც არ იცოდა, რომ სანამ რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდებოდით, საქართველოში კაცები ერთმანეთს მხოლოდ მხარზე კოცნიდნენ და ისიც იდგა გაოგნებული ამ უჩვეულო სანახაობით. სუფრაზეც, მის პატივსაცემად რომ გაიმართა კონცერტის შემდეგ, როცა თამადა შეზარხოშდა







ღვინისა და სიყვარულისგან და მეზობელი მამაკაცი გულში ჩაიკრა, მანოლო ბოდრენამ ზავინულის გასაგონად, ბავშვივით, ალტაცებულ-მა იყვირა:

– Don Pepe, look, Don Pepe!..

პეპე ზავინულმა, სუფრის ბოლოსკენ, როგორც ჩანს, თვალი შეაჩვია ამ უცნაურ სანახაობას და აღარაფერი უკვირდა. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ქართველი კაცების ურთიერთამბორს (მიუხედავად ამ კაცების მონდომებისა) საერთო არაფერი აქვს ჰომოსექსუალიზმთან და დონ პეპემაც ამოისუნთქა. პირიქით, ძალიან გამზიარულდა, სიამოვნებით მოუსმინა გლახო ზახაროვის დასტის ნარჩენებს და ხელებიც კი გაშალა. სხვათა შორის, ზავინულის კონტრაქტში მართლაც იყო მუხლი, რომლის თანახმადაც, ჯო ზავინული, კონცერტის შემდეგ, აუცილებლად უნდა მისულიყო სტუმრად საყვარელიძეებთან ოჯახში და საკუთარი თვალით ენახა სუყოს ოჯახის კედლები. ერთხელ თურმე, ბავშვობაში, სუყოსთვის მამამისს, ბატონ ივანეს უკითხავს, - ამ კაცის ფოტოები რომ გაქვს ყველგან გაკრული, ასეთი ვინ არისო.

სუყოს უზუმრია, მამაჩემიაო და ბატონ ივანეს (შვილზე უფრო დიდი იუმორის პატრონს) - ფულიც მაგან მოგცეს ხოლმე და მე აღარ შემანუხზოო...

ალბათ რამდენჯერ გაუმართავთ ბანკეტი ჯო ზავინულის პატივსაცემად.

რამდენ ქვეყანაში, მაგრამ სახლში რომ დავეპატიჟებინე ვინმეს,

კონცერტის შემდეგ, ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში არ მომხდარაო და ბატონი პეპე, მართლა ბედნიერი ჩანდა. დონ პეპე რატომ და ვინ დაარქვა არ მიკითხავს, მაგრამ მანოლო ბოდრენაც ასე მიმართავდა ზავინულს და ვიქტორ ბეილიც, რომელსაც მოტეხილი ფეხი მთელ სიგრძეზე ჰქონდა დაბინტული. რამდენიმე ჭიქის შემდეგ, ჯერ მორიდებულად, შემდეგ კი დაჟინებით მოვითხოვე, რომ დილით, როცა აეროპორტისაკენ დავიდრებოდით ძვირფასი სტუმრების გასაცილებლად, აუცილებლად შეგვევლო ბიჭიკო ასკურავასთან, ვიქტორ ბეილის მოტეხილი ფეხის აღსადგენად. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე განსხვავებული უკვე დალეული მქონდა, მაინც მკაფიოდ ჩამოვაცალიბე ჩემი პოზიცია – თუ სტუმრების პატივისცემა ბოლომდე გვინდოდა, მაშინ ბიჭიკო ასკურავასთან აუცილებლად უნდა მიგვეყვანა ვიქტორ ბეილი, რადგან იგი ზავინულის ბენდის წევრი იყო და ჯო ზავინულს ჯანმრთელი ბასისტი უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ფეხმოტეხილი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ვიქტორ ბეილისთვის საღი ხელები უფრო აუცილებელი იყო, ვიდრე საღი ფეხები. თვითონ ვიქტორს რომ ავუხსენი, თუ რატომ ვახსენებდი მის სახელს ასე ხშირად და ხმამაღლა, დიდი მადლობა მითხრა თანაგრძნობისათვის და ნუ შეწუხდები და იმ ქართველ ექიმსაც ნუ შეანუხებო, – მითხრა. რა შეწუხება ეგ არის, ბიჭიკო ასკურავას სხვა საქმე კი არაფერი აქვს-მეთქი, მაგრამ მაინც დავითანხმე და თუ ჩემი პატივისცემა გინდა, ერთი აქეთ მოინი და ერთ უწყინარ შეკითხვაზე მიპასუხეო. ჩემი თავი გენაცვალოს-მეთქი და ვიქტორ ბეილის გვერდით გადავჯექი. სწორედ ამ დროს ქეთი გამცემლიძე შალახოს ნაირსახეობას ცეკვავდა იქვე, სუფრის მისადგომებთან და საყოველთაო ტამისცემის მიუხედავად, ვიქტორმა მაინც ხმადაბლა, ჩუმად მკითხა – ეს თამადა კაცი და ის დანარჩენი კაცები გეები ხომ არ არიანო. მინდოდა მეთქვა რას კადრულობ-მეთქი, მაგრამ მაინც

მოვითმინე და შევეცადე მშვიდად მეპასუხა რო გეები თქვენსკენ მოიკითხეთ-მეთქი და უცებ შემანყვეტინა – თუ გეები არ არიან, მას კაცები ერთმანეთს რატომ კოცნიანო. კიდე უფრო მენყინა, მაგრამ კიდე ერთხელ ძალა მოვიკრიბე და კიდე ერთხელ შევეცადე მშვიდი სახით ამეხსნა ქართული ხასიათისა და სუფრის თავისებურება, რომელიც კაცებს შორის ურთიერთამბორს გულისხმობს შეზარხოშების ჟამს, მაგრამ ეს მხოლოდ ურთიერთპატივისცემას ნიშნავს და სხვას არაფერს. ვიქტორ ბეილი საპასუხოდ მხრებს იჩეჩავდა მხოლოდ, საკმაოდ გაკვირვებული სახით, რომ ორი ქართველი ვაჟკაცი (სწორედ მათგან, ვისაც უსამართლოდ დასწამეს ჰომოსექსუალური მიდრეკილებები), გაღიმებული მიადგა ვიქტორს და მის მოტეხილ ფეხსაც, ასეთივე ღიმილითა და სიყვარულით მიეტანა. ბეილის თვალებს (მე რომ გადმოხედა შეშინებულმა) რა დამავიწყებს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მაშინვე მივხვდი რასაც უპირებდნენ მას, მაინც ისეთი გაკვირვებული სახე მივიღე, თითქოს არ ვიცოდი, რომ კახური კრამიტის შეცვლა თაბაშირითაც შეიძლება, თუ ღვინო კარგია. ღვინო კი მართლაც სანაქებო იყო და მაკრატელი – დიდი, ჩვენი ბებებისდროინდელი, რომლითაც ვიქტორ ბეილის მოტეხილ ფეხზე დადებულ თაბაშირს ფრთხილად გაჭრიდნენ და როგორც განსხვავებულს, ისე გამოიყენებდნენ იმ მშვენიერი ღვინის მისართმევად. გულგახეთქილ ვიქტორს ბოლოს რომ აფუხსენი, რასაც აპირებდნენ მისი თაბაშირით, ერთადერთსიტყვიანი კითხვით მომმართა – რატომო და მერე მონოტონურად, მგონი აეროპორტამდე იმეორებდა იმ ერთ სიტყვას: “Why?...”

თამადის რომელიღაც მოადგილე ასევე დაუზარებლად პასუხობდა “Why not” და მერე ქართულად აგრძელებდა იმის ახსნას ვიქტორ ბეილისათვის, რაც მისთვის უკვე ნათქვამი მქონდა – შენი პატივისცემა უნდათ და თანაც ეს გიპსი აღარ დაგჭირდება, მთავარია,

ბიჭიკომდე მივალნიოთ-მეთქი. “Who is this Bichiko?” – მერამდენედ მეკითხებოდა სახელოვანი სტუმარი და მეც მერამდენედ ვეუბნებოდი რომ ბიჭიკო ასკურავა არის მოტეხილობების ცნობილი დიდოსტატი საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში. როგორც ჩანს სტუმარს სურდა, რომ არა მხოლოდ ასეთი მშრალი ინფორმაცია ჰქონოდა დიდოსტატის შესახებ, მაგრამ ასკურავას შესახებ მეც ბევრი არაფერი ვიცოდი და ერთადერთხელ მყავდა ნანახი, ისიც შემთხვევით, ჩემი ფეხმოტეხილი მეგობრის ოჯახში. იმ ოჯახში შესულს სახელდახელოდ სუფრა დამხვდა გაშლილი, სადაც ბიჭიკო ასკურავა იდგა ჭიქით ხელში და იოსებ სტალინს და იესო ქრისტეს ერთად გაუმარჯვოსო, – სადღეგრძელოს ამბობდა. ვიქტორ ბეილის, მიუხედავად იმისა, რომ უკვე საკმაოდ ნასვამი ვიყავი, ამ ამბავს მაინც ვერ მოვუყვებოდი – აშკარად ჰყოფნიდა თავისი გაჭირვებაც და უფრო მეტად შეშინებასაც აზრი აღარ ჰქონდა. აზრი აღარ ჰქონდა ვიქტორ ბეილისთვის თაბაშირის ახსნასაც, რადგან რომა რცხილადემ შიდა ქართლიდან ჩამოტანილი კრამიტები ჩამოარიგა (კახურს რომ არ ჩამოუვარდებოდა ისეთი) და ვიქტორ ბეილიც თაბაშირის აყრას გადაურჩა, თანაც ასკურავასთან გავლას ველარ ვასწრებდით, ვინაიდან უკვე თენდებოდა, თვითმფრინავის გაფრენამდე კი, ხაშიც უნდა მოგვესწრო. მგონი სწორედ რომა რცხილადემ თქვა ჰვალაბარში ძაან მაგარი ხაში ვიციო და სუყომაც ჯო ზავინულს გულმოდგინედ აუხსნა, რა სიკეთე მოაქვს ხაშს გამთენიისას და რატომ არის იგი აუცილებელი ღამენათევი და ნანვალუბი ადამიანებისათვის. დონ პეპეც მიხვდა, რომ ამ ქვეყანაში, ჩათრევას ჩაყოლა სჯობია და მზადყოფნის ნიშნად ხელები გაშალა. როცა ჩვენს ძვირფას მასპინძლებს დავემშვიდობეთ და ქუჩაში გამოვედით, უკვე თენდებოდა ჩვენსავით დალლილ თბილისში და სხვებისა რა მოგასხენოთ და მე კი მართლა ისეთი დალლილი ვიყავი, რომ ერთი გავიფიქრე კიდეც, სახლში ხომ არ გავიპარო-მეთქი, მაგრამ შემრცხვა. მართალია, სტუმრები







არც მომიკითხავდნენ და ალბათ უჩემობას ვერც გაიგებდნენ, მაგრამ მაინც შემრცხვა და რაც მთავარია, იმ მოვლენებსაც გამოვაკლდებოდი, რაც ჰავლაბრის იმ სახაშეში გველოდა.

სახაშე ჰგავდა ტიპიურ საბჭოურ სასადილოს (ოღონდ ცოტა ადრეულ ვერსიას) და მიუხედავად იმისა, რომ კარგა ტევადი ჩანდა, თითქმის სავსე იყო და მაგიდების შეერთების შემდეგ, რამდენიმე სკამის ჩამატება მაინც დაგვჭირდა. ჩვენსავით ლამენათევი, დალილი და ნანვალები ხალხი დაგვხვდა, მაგრამ ზავინულმა მაშინვე დაიჯერა, რომ ახლა ამ ქვეყანაში, ამაზე უკეთესი ადგილის წარმოდგენაც კი, შეუძლებელი იყო. დონ პეკემ საჩვენებელი თითიც კი ასნია ზევით, ხაშის გასინჯვისთანავე და იმასაც მიხვდა, რომ სწორედ ხაში ათანაბრებს ადამიანებს ამ უცნაურ ქვეყანაში. ხაში კი მართლაც სანაქებო იყო და ერთიანობის რაღაც ძალიან თბილი განცდა მეც ვიგრძენი იმ ხალხის მიმართ, ვისაც საერთოდ არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ისინიც ჯო ზავინულის მასპინძლებად თვლიდნენ თავს და არც ვცდებოდი. რამდენიმე წუთში ერთ-ერთი მეზობელი სუფრიდან, შუახნის კაცი მოგვიახლოვდა ჩიქით ხელში და ქართულად, მაგრამ სომხური აქცენტით დაგვლოცა და ზავინულს კი ინგლისურად ჰკითხა, – პიტერ გაბრიელის მედუდუკეს თუ იცნობო. არაო, – დონ პეკემ და იმან კი – ჩემი ბიძაშვილიაო. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა უფრო შინაურულად და ჩვენთვის ქართულად გაიმეორა – პიტერ გაბრიელის მედუდუკე ჩემი კუზენიაო. ვაო, – ჩვენც გავიკვირვით და სახაშის კარიც გაიღო და გიორგი რამიშვილიც შემოვიდა, აშკარად უცხოელებთან ერთად. როგორც გაირკვა, ფრანგები იყვნენ და პირდაპირ აეროპორტიდან მოდიოდნენ ხაშის სადილებად. გამოთავისუფლებული მაგიდა მოვაჩოჩეთ და ფრანგებმა ერთი კი გაიკვირვეს ამ უცნაურ ადგილას ჯო ზავინულის დანახვა, მაგრამ თითო ჭაჭა რომ მისცეს ძარღვებში სულ ადვილად დაიჯერეს, რომ ამ ქალაქში ყველაფერი ხდება. სწორედ რომ ახალი სადღეგრძელოს თქმას აპირებდა თვითონ დონ პეკე, სახაშის

კარი ისევ რომ გაიღო და რამდენიმე ისეთი მთვრალი ადამიანი შემოვიდა, მხოლოდ ვაჟა ღურმიშიძეს რომ გაუხარდებოდა მათი დანახვა და სამწუხაროდ ვაჟა ღურმიშიძის საკადრისი სუფრა არ გაგვიშლია და ბატონო ვაჟა ამიტომაც იქ არ ბრძანდებოდა. უფრო სამწუხარო ის იყო, რომ ახალშემოსულებმა ცარიელ მაგიდას ვერ მიაგნეს, მაგრამ უკან გაბრუნება არც უცდიათ და ისე მიმოიხედეს ირგვლივ, თითქოს მათი საოჯახო, მემკვიდრეობით მიღებული სკამები გვეკონდა დაკავებული და არც ვიმჩნევდით. გვათვალისწინებდნენ და ის იყო გავიფიქრე კიდევ, ხომ არ ჩავიჩოჩოთ-მეთქი, რომ სწორედ იმ მაგიდას მიადგნენ, სადაც პიტერ გაბრიელის სომეხი მედუდუკის ბიძაშვილი მიირთმევდა ხაშს თავის დოსტებთან ერთად და ახალშემოსულებში რომელიც კოჭლობდა, სწორედ მან იკითხა მათი სადაურობა. მარტივ შეკითხვას, თუ რა უბნელები იყვნენ, ძალიან მარტივად უპასუხეს, რომ ეს მათი უბანი იყო და მართლებიც იყვნენ, თუ იმას გულსხმობდნენ, რომ ჰავლაბარში სომეხები ოდითგანვე ცხოვრობდნენ. თუმცა, რომ კოჭლობდა, მას (დანარჩენებსაც ალბათ) მოეჩვენა, რომ ამ მარტივ პასუხში ავლაბრელმა სომეხებმა საჯაროდ გაამჟღავნეს ტერიტორიული პრეტენზიები დანარჩენი თბილისელებისა და საერთოდ ქართველების მიმართ. სწორედ ამაზე მეტყველებდა ახალშემოსულთა თითქმის ერთდროული რეაქცია ხელების მკვეთრი მოძრაობით – აი, თქვენი უბანიაო და ჩხუბი რომ გარდაუვალი იყო, აშკარად ჩანდა. პირველი, ვინც გასაშვებლად წამოდგა, დავით ევგენიძე იყო და იმდენად თამამად და გულწრფელად მოიპატიჟა ისინი ჩვენს სუფრასთან, რომ მათი აგრესია მოულოდნელად სადღაც გაქრა და ხალისითაც შემოგვიერთდნენ. სიამოვნებითაც დალიეს ჩვენი სტუმრების სადღეგრძელო და ისიც კი ვიფიქრე, რომ ჩვენი ქალაქის ეთნიური სიჭრელე, როგორც პრობლემა, აღარ ახსოვდათ, რომ სწორედ ის, რომელიც კოჭლობდა, დათო ევგენიძის მარცხენა ყურს ავისმომასწავლებლად დააკვირდა. საყურე რატომ გიკეთიაო, – რომ ჰკითხა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ თბილისის საკითხი ამონაწერი ნამდვილად არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ევგენიძეს პასუხის გაცემა სულ არ გაუჭირდებოდა. არც გაჭირვებია და ისიც კი გაიხსენა, რომ საყურეს ქართველი მეფეებიც კი ატარებდნენ და საყურე მეკობრეების მოგონილია და არა პედერასტების. რამდენიმე წყაროც კი დაასახელა და მათ შორის კასტელის ჩანახატებიც, თუმცა, ფეხს რომ ითრევდა, იმ მთვრალი კაცისთვის კასტელი ვერაფერი ავტორიტეტი გამოდგა და კასტელის ხსენებამ კიდევ უფრო გააღიზიანა. ჩვენო, ყველას ვუღიმიით და ვეფერებით, სუფრებს ვუშლით და ამასობაში კი თბილისიც დავკარგეთ და საქართველოც, ამათი დედებს რო შევთხარეო და ორივე ხელი იმ სუფრისკენ გაიშვირა, სადაც იმუბნელები ისხდნენ და ვინ იცის ისევ პიტერ გებრიელზე საუბრობდნენ. დედების ხსენებაზე ყველანი ფეხზე წამოხტნენ და ერთმა მათგანმა თავანკარა ქართულით ამ ჩვენის დედაც ახსენა, რასაც სრულიად მოულოდნელი რეაქცია მოჰყვა – მან უცებ ფეხის პროთეზი მოიხსნა და სომეხების სუფრისკენ, გამეტებით ისროლა. როგორც ჩანს, ეს არ იყო პირველად გამოყენებული ილეთი მისი მხრიდან, რადგან ისე სწრაფად და ოსტატურად შეიხსნა ფეხი და თბილისის დამპყრობლებს სტყორცნა, რომ გაკვირვებაც ვერ მოვასწარიო. არც იყო გაკვირვების დრო, რადგან ხაშის თეფშებში ჩავარდნილ ფეხს რაც მოჰყვებოდა, სულ არ არის ძნელი წარმოსადგენი და მახსოვს, იმ საშინელ ჩხუბში, მაინც როგორ ვცდილობდი ვიქტორ ბეილის მოტეხილი ფეხის გადარჩენას. ვამხნევებდი კიდევ იმ საშინელ ქაოსში – არ შეგეშინდეს, თუ რამეა, ბიჭიკო ასკურავასთან გავლას მაინც მოვასწარებთ-მეთქი. სინამდვილეში ვერ მოვასწარებდით, დრო აღარ იყო და თვითმფრინავსაც ძლივს მივუსწარიო, ნაჩქარევად დავემშვიდობეთ სტუმრებსაც და მაკას შეკითხვას, თუ სად ვიყავი ამდენ ხანს, ზუსტად ისეთი სიმშვიდით ვუპასუხე, როგორსაც მხოლოდ ცოლები იმსახურებენ – ჯოჯოხეთში.

რამდენიმე თვის შემდეგ კახა ბუაჩიძესთან ერთად ვესტუმრე ავლაბრის იმ სახაშეს, მაგრამ დაკეტილი დაგვხვდა. ქართულად ეწერა „დაკეტილი“, ინგლისურად კი (დიდი ასოებით) – “Internet Café”... ■

# 28 იანვრიდან შენვედრა ფაქვიზიანი



რობერტ  
დე ნირო

ბენ  
სტილერი

დასტინ  
ჰოფმანი

ბარბარა  
სტრიშანდი

[www.amirani.ge](http://www.amirani.ge)



## პარიზი

სპეც-პროექტი

ავტორი: ნესტან კვინიკაძე

ფოტო: დათო მესხი



FROM: Nestan Kvinikadze

To: HOT CHOCOLATE

SUBJECT: FASTLOVE

DATE: 7.01.05

L'ÉMOI PASSE



MISTIC





მეც. მეც მეგონა დედამიწას ქაბზე ვსმენოდი. ისეთ  
 მეგონებდა-ქონდა, ათა-ქოლ ამ ჩატა-ქიბი რაღაც  
 მნიშვნელოვანი მოხდებოდა და ხელს ვუკრებ  
 ვამიხნებოდა წიფვს რით ხაზი - ხაზიბი.

FROM: Nestan Kvinkadze  
 To: HOT CHOCOLATE  
 SUBJECT: FASTLOVE  
 DATE: 7.01.05





ავტომობილი წინავედ მიწ-ქროდა აერთონიდან წინწარსენ.  
თანამდებროვობის ცყვობაში ხვარდნელი აძოები, ნივს აძები,  
წოვსები. ღერ ისე. მუბე-ად მამბაღებდა ეწონის  
"დედა-ქალაქის" შესხვედრად.


FROM: Nestan Kvinikadze  
TO: HOT CHOCOLATE  
SUBJECT: FASTLOVE  
DATE: 7.01.05













ანთ ჯიღვ ჭანთმეღი ღრთთ ჭრთვთაღრთი ხმთხთაღრთი; მუჯთთაღ  
 ლუჯრთი, სთაღ მუ, რთუჯრთი მუჯრუქებთი ანთთუჯრთი მუ, ხეტი ჯახეჯთბთი  
 აღეჯაღრთი ჯრთთაღრთი ჯნახე. თუ დრთთა ჯახეჯრთი და ათიქთბთი  
 მუქებებთი ხეტი. ანღ ჭრთხთბთი ენთბერთი ლთბიღი თიქთბთი რთთბი, ანთდა, ამ  
 ანთბთბერთი მბერთი მესხებ ექსერებთი აღერბთაღრთი ჯრთბი, ჭრთბთი ანთი,  
 ჭრთბერებთი ჯაღაჯიღეღი. რთბერსღ თიქთა, რთბ ჭრთხთბთი აჯაღ ანთთი, დაჯაღებთი  
 ჯამოჯჯეღა დათხეღ: რთბთი აბთბებებ ლთბიღი, მბერბთი თრთბებთი ჯრთბთი  
 თღაჯებებ. ხეტიჯთი ჭრთხთბთი მთბღ რთი ხეჯე ებთბთი  
 თღაღ რხებ, რთბერსღ ჯაჯბერებთი ხსთბებთი  
 სმუჯბთბი მესხთა ჯაღბთბთბთი.



FROM: Nestan Kvinikadze  
 To: HOT CHOCOLATE  
 SUBJECT: FASTLOVE  
 DATE: 8.01.05









მკვნიად ვახსენებთ რა დასრულებულია ბაღი, ახალი წესისკენ და ახლებსაველი  
 ვახსენებთ. ა) მისე სრული ყველაფერი სანებრად, როგორც რაი დროს მისე  
 ასევე. სრული ვედი მსრულია. მკვნიად ნაწილობრივი მდგომარეობის მისე  
 და მსრული რანდამაველი მსრულია და მსრულია. ყან რიხა ლამის  
 სანობი. ანის ყველა მისე, სრულია რაი ასე... მკვნიად...

მკვნიად ვახსენებთ, რომ სრულია რაი ხამონაველი მისე, ანის რაი-რაი,  
 როგორც ყანა სრულია. ის ანის სანობი  
 მიმდებარე რაი მისე და ვრცელია მისე  
 ვახსენებთ ვედი და ვახსენებთ. სანობი ანის **FASTLOVE**



FROM: Nestan Kvinikadze  
 TO: HOT CHOCOLATE  
 SUBJECT: FASTLOVE  
 DATE: 9.01.05








ეძლევა ხმა, რომელიც გარედან შემოდის; ვთქვათ, ბავშვების ჟივილ-ხივილი, ან შორეული მუსიკა, ან მოძრაობის ხმები, ან თვითმფრინავის გადაფრენის ხმა. კადრის გაფართოების ამ ხერხს ხშირად მივმართავდი „პასტორალში“.

ხმას მესამე ფუნქციაც აქვს. ხანდახან ამა თუ იმ კადრს რაღაც ბგერების ან ბგერათა წყობის საშუალებით ვიმახსოვრებთ. მოგვიანებით, სხვაგან იგივე ბგერები რომ გავიმეორო, წინამავალი კადრის ასოციაცია გაჩნდება. ასე იქმნება ბგერათა წყობა. ამიტომ, ბევრი ჩემი წინამორბედის მსგავსად,

ვცდილობ, ნაკლები მნიშვნელობა მივანიჭო სიტყვას და დიალოგს. საერთოდ, ვფიქრობ, ეს კინემატოგრაფის ტრადიციული მეთოდია, რომელსაც მეც ვიზიარებ“.

## ლიტერატურა... თარგმანები...

„სტუმარ-მასპინძელი“, „ბაკულას ღორები“, „ვეფხისტყაოსანი“, – ყველაფერი მოგონილია, მაგრამ ეს ადამიანთა შორის ხიდის გადების, წუთისოფელზე შეხედულების გაზიარების გზაა და ალბათ, ამითაა საინტერესო.

დოკუმენტური კინო ნაძალადევი მასალის შეკონინებაა, რომელიც ავტორის ნებას, მის შეხედულებას და მოვლენების მისეულ აღქმას ეფუძნება, მაგრამ ეს არ არის დოკუმენტი. ძველ საბჭოთა დოკუმენტურ ფილმებშიც ყველაფერი ტყუილზე იყო აგებული, მაგრამ სინამდვილეს ჰგავდა. ძიგა ვერტოვის ფილმები თავიდან ბოლომდე შეთხზული ფილმებია, თუმცა ნატურა და საგანი, რომელსაც ის იღებდა, თითქოს ნამდვილია.

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ თუ „გლახის ნაამბობი“ ჯგუფური პროტესტია, იმ დროის და საზოგადოების შეხედულებაა უბედურებაზე, რამაც საქართველო შეიპყრო. გოგოლის „მკვდარი სულები“ კი რუსულ საზოგადოების სენის მიმართ გამოხატული ჯგუფური პროტესტია.

უპირატესობას ანტიკური ხანის ავტორებს ვანიჭებ. და მაინც, ორი საყვარელი ავტორი მყავს: ვაჟა და დავით კლდიაშვილი. მომწონს ჩემი მეგობარი ერლომ ახვლედიანი.

რაც შეეხება თარგმანებს, ამ მხრივ ჩვენთან სავალალო მდგომარეობაა. ქართულ ენაზე ლიტერატურა არ ითარგმნება. არც იმ დონის მთარგმნელები გვყავს, როგორც საფრანგეთში ან რუსეთშია. სამწუხაროდ, ის გზა გადავჭერით, რომლითაც მსოფლიო ლიტერატურას ვეცნობოდით. ამ შემთხვევაში, რუსულ ენას ვგულისხმობ. ვფიქრობ, მომავალი თაობის სულიერი აღზრდისთვის ეს ძალიან სახიფათოა.

რასაკვირველია, რუსეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ დღევანდელი ვცხოვრობდით, მაგრამ რუსული ენა შესანიშნავი და უმდიდრესია. 19-ე საუკუნის მეორე ნახევარში თერგდალეულები ხომ ზუსტად იმ თარგმანების საშუალებით ეზიარებოდნენ მსოფლიო კულტურას, რაც რუსულ ენაზე არსებობდა. თარგმანი იყო ის ხიდი, რომელიც ადამიანს მსოფლიო ლიტერატურასთან აკავშირებდა. რა დაგვემართება მოკლე ხანში, არავინ იცის“.





**„ქალაქები კარგავენ ადამიანურ სახეს“**

„დროთა განმავლობაში, ყველა ქალაქი იცვლება. მახსოვს, თუ როგორი იყო წინათ ჩემი ქალაქი. ისიც ვიცი, როგორი უნდა ყოფილიყო ის ქალაქი, სადაც ახლა ვარ. თბილისი ისე შეიცვალა და დამახინჯდა, არ შეიძლება ადამიანს სევდა არ მოერიოს. რასაკვირველია, ამაში დიდი წვლილი აფხაზეთის ტრაგედიას და ლტოლვილების ჩამოსვლას მიუძღვის. ასეა პარიზშიც. დღევანდელ პარიზში ქვეები უფრო მეტს ამბობენ, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც დღეს აქ ცხოვრობენ. ძველი მონმარტრი შეიცვალა. სულ დაცარიელდა მონპარნასი. იქ, სადაც ერთ დროს მხატვრები ცხოვრობდნენ, დღეს ბურჟუაზიული კუთხეა. მონპარნასზე იყო კაფე „როტონდა“... მე კიდევ შევესწარი ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებიც იქ დადიოდნენ, მაგრამ ისინი უკვე აღარ არიან. ელისეს მინდვრები დღეს უკვე სხვაა. ქუჩებს რომ აუყვებთ, ბევრ საინტერესო რამეს ნახავთ, თუმცა ყველა ბუტიკი და მაღაზია დღეს იაპონელების ხელშია. მაგალითად, ებრაელების უბანი ჩინელებმა დაიპყრეს. პარიზის ჩრდილოეთი არაბებითა და აფრიკიდან ჩამოსული მოსახლეობითაა სავსე. ქალაქი კარგავს თავის სახეს და ქვეები რჩებიან“.

**მამაკაცები და ქალბატონები**

“ბოლშევიკების პერიოდში, მამაკაცისთვის ღირსების შენარჩუნება ძალიან ძნელი იყო. მამაკაცების უმრავლესობამ იმ პერიოდში თავიანთი პოზიციები დათმო. ამიტომ, თუ რამდენიმე მეგობარი მყავს, ეს უკვე დიდი სიმდიდრეა. დიდ პატივს ვცემ ზურაბ ნიჭარაძეს, დიმა ერისთავს, ერლომ ახვლედიანს, სულ რამდენიმე ადამიანს და კოლეგას. ქალბატონები გადარჩნენ. საქართველოში ტრადიცია არსებობს: ქალბატონი საკუთარ თავზე ისეთ ტვირთს იღებს, რომ დიდი პატი-

ვისცემის ღირსია. ჩემი მეგობრები ის ქალბატონები არიან, რომლებთანაც ყოველთვის ადვილად შემეძლო ამოსუნთქვა და საუბარი. ამავე დროს, ქალებს ერთი თვისება აქვთ: ზუსტად იციან, ვინ არის მხარდაჭერის ღირსი. ამიტომაც, ჩემი მეგობრების უმრავლესობა ქალბატონებია.

სამწუხაროდ, პარიზში მამაკაცებს ყოველთვის კარიერაზე ზრუნვა უხდებოდათ. ამიტომ ძალიან ბევრმა აქაც დათმო პოზიცია. ღირსეული მამაკაცის პოვნა აქაც ძალიან ძნელია. მათზე არ ვსაუბრობ, ვინც მთავრობაშია. მათ მდაბალი ინტერესები ამოძრავებთ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. კომერსანტები კი, პატივისცემას საერთოდ არ იმსახურებენ. ისინი მეთევზეებს ჰგვანან, რომლებიც ბრიყვი თევზების დაჭერას ესწრაფვიან.

ჩვენ და ფრანგებს ერთი წარსული არ გვაქვს. ჩემი წარსული მათ არ იციან, მათი შეიძლება არც მე ვიცი. ალბათ, ამის გამო, ჩვენს შორის დიალოგი ძნელად იმართება. ამიტომ, რაც შეიძლება ხშირად ჩავდივარ თბილისში, რომ ეს დანაკლისი შევივსო.“

**„ჩვენ და ფრანგებს ერთი წარსული არ გვაქვს. ჩემი წარსული მათ არ იციან, მათი შეიძლება არც მე ვიცი. ალბათ, ამის გამო, ჩვენს შორის დიალოგი ძნელად იმართება. ამიტომ, რაც შეიძლება ხშირად ჩავდივარ თბილისში, რომ ეს დანაკლისი შევივსო“.**



## ერთი დღე

“შვიდიდან პირველ საათამდე ვმუშაობ. სალამოს ცოტას ვმუშაობ, მერე ვეცნობი, თუ რა ხდება მსოფლიოში, მერე ისევ იგივე. მუშაობის სხვადასხვა ეტაპი არსებობს. მდიდარი დღე არ მაქვს“.

**„კინემატოგრაფი ერთადერთი საშუალებაა, რომ მსოფლიოს ჩვენი არსებობა ვამცნოთ. ოთარ ჭილაძის გადათარგმნა და იმ ბაზარზე გატანა, სადაც უამრავი ნაწარმოებია, ვერ ითამაშებს იმ როლს, რასაც სხარტი საშუალება – კინემატოგრაფი შეძლებს“.**

## თქვენ ჩვენთან გელოვებიან

“მოსკოვში არის ასეთი დაწესებულება: სახელმწიფო კინონისტიტი. ომის შემდეგ იქ ეიზენშტეინი, პუდოვკინი, დოვჟენკო, რომი ასწავლიდნენ. მათთვის ეს ერთგვარი თავშესაფარი იყო, ვინაიდან საბჭოთა კინემატოგრაფი იმ დროს ცენზურის ზენოლას და მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა. სულ რვა ფილმს აკეთებდნენ წელიწადში. ეს რვა ფილმიც პოლიტიკურს ყურადღების

ცენტრში ექცეოდა. ამიტომაც, იმ თაობამ, რომელიც ამ სკოლას ამთავრებდა, თეორიულად ყველაფერი იცოდა, მაგრამ პრაქტიკაში ვერ ახორციელებდა.

ვფიქრობ, საქართველოში მასტერკლასის ჩატარებას მათთვის, ვინც პრაქტიკულ საქმიანობას არ ეწევა, აზრი არ აქვს. მასტერკლასი მაშინ არის საინტერესო, როდესაც პრაქტიკიდან გამომდინარე, კონკრეტული კითხვები გიჩნდება და ადამიანს საკუთარ გამოცდილებას უზიარებ. კინო არ არის თეორიული მოვლენა. ის მაინც ძალიან კონკრეტული და გამოცდილებიდან მომდინარე ცოდნის რეალიზებაა.

არიან თეორეტიკოსები, რომლებსაც საქართველოში არ აქვთ მასალა, რის შესახებაც დაწერენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენს ქვეყანაში კინემატოგრაფი აღარ არსებობს. ხელმძღვანელობა ამაზე არ ზრუნავს. არადა, ეს ერთადერთი საშუალებაა, რომ მსოფლიოს ჩვენი არსებობა ვამცნოთ. ოთარ ჭილაძის გადათარგმნა და იმ ბაზარზე გატანა, სადაც უამრავი ნაწარმოებია, ვერ ითამაშებს იმ როლს, რასაც სხარტი საშუალება – კინემატოგრაფი შეძლებს.“

საუბრის ბოლოს, ცნობისმოყვარეობამ მძლია და მაგიდაზე გამწვანებული კადრების შესახებ ვიკითხე:

– რა არის ეს, ბატონო ოთარ?

– ეს ახალი ფილმის პროექტია. სიუჟეტი – ისევ იგივე... რასაც ვაკეთებ ხოლმე.

სამოცდამეერთე წუთი იწყებოდა. რეჟისორი ჩქარობდა. ამიტომ ვეღარ მოვასწარი ჩავძიებოდი, – „რასაც ვაკეთებ ხოლმე“-ში „იყო შაშვი მგალობელი“ იგულისხმებოდა, თუ „ბანდიტები. თავი მეშვიდე“?! ■




ნოველა


# ჯერ ფოტო

ნესტან კვინიკაძე

2004








სტეფანწმინდას კინოეფექტივით  
ედება ხოლმე ნისლი. არაფერი ჩანს. წინ  
გაშვერილი ხელიც კი ბუნდოვანია. ასეთ  
დროს, მხოლოდ წარსულია ხილული. უფრო  
სწორად, ფიქრი წარსულზე, – ვერაფერს  
ცვლი და, უბრალოდ, უფრთხილდები —  
ტკივილით დაწყებულს, ვიდრე სიცილამდე.

უგზობის თუ ბედისწერის წყალობით,  
აქაურობას შემოვრჩით. ერთობ  
ალტერნატიულად გამოვიყურები – სოფლის  
გამგებლისაგან ნათხოვარი ჩექმებით,  
ჩოფიკაშვილების საგვარეულო ნაბადით და  
ამსტერდამში ნაყიდი ნაქსოვი ქუდით.

სასტუმროს ნომრიდან მყინვარის  
ცქერაში, რატომღაც, უცხოეთში  
სასწავლებლად წასვლა გამახსენდა. მაშინ  
არავის გავუფრთხილებივარ, რომ იმ  
ქალაქში არქიტექტურის ფაკულტეტზე  
ჩაბარება იგივეა, რაც უცხოელისთვის  
ჩვენი ვაზის მოვლაში დაოსტატება.

მანც შემოვრჩი იქაურობას.

ასაკოვანი ქალბატონები ძვირფასი  
ქურქებით და მოვლილი, სასაცილოდ  
შემოსილი ძაღლებით, მშვიდად მიმოდიან  
ცენტრალურ ქუჩაზე. გადანათებულ  
მაღაზიებში მხოლოდ ტურისტები  
ხმაურობენ.




როცა ამ ქალაქში ყოფნის მეოცე  
დღეს დევიდ ბოუის კონცერტის აფიშა  
შევნიშე, გაოცებული დავრჩი. ვინ წავა ამ  
კონცერტზე, – ვფიქრობდი ჩემთვის, – ეს  
გადაღრმეებულები?


არანაირი უცნაურობა. აქ, უბრალოდ,  
შობადობის უდაბლესი მაჩვენებელია  
და, შესაბამისად, მოხუცი უფრო მეტი  
ცხოვრობს, ვიდრე ახალგაზრდა.

პირველად აქ ვნახე მალაზია,  
დიდი წითელი ასოებით – **LEICA**. ჩემი  
ფოტოგრაფი მეგობრებისგან ამის მეტი  
რა მსმენია. **LEICA**-ს ფოტოაპარატი  
ფოტოგრაფის ბიოგრაფიაში თურმე  
ბოლო საფეხურია. “მაგნუმელებს” სულ  
**LEICA**-ები აქვთო, მითხრეს ერთხელ.  
გკითხე, “მაგნუმელები” ვინლა არიან-  
მეთქი. ყველაზე მაგარი ფოტოგრაფებიო,  
რომლებიც ექსტრემალურ პირობებში  
მუშაობენ. მათ თვალწინ ვინმე რომ  
კვდებოდეს, ჯერ ფოტო უნდა გადაუღონ  
და მერე მიეშველონ, შეიძლება გვიანიც  
იყოს, მაგრამ ჯერ – ფოტო!



მაგრები ყოფილან ეგ შენი  
“მაგნუმელები“-მეთქი, ვერ დაფარე წყენა.  
ობობის ქსელივით დაგეგმარებული  
ქალაქის მე-16 რაიონში დავბინავდი.  
მეზობლად ინტელექტუალი მორფინისტები  
ცხოვრობდნენ. ვერაფრით ვერ  
გაუშინაურდნენ ამ სიტყვას. ხუმრობით  
“ლოტოგაფებს” ვეძახდი, ეცინებოდათ.  
სინამდვილეში, სულ ფეხებზე მეკიდა  
მათი არჩევანი. როცა მომინდებოდა,  
მაშინ მანვეინებდნენ, ავსტრიული  
ბომონდის ცხოვრებაზე მიაბობდნენ და  
ქალაქში ორიენტირებაში მეხმარებოდნენ.  
რა მინდოდა სხვა?! სამ თვეში ფულს  
დავხარჯავდი და დავბრუნდებოდი უკან,  
სამშობლოში, რადგან ჩემი სწავლა-  
განათლების ამბავი იმთავითვე გადაწყდა, -  
ინსტიტუტის შორიახლოსაც არ გამაკარეს.  
მუშაობის დაწყებაც გამორიცხული იყო,  
მითუმეტეს, ჩემი ფიზიკური და სქესობრივი  
მონაცემებით. ნამდვილად არ მიღირდა  
ვენური სასახლეების სარესტავრაციოდ  
გამზადებულ ხარაჩოებზე დგომა, სადაც  
მთელი დღის მანძილზე, ყინვასა და  
მტვერში გინევს მუშაობა და ეს ყველაფერი  
დღიურ ფულად ძლივს გყოფნის. ამიტომ  
გამოცდილების დაგროვება გადავწყვიტე.





დილით ჩაი და ვენურ კაფეებში  
გაზეთების კითხვა, შუადღეზე –  
“შნიცელი”, მუზეუმები, სალამოს – “შივას  
ცრემლები”, ღამით – ტრფობის სარეცელი,  
ბოლოს კი – **Какие-то светские сны.**

რალა თქმა უნდა, იმ ასაკში, უცხო ენაზე  
სიყვარულის ახსნის მოსმენა მეათასე  
ხარისხოვანი იყო (ნეტავი რომელ ასაკშია  
აქტუალური?). მე მაინც ჩვენიანი მოძებნე,  
– სიმპათიური, შავგვრემანი.

ერთად ვცხოვრობდით და,  
ფაქტობრივად, სანოლიდან არ  
ვდგებოდით. შემდეგ კი, ამ ყველაფრის  
გასაცნობიერებლად, თვალს ერთ დეტალს  
გავუშტერებდი, თმას საჩვენებელი თითით  
ნერვიულად ვიხვევდი და ვფიქრობდი:  
ნუთუ ეს ჩემს თავს ხდება? არ მეგონა,  
თუ ოდესმე ჩემი ყურის შორიახლოს  
გაისმებოდა გახშირებული სუნთქვა. ყოველ  
შემთხვევაში, სხვის ქალაქში ცოდვების  
მონანიებაზე ძილის წინაც არ მიფიქრია.

ჰომოსექსუალები და ლესბოსელები  
პირველად იქ ვნახე და მხოლოდ წელს  
მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება მათ  
გვერდით მიცხოვრია.





მოკლედ, სულ რაღაც თვენახევარში, შევიცვალე. ახლა უკვე მინდოდა, რომ ჩვენი გამჟღავნებული ალერსი სხვებსაც ენახათ. ამიტომ მეტროში, დისკოთეკაზე თუ წვიმაში – ყველგან სიყვარულის დემონსტრირებას ვახდენდით. თუმცა, ეს მე მეგონა ასე. სინამდვილეში არც არავინ გვამჩნევდა. იქაურებს მხოლოდ ერთმანეთის ქურქებზე რჩებათ თვალი. ეს არის და ეს.

გულწრფელად რომ ვთქვა, ვენური ვოიაჟიდან კონკრეტული ისტორია არც მახსენდება, ხშირად არაფხიზელი, გაბრუებული, ან ავადმყოფობით ძალაგამოცლილი ვიყავი. მახსოვს, განშორება იყო რთული. ახლა რომ ვფიქრობ, მაინც პატარა ვიყავი. ცრემლები და ბილეთის დახვეის მცდელობა.

დაბრუნებულს ვერავინ მცნობდა. საგრძნობლად გამხდარი ვიყავი და თვალეებში სიამოვნების განცდით გამოწვეული რაღაც უცნაური ნაპერწკლები მქონდა.

თავიდან მენატრებოდა ჩემი ლტოლვილის სტატუსის მქონე მიჯნური, რომელმაც ყველაფერი მანახა. მაგრამ ძალიან მალე, არამართო “ის”, არამედ მთელი ავსტრიაც კი დავინწყებას მიეცა. ჩვენს ქალაქს ერთი თვისება აქვს: თუ გინდა იამაიკიდან დაბრუნდი, როგორც კი გმირთა მოედანს შემოუვლი წრეს, მაშინვე ყველაფერი გავიწყდება.





ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. კიდეც კარგი, გამოცდილი მაინც დაგბრუნდი, – ვფიქრობდი ჩემთვის. ჰოდა, შემდგომი ცხოვრების განმსაზღვრელი ჩემივე გამოცდილება გახდა.

მოკლედ, სამახსოვოდ უამრავი წიგნი, ნახატი და ათასგვარი სისულელე დამრჩა. რაც დრო გავა, ისინი უფრო ღირებული გახდება. ერთადერთი მეგობარი ბიჭი, რომელთანაც წმინდად მეგობრულ ურთიერთობას ვინარჩუნებ, სტეფანწმინდის სასტუმრო ოთახში ახლა ჩემს გვერდით ზის. თოვლის გადნობას ველოდებით, რომ გზა გაიხსნას და შინ დავბრუნდეთ.

მეგობარიც, ჩემს მსგავსად, ზის და წარსულს იგონებს. სრულიად განსხვავებულს, მაგრამ მაინც წარსულს.

გუშინ ღამით კი მყინვარის ფონზე სექსი გვექონდა, ოღონდ ერთმანეთის ტუჩებს არ შევხებივართ. – ყველაზე მაგარი მკერდი გაქვს, – მითხრა მან.

ისევ იგივე!!! მე ვბრაზდები, გამგებლის ახლა უკვე ნაჩუქარ ჩექმებს ვიცვამ, ჩოფიკაშვილების საგვარეულო ნაბადს ვისხამ და გარეთ გავდივარ, რომ თოვლში გავიარო. ნისლია. მცივა. ამსტერდამში ნაყიდ ქუდს თვალებამდე ვიფხატავ, უფრო იმიტომ, რომ ვერავინ შემამჩნიოს და აღარავის მოვეწონო.

ყველა კაცი “მაგნუმელია”! ჯერ ფოტო! ჯერ ფოტო!







Gillette  
**MACH3**  
Turbo  
**CHAMPION**

ჯილეთი  
**მეჩ3**  
ტურბო  
**ჩემპიონი**



**გამოსაღებ**  
**ჩემპიონი დღეს**



# ნიგნები

რალაც ჭკვიანურად მინდა, დავიწყო. იმას ვეძებ, რაც ნიგნებზე ოდესმე, ვინმეს უთქვამს. პირველივე ციტატას ისეთს ვპოულობ, ზუსტად ახლა რომ გამოგვადგება — მეც და თქვენც — ამ ტექსტს ვინც კითხულობთ. აი, ისიც: “როცა კი ცოტადენი ფული ჩამივარდება ხელში, ნიგნებს ვყიდულობ; და თუ რამე მრჩება — მერე საკვებსა და ტანსაცმელს” — ერაზმუს როტერდამელი.

ეს სიტყვები სადღაც 1466-დან 1536 წლების პერიოდშია ნათქვამი, ანუ იმ ხანაში, როცა სახელგანთქმული მწერალი და ფილოსოფოსი, ზემოთ ხსენებული ერაზმუსი მოღვაწეობდა.

ამ სიტყვებისგან სულ ცოტა 470 წელი გვაშორებს და ვიცი, ბევრს ჰგონია, რომ ნიგნებისადმი ასეთი თავგანწირული დამოკიდებულება საუკუნეების ბრუნვაში აორთქლდა. მსგავს თავგანწირვას ახალი ათასწლეულის ადამიანს ვერ მოთხოვ, მით უმეტეს ქართველს, რომელსაც დიდი ხანი არ არის, რაც ნიგნის მაღაზიების კულტურა აღუდგინეს, ანდა უფრო პრიმიტიულად: ნიგნები დაუბეჭდეს და ჩამოუტანეს.

მაგრამ ჩვენს ქალაქში ყოველთვის ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც ჯერ ნიგნისკენ მიუწევთ გული, და მერე, თუ ფული დარჩათ — თეთრ პურზე მოსდით ნერწყვი. უბრალოდ, ისინი შეუმჩნევლად არსებობდნენ მაშინ, როცა სხვებს მწვადი ერჩინათ ლიტერატურას, ნიგნის მაღაზიას კი — ფენოვანი ხაჭაპურის ჯიხური. და უფრო წელგამართულნი დადიან ახლა, როცა მსგავსი ალტერნატივა, მადლობა ღმერთს, აღარ არსებობს.

ასეთი ადამიანები ნიგნს, შეიძლება, ისეთი ინტენსივობით ვერ ყიდულობენ, როგორც სურთ, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ ნიგნის მაღაზიებში შენობით იცნობენ, ღიმილითა და თავის ქნევით ესალმებიან, და კითხვის დაუსმელად მიუთითებენ ახლადმიღებული გამოცემების შესახებ.

ვინ, ვინ და მაღაზიის კონსულტანტებმა ყველაზე კარგად იციან, რომ ეს ადამიანები, როგორც წესი, თხელი აღნაგობისანი არიან, ნერვული მოძრაობით, ანთებული თვალებით, მაგრამ მცირე ფიზიკური წონის მიუხედავად, მაინც გმირულად ითვისებენ ხოლმე მა-

## პაულო კოელიო

„თერთმეტი წუთი“, „ალქიმიკოსი“

თარგმანი:  
ირინა მჭედლიშვილი  
ვლადიმერ კახუჩაშვილი  
მზია გელაშვილი



„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ 2004 წ.

ამ ორი გამოცემით შეიძლება ითქვას, რომ პაულო კოელიოს მიერ დახატული წრე იკვრება. სახეზეა — პირველი ბესტსელერი “ალქიმიკოსი”, რომელმაც კოელიო მსოფლიო სავაჭრო ნიშნად აქცია და მისი ბოლო წარმატებული რომანი — „თერთმეტი წუთი“. ვინც წაიკითხა, ამბობს, რომ „თერთმეტი წუთი“ კოელიოს დანარჩენი რომანებისგან ძალიან გასხვავდება. კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, ისე კი, სიტყვები და ფრაზოლოგია მაინც უცვლელად მეჩვენება: “სული და სხეული — სიყვარულის ალქიმიკა”. ისევ ალქიმიკა... სანამ ამ ალქიმიკოსს აღმოაჩენდეს, კოელიოს გმირი, ბრაზილიიდან შვეიცარიაში ბედის საძიებლად ჩასული მარია უამრავ მამაკაცს ხედება. მაგრამ ვინც მის სულს ეხება, მის ხორცს ვერ აღაზნებს, ვინც მის ხორცს ესიყვარულება — მის სულს ვერ სწვდება... მაგრამ ასე დიდხანს არ გრძელდება. კლასიკური თუ პოლივულური, თუ, სულაც, კოელიოსებური ზღაპრის პრინციპით, ყველაფერი „ჰეფი-ენდით“ მთავრდება. ათასგვარი დამცირების ატანის, ათასგვარი განსაცდელის გადალახვის შემდეგ, მარია საკუთარ თავსაც იპოვის და ნამდვილ სიყვარულსაც.

## ბორის ვიანი

პიესები

თარგმანი:  
პაატა ჯავახიშვილი



გამომცემლობა „დიოგენე“ 2004 წ.

როცა ინფორმაციული წინასიტყვაობითა და პაატა ჯავახიშვილის შესანიშნავი თარგმანით ვიანის „დღეთა ქაფი“ გამოიცა, მაშინვე წავეითებე და მივხვდი, რომ ძალიან კარგი და სრულიად განსხვავებული მწერალი აღმოვაჩინე. შესაბამისად, ნიგნის თაროზე ბორის ვიანის ახალ თარგმანთან გადაწყდომა სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ნიგნში სამი პიესაა შესული: „საყოველთაო გატყავება“, „გენერლების სამხარი“, „იმპერის მშენებლები ანდა შმურცი“.

აქაა ჩვეული ირონია, სატირაც, სხარტი წინადადებები, უცნაური სიტუაციები და პერსონაჟები (მაგალითად, როგორც მყრალი გამტყავებელი) და ასევე უუცნაურესი რომანტიკა: „ფანჯრებში მწვანე ხეებს ვხედავდი, მზე ყოველთვის შემოიხედავდა ხოლმე. იმ წლებში თორმეტივე თვე მაისი იყო. იმ მაისებში კი — ოცდათერთმეტივე დღე — კვირა. კვირებს ახალი ცვილისა და ინგლისური კანფეტების სუნე ადიოდა“...

ნიგნის შესავალში ნათქვამია, რომ პიესები ძალიან მსუბუქად იკითხება და სცენაზეც ძალიან კარგი იქნებოდა. დარწმუნებული ვარ.

## მარკ ტვენი

„ტომ სოიერის თავგადასავალი“

თარგმანი:  
ასმათ ლეკიაშვილი



გამომცემლობა „არეტე“ 2004 წ.

“ტომ!” — როცა დეიდა პოლი ეძახის ტომს, პასუხი კვლავაც არ არის. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალ გამოცემაში ყველაფერი ძველებურად არის. ბავშვები შეიძლება, ვერაფერს მიხვდნენ, მაგრამ მშობლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ის, რომ “ტომ სოიერი” პირველად ინგლისურიდან ქართულ ენაზე სწორედ ახლა ითარგმნა. ის ვერსია კი, რომელიც ჩვენს ბავშვობასთან გაიგივდა, რუსულიდან გახლდათ გადმოქართულებული.

ახალგაზრდა გამომცემლობა “არეტე” საქმე შესანიშნავ მთარგმნელს ასმათ ლეკიაშვილს მიანდო და ამ უკანასკნელმაც უფრო სრულყოფილად, უფრო მოქნილად გადმოთარგმნილი შტრიხებით თავიდან დახატა სამყარო, ურომლისოდაც ზოგადად, ბავშვის ბავშვობა წარმოუდგენლადაც კი მეჩვენება. ცნობისთვის: ნიგნი გაფორმებულია “ტომ სოიერის” პირველი ილუსტრატორის თრუ უილიამსის ნახატებით. ანუ, აქ მართლაც ყველაფერი შეძლებისდაგვარად მიახლოებულია დედანს.

დაბოლოს, ეს ნიგნი წლევეანდელ „საბაზე“ საუკეთესო თარგმანის ნომინაციაზეა წარდგენილი.

თზე გაცილებით სქელტანიან ტომებს და პარალელურად ოცნებასაც ასწრებენ: „როცა კი ცოტაოდენი ფული ჩამივარდება ხელში, წიგნს ვიყიდი; და მხოლოდ მერე, თუ რამე დამრჩა...“

სწორედ ასეთებისთვის და მათთან მიმსგავსებულთათვის ეხლა ერთ სამადლო საქმეს ჩაივდენ: შევალ მაღაზიაში, ჯერ შორიდან შევათვალიერებ თაროებს, პანორამულ ხედს შევიქმნი, თვალს შევაჩვენე ყდების ზღვას — იდუმალბას სხვადასხვაგვარი გრადაციით რომ განმაცდევინებენ. მერე მივუახლოვდები. გაუაზრებლად გადავატარებ მზერას სათაურებსა და გვარებს. დაფნყნარდები, დავიმახსოვრებ თითოეულ ფერს, ილუსტრაციას, სახელწოდებას და ავტორს. თუ საჭირო გახდა, კიბესაც მოვიმარჯვებ, ავძვრები ზედა თაროზე და შევადნევ ორ რიგად განლაგებული წიგნების სიღრმეში. თან თვალები გამადიდებელი შუშით მექნება შეიარაღებული, არც ერთი ახალი გამოცემა რომ არ გამომჩრჩეს.

წიგნებს გადავხედავ განურჩევლად მათი ფერისა, სქესისა, ეროვნულობისა და რელიგიური აღმსარებლობისა, ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ სიახლეს — „ისინი მაქსიმუმ“ დეკემბერში უნდა იყვნენ გამოცემულნი.

კიდევ ერთი: არ დავიცავ არანაირ ლოგიკურ, თანმიმდევრულ წყობას და ახალი გამოცემების შესახებ ქაოტურად გიამბობთ — მრავალფეროვნებისთვის. მერე კი იმ სათაურებსაც გაგაცნობთ, რომელთა გამოჩენასაც იანვარი-თებერვლის პერიოდში უნდა დაველოდოთ.

მამ ასე, ხელში ვიღებ პირველ წიგნს, ვფურცლავ და მცირე ჩაკირკიტებისა და ჩაფიქრების შემდეგ, პაუზას ვარღვევ, თავს მაღლა ვწევ, პირდაპირ თვალეში გიყურებთ და წიგნის თაროდან გიამბობთ შემდეგს:

**რუბან გალიეგო**

„თეთრით შავზე“

თარგმანი:  
ნინო ბექიშვილი



გამომცემლობა „დიოგენე“

2004 წ.

ფურცლავ წიგნს და გრაფაში — „სამადლობელი“ ვკითხულობ: „მადლობა ევას, ჩვენს პირველ დედას, იმიტომ, რომ ვაშლი შეჭამა. მადლობა ადამს იმიტომ, რომ მონანილობდა. განსაკუთრებული მადლობა ევას. შემდეგ იგივე სამადლობელი ეძღვნება ბებიას, დედას და ცოლებსაც; ამ უკანასკნელთ „იმიტომ, რომ იყვნენ“.


მე, პირადად, რაღაცნაირად მელიმება ისე, სხვისი მახვილგონიერება რომ გისამოვნებს ხოლმე. ცხადია, კითხვას ვაგრძელებ და მერე უარესად მელიმება და უარესად მომწონს: „გმირი ვარ. გმირობა ადვილია. თუ ხელ-ფეხი არა გაქვს, ან გმირი ხარ, ან მკვდარი“. რამდენიმე წინადადების მერე კი, საზარელი დეტალით ვიწყობ, რომ ამ გმირს, რომელიც თავშესაფარში მცხოვრები ბავშვია, ხელ-ფეხი მართლაც არ აქვს: „პატარა ბიჭი ვარ. ღამეა. ზამთარი. ტუალეტში მინდა. ძიძას დაუძახებდი, მაგრამ შორს არის... სანოლისკენ ვინვეი, პირაღმა ებრუნდები და სხეულს ძირს ვისვრი. დაცემა. ტკივილი. თავით ვალებ კარს და გარეთ გავდივარ“.

რუბენ გალიეგო თავისი უნიკალური ორბუნებოვნებით — სარკასტული და კეთილის საოცარი ნაზავით — შარშანდელი „ბუკერის“ ლაურეატს დი.ბი.სი. პიერს მაგონებს. თვითონაც ძალიან საინტერესო და ტრაგიკული ბიოგრაფია აქვს და გმირიც ასეთი ჰყავს — პატარა, მარტოსული, ინვალიდი ბიჭი, რომელიც ჭერში შავ ფონზე ნელა მცოცავ თეთრ ასოებს ხედავს. ამ ასოებით აწყობილი სიტყვებითა და წინადადებებით კი გალიეგო ძალიან ძლიერ მხატვრულ ტექსტს ქმნის (ეს მისი პირველი რომანია). მთელი გულით გირჩევთ ნაკითხვას.

**ზაზა ბურჭულაძე**

„სახარება ვირისა“

გაგა ლომიძის კომენტარები



გამომცემლობა „ლოგოს პრესი“

2004 წ.

თავიდანვე შეგახსენებთ, რომ ბურჭულაძის წინა რომანი „მინერალური ჯაზი“ 2003 წლის წინანდლის პრემიის ლაურეატი და სალიტერატურო პრემია „საბას“ ნომინანტი გახლდათ. ამჯერად ის სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი. „სახარება ვირისა“ ბურჭულაძის ახალი რომანია, რომელშიც წინა ტექსტის ხაზია გაგრძელებული და დახვეწილი ლიტერატურული პროზის კიდევ ერთ ნიმუშს წარმოადგენს. ის, რასაც ლევან ბერძენიშვილი „მინერალური ჯაზის“ შესახებ შენიშნავდა, აქტუალობას არც „სახარება ვირისა“-ს შემთხვევაში კარგავს. ბურჭულაძის ბოლო რომანშიც ისეა, როგორც ბატონი ლევანი „მინერალურ ჯაზზე“ ამბობდა: „ნამდვილი მწერალი თამაშობს: ერთმანეთისთვის მანამდე უცნობ სიტყვებს დაამეგობრებს და ტრივიალური გონებისთვის მოულოდნელ წყვილებს ქმნის... ერთმანეთს შეუხვედრელი სიტყვები ათას წელს იცხოვრებდნენ ცალ-ცალკე და ვირტუალურად შესაძლებელი რომელიმე მსაზღვრელ-საზღვრული არასოდეს არავის მიერ არ წარმოითქმებოდა არც ერთ ენაზე, სწორედ ამ მწერალს რომ არ მოეწოდებინა მისი გამოგონება, და არა მხოლოდ გამოგონება, არამედ გასათაურება, ანუ გაუნიკალურება, ანუ გაუკვდავება...“

ვისაც სურს სიტყვებისა და აზრების ამ ერთი შეხედვით ჩახლართულ ლაბირინთში იმოგზაუროს, „სახარება ვირისა“ უნდა იკითხოს. თუ, რა თქმა უნდა, „მინერალური ჯაზის“ ესთეტიკას უკვე იცნობს.

კიდევ ერთი: „სახარება ვირისა“ წლევანდელ „საბაზე“ წლის საუკეთესო რომანის ნომინაციაზეა წარდგენილი.

**ლაშა ბულაძე**

ბოლო ზარი



„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ 2004 წ.

ეს ბულაძის პირველი რომანია და, ალბათ ამიტომაც, თაროზე ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დევს. სისქე — არა შესაშინებელი. პირიქით, კლასიკური რომანებისგან მას თავისი ფორმატიც განასხვავებს — უფრო 12-ფურცლიან საერთო რეველს ჰგავს. თუმცა, ეგ არაფერი. ხელი უკვე შეეჩვია ამ თხელი წიგნების ყიდვას, თვალი — ერთი ამოსუნთქვით მათ გადაკითხვას, ტვინი — აღქმას, აღფრთოვანებას და დამახსოვრებას ან პირიქით, დავიწყებას. „ბოლო ზარიც“ ასეთია — ლაკონური და, თუ მისი ავტორის ვინაობას, სტილსა და ძველ ტექსტებს გაეთვალისწინებთ, სასაცილოც. მთავარი გმირი ნინწოა, თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე. ნინწო ოცდაერთი წლის კრიმინალს ნოდრიკუჩას უყვარს, მაგრამ პრესტიჟული სკოლის, როგორც ჩანს, პრესტიჟული მოსწავლე, თავყვანისმცემლების რიცხვს არ უჩივის, რისი დასტურია ისიც, რომ ნინწოს თავს თანაკლასელი დემურიც აწონებს.

„რითი ერთობიან თბილისელი თინეიჯერები, რატომ უნდა სკოლის აფეთქება ნუციკოს, ვის შეუყვარდება დემური და რით დასრულდება ეს ყველაფერი — შეიტყობთ ლაშა ბულაძის პირველი რომანიდან „ბოლო ზარი“. სათაური, ცოტა არ იყოს, გაზეთის რუბრიკის ანონსივით ჟღერს, მაგრამ წიგნში ზუსტად ასეა. თბილისელი თინეიჯერები და ბულაძის იუმორის თაყვანისმცემლები კი, „ბოლო ზარს“ იმედია, მალე დააგემოვნებენ.

ავტორი: თამარ ბაბუაძე



# ქოთნის ყვავილები

ავტორი: ნათია ახალაშვილი  
ფოტო: დავით მესხი





ქოთნის ყვავილების ტრადიციულ სახეობებთან ერთად, გაჩნდა ეგზოტიკური ჯიშებიც, რომელთა სამშობლო შეიძლება ავსტრალია, აფრიკა ან სამხრეთ ამერიკა იყოს.

დროთა განმავლობაში მოდა იცვლება. გაჩნდნენ ახალი პრეტენდენტები, როგორც ორქიდეა ან ბანსაის ტექნიკით გამოყვანილი ჯუჯა ხეები.

თუ ყვავილის შეძენა გაქვთ გადანყვეტილი, უნდა გაითვალისწინოთ, რამდენად ნათელი ადგილი უნდა მიუჩინოთ, რამდენად ტენიანი თუ მშრალი ჰავაა შენობაში, რა ტემპერატურაა იქ ზამთარსა თუ ზაფხულში. ზოგ მცენარეს მთელი წელი მაღალი ტემპერატურა და მეტი ტენი სჭირდება. ზოგს – აუცილებლად გრილი ზამთარი. მესამე იმდენად მომთხოვნია, რომ მისთვის წყალი და ნიადაგიც კი განსაკუთრებული დაგჭირდებათ. ისიც გასათვალისწინებელია, საჭიროების შემთხვევაში თუ შეძლებთ მცენარის დამატებით განათებას.



## ქლოროფიტუმი

**სამშობლო** – სამხრეთ ამერიკა;

**ზომა** – ფოთლები აღწევს 20-40 სმ-ს;

**ყვავილობა** – მთელი წელი, თუ სითბოში ამყოფებთ. ბუჩქის შუა ნაწილიდან ამოდის ტოტი, რომელიც 1 მეტრამდე იზრდება და ყვავილობის შემდეგ, მასზე შვილობილი ჩნდება, საპყერო ფესვებით;

**გამრავლება** – შვილობილის გადარგვით ან გადარგული ბუჩქის გაყოფით;

**გადარგვა** – ყოველ გაზაფხულზე;

**ტემპერატურა** – თავს კარგად გრძნობს, როგორც გრილ, ისე – თბილ გარემოში. ზამთარში – 12-14°;

**განათება** – სინათლე უყვარს, მაგრამ პირდაპირ მზის სხივებს მოარიდეთ.

**მორწყვა** – გაზაფხულიდან შემოდგომამდე უხვად მორწყეთ. ცხელ ამინდში დანამეთ. ზამთარში მორწყვა შეამცირეთ და დანამვა შეწყვიტეთ. სიცივეში მეტი ტენი მცენარის ფოთლებზე ყავისფერ ლაქებს აჩენს და ფესვები ღებება.

**ჰაერის ტენიანობა** – ადვილად იტანს მშრალ ჰაერს. ზაფხულში უმჯობესია გარეთ გაიტანოთ;

**ნიადაგი** – 2/5 ბალის მიწა, 1/5 ნემომპალა, 1/5 ტორფი და 1/5 ქვიშა;

**დამატებითი კვება** – გაზაფხულიდან შემოდგომამდე ორ კვირაში ერთხელ, კომპლექსური სასუქით.



## ფიკუსი

**სამშობლო** – ტროპიკული აზია;

**ზომა** – ბუნებაში 10-20 მეტრამდე აღწევს, საოჯახო პირობებში – მაქსიმუმ 2 მეტრი;

**ყვავილობა** – საოჯახო პირობებში არ ყვავის;

**გამრავლება** – შესაძლებელია კალმით; კალამს ვიდრე ჩარგავთ, უმჯობესია რამდენიმე დღე წყალში გააჩეროთ;

**ტემპერატურა** – ოთახის – 18-23°-ის ინტერვალით. ზამთარში ეცადეთ, რომ ტემპერატურა 12°-ზე ქვემოთ არ ჩამოვიდეს;

**განათება** – უყვარს სინათლე, მაგრამ პირდაპირ მზის სხივებს მოარიდეთ;

**მორწყვა** – გამოზომილი;

**ჰაერის ტენიანობა** – ზაფხულში და ზამთარში, ცენტრალური გათბობის პირობებში, აუცილებლად სჭირდება ფოთლების დანამვა;

**ნიადაგი** – 3/5 ბალის მიწა, 1/5 ტორფი და 1/5 ქვიშა;

**დამატებითი კვება** – გაზაფხულიდან შემოდგომამდე ორ კვირაში ერთხელ, კომპლექსური სასუქით.



### ჩიტავაშლა

**სამშობლო** – ევრაზია;  
**ზომა** – 2,5 მეტრამდე აღწევს;  
**ყვავილობა** – მაისის ბოლოს იწყება და 2-3 კვირას გასტანს;  
**ნაყოფი** – პატარა ზომის ვაშლის ფორმის;  
**გამრავლება** – თესლით, ტოტით ან კალმით;  
**ტემპერატურა** – მცირე დროით ყინვასაც უძლებს; ზაფხულში 23-25°;  
**განათება** – მზიანი ადგილი, მაგრამ ჩრდილსაც იტანს;  
**ნიადაგი** – ნეშომპალთი მდიდარი;



### ეხმეია

**სამშობლო** – ბრაზილია. გვხვდება მექსიკიდან ჩრდილოეთ არგენტინამდე;  
**ზომა** – ფოთლებით განისაზღვრება და შეიძლება 70 სანტი-მეტრამდე გაიზარდოს. კარგად იზრდება ოთახის პირობებში;  
**ყვავილობა** – ძირითადად ზაფხულში ყვავის;  
**გამრავლება** – შეიძლება შვილი ტოტებით, რომლებიც ყვავილის ძირში ამოდიან. მცენარე ყვავილობის შემდეგ კვდება. სიკვდილის შემდეგ, „შვილ“ ტოტს „დედის“ ნაწილთან ერთად გამოყოფენ და ცალკე ქოთანში რგავენ;  
**ტემპერატურა** – ზაფხულში – 20-25°, ზამთარში – არანაკლებ 18°;  
**განათება** – ინტენსიური. ეხმეია საჭიროებს მკვეთრ სინათლეს, თუმცა პირდაპირ მზის სხივებს უნდა მოარიდოთ. მცენარე თავს ნახევარჩრდილშიც კარგად გრძნობს;  
**მორწყვა** – ზამთარსა თუ ზაფხულში – უხვი;  
**ჰაერის ტენიანობა** – მაღალი. ეხმეიას ყოველ დილას ფოთლების დანამვა სჭირდება;  
**ნიადაგი** – 1/3 ფოთლოვანი მიწა, 1/3 ტორფი და 1/3 ქვიშა. ნიადაგში აუცილებლად ჩაამატეთ ხის ნახშირი და მცენარეების გამზმარი ფესვები.



### მჟაუნა

**სამშობლო** – სამხრეთ აფრიკა, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა.  
**ზომა** – 15-25 სმ სიმაღლის;  
**ყვავილობა** – ზაფხულში – ვარსკვლავისებური ხუთფურცლიანი თეთრი ან ვარდისფერი ყვავილებით;  
**გამრავლება** – ბუჩქის გაყოფით;  
**გადარგვა** – ნელინადში ერთხელ, აპრილში;  
**ტემპერატურა** – ზამთარში მინიმუმ 2 გრადუსი, ზაფხულში – ეცადეთ 18°-ს არ ასცდეს;  
**განათება** – დილაობით პირდაპირი მზის სხივები სასარგებლოა;  
**მორწყვა** – ყოველ 4-5 დღეში (ზრდის პერიოდში). ზამთარში ნუ მორწყავთ, მინა ქოთანში მშრალი უნდა იყოს;  
**ჰაერის ტენიანობა** – შეეფერება მშრალი ჰაერი, თუ ტემპერატურა 15°-ზე მეტი არ არის;  
**ნიადაგი** – ქვიშიანი სუბსტრატი კაქტუსებისათვის;  
**დამატებითი კვება** – ზაფხულში – თვეში ერთხელ სასუქით.



## კაპონია

**სამშობლო** – ინდოეთი, მალაიზია;

**ზომა** – 20-40 სმ სიმაღლისა და სიგანის. იშვიათად ერთ მეტრამდეც იზრდება;

**ყვავილობა** – პატარა ზომის თეთრი ან ღია ვარდისფერი ყვავილებით. საჭიროა ყვავილების მოწყვეტა, რათა მცენარე კარგად გაიზარდოს;

**გამრავლება** – კალმით მთელი წლის განმავლობაში შეგიძლიათ;

**გადარგვა** – გაზაფხულის დასაწყისში;

**ტემპერატურა** – არ უყვარს ძალიან მაღალი ტემპერატურა. მთელი წელი უნდა ეცადოთ 14-22<sup>o</sup> ცელსიუსით შეუნარჩუნოთ.

**განათება** – მცენარეს სინათლე უყვარს და მზიან ფანჯარასთან მოათავსეთ;

**მორწყვა** – ზაფხულში კვირაში 2-ჯერ, ზამთარში – ნიადაგი 2 სმ-ის სიღრმეზე უნდა გამოშრეს. ქოთანს ძირი წყალში არ უნდა ედგას.

**ჰაერის ტენიანობა** – ზამთარში დაბალი. არასოდეს დანამოთ. მის ფოთლებს წყლის წვეთები არ უყვარს.

**ნიადაგი** – 1/4 სათბურის მიწა, 1/4 ორგანული სასუქი, 1/4 ტორფი და ძირში 1/4 წვრილი ქვიშა (დრენაჟის გასაუმჯობესებლად);

**დამატებითი კვება** – 10 ლიტრ წყალში გააზავეთ ერთი შეკვრა თხევადი სასუქი და აპრილიდან შუა აგვისტომდე ამ მკვებავი ნარევიტ მორწყეთ ხოლმე;



## აირი

ეს მცენარე ძალიან უხდება აკვარიუმსა და წყლის კომპოზიციებს.

**სამშობლო** – ჩრდილო ამერიკა, ევროპა;

**ზომა** – ოთახში 10-15 სანტიმეტრამდე იზრდება, ბუნებაში კი 1-1,5 მეტრამდეც აღწევს.

**ყვავილობა** – ძალიან იშვიათად;

**გამრავლება** – ფესვების გაყოფით ხდება, რის შემდეგაც მალე იზრდება.

**ტემპერატურა** – გადახურებას ვერ იტანს.

**განათება** – პირდაპირი მზის სხივებისგან ფოთლების წვერები შავდება და კვდება. სასარგებლოა გრილი ადგილი გაფანტული სინათლით.

**მორწყვა** – სჭირდება უხვი, ქვესადგამში მუდმივად უნდა ჰქონდეს წყალი

**ჰაერის ტენიანობა** – დაბალი;

**ნიადაგი** – 2/5 მდინარის შლამი, 1/5 ტორფი და 2/5 ქვიშა.

**დამატებითი კვება** – უმჯობესია თავი შეიკავოთ.



## სამოთხის ჩიტა — სტრალიცია

**სამშობლო** – სამხრეთ აფრიკა;

**ზომა** – ქოთანში სიმაღლეში 1,2 მეტრამდე იზრდება;

**ყვავილობა** – აპრილიდან ნოემბრამდე ეგზოტიკური ჩიტის ფორმის ნარინჯისფერი (15 სმ ზომის) ყვავილებით;

**გამრავლება** – გაზაფხულზე, ბუჩქის გაყოფით;

**გადარგვა** – ყოველი წლის გაზაფხულზე;

**ტემპერატურა** – მცენარის ყვავილობისთვის აუცილებელია, რომ ზამთარში სიმშვიდე შეუნარჩუნოთ. მოათავსეთ კარგად განათებულ ადგილზე, 7-12<sup>o</sup> ტემპერატურაზე. ზაფხულში ოპტიმალურია 23-25<sup>o</sup>;

**განათება** – სასარგებლოა პირდაპირი მზის სხივები;


**მორწყვა** – ზრდის პერიოდში 3 დღეში ერთხელ. ზამთარში ყოველ 10-15 დღეში.

**ჰაერის ტენიანობა** – ზამთარში თუ ტემპერატურა 15<sup>o</sup>-ზე მეტია, ყოველდღე დანამეთ მისი ფოთლები;

**ნიადაგი** – ერთი წილი სათბურის მიწა, ერთი წილი ქვიშა, ერთი წილი ბალის მიწა და 20% ორგანული სასუქი;

**დამატებითი კვება** – აპრილიდან ოქტომბრამდე ყოველ 3 კვირაში ერთხელ, თხევადი სასუქით.





### ამერიკული აბავა

- სამშობლო** – ცენტრალური ამერიკა, ანტილიის კუნძულები;
- ზომა** – ფოთლის სიგრძით იზომება და შეიძლება 15 მეტრსაც მიაღწიოს;
- ყვავილობა** – იშვიათად ყვავილობს, 10 წლის ასაკიდან;
- გამრავლება** – ფესვების გამონაზარდებით;
- გადარგვა** – წელიწადში ერთხელ – სწრაფად მზარდებისთვის, წელა მზარდებისთვის – 2 წელიწადში ერთხელ;
- ტემპერატურა** – ზამთარში გრილ ადგილას განათავსეთ, მინიმუმ 5° ტემპერატურაზე და არც ისე განათებულ ადგილას; ზაფხულში – 22-25°.
- განათება** – კაშკაშა მზე უყვარს და მაისის შუა რიცხვებიდან შეგიძლიათ გარეთ დადგათ;
- მორწყვა** – ზაფხულში ყოველ 7-10 დღეში, ზამთარში – თვეში ერთხელ. ბუჩქის შუაში წყალი არ ჩაასხათ;
- ჰაერის ტენიანობა** – განსაკუთრებული მოთხოვნები არ აქვს;
- ნიადაგი** – 1/3 ბალის მიწა, 1/3 მსხვილი ქვიშა და 1/3 ტორფი;
- დამატებითი კვება** – ზაფხულში 2-3-ჯერ კაქტუსების სასუქით (ნაკლები აზოტით) გამოკვებეთ.



### გვიმრა (Nefropილესი)


- სამშობლო** – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტროპიკული ტყეები;
- ზომა** – მცენარის ფოთლების სიგრძით განისაზღვრება და აღწევს 70სმ. დაბერებული ფოთლები ყვითლდება და სცვივა;
- ყვავილობა** – არასოდეს ყვავის.
- გამრავლება** – შეგიძლიათ გაზაფხულზე გადარგვისას, როდესაც დედა ყვავილისაგან გამოყოფთ შვილ გადანაწილს;
- ტემპერატურა** – ზაფხულში – 18-25°; ზამთარში არანაკლებ 16-18°;
- განათება** – ინტენსიური, უმჯობესია მცენარე მზის პირდაპირ სხივებს მოარიდოთ;
- მორწყვა** – მხოლოდ რბილი წყლით. მიწის საფარი ყოველთვის ნესტიანი უნდა იყოს. მოერიდეთ მის გამოშრობასა და ჭარბწყლიანობას;
- ჰაერის ტენიანობა** – მაღალი. გვიმრას რეგულარულად სჭირდება რბილი წყლის შეპკურება ზაფხულში და თუ მცენარე ოთახში იზამთრებს – მაშინაც;
- ნიადაგი** – 1/4 ბალის მიწა, 1/4 ნემომპალა, 1/4 ტორფი და 1/4 ქვიშა;
- დამატებითი კვება** – უნდა განახორციელოთ გაზაფხულიდან შემოდგომამდე თვეში ორჯერ, კომპლექსურად.





### აღიანტუში — ვენერას თმა

- სამშობლო** – სამხრეთ ბრაზილია;
- ზომა** – 40-50 სმ-ს აღწევს;
- ყვავილობა** – არ აქვს;
- გამრავლება** – სპორებით, ოთახის პირობებში გაძნელებულია. ახალ მცენარეს ფესვების გაყოფით მიიღებთ;
- გადარგვა** – ყოველ გაზაფხულზე;
- ტემპერატურა** – ზამთრის პერიოდში 20°-ზე ნაკლები არ არის მიზანშეწონილი. ზაფხულში – უფრო მაღალი;
- განათება** – არ უნდა იყოს ძალიან მკვეთრი. ქოთანი მოარიდეთ პირდაპირ მზის სხივებს;
- მორწყვა** – მხოლოდ რბილი, თბილი წყლით. არ დაუშვათ ნიადაგის გამოშრობა. დროგამოშვებით ქოთანი თბილ წყალში ჩადგით და შემდეგ დაწურვა აცალეთ;
- ჰაერის ტენიანობა** – აუცილებელია მოუმატოთ. ამისათვის საჭიროა დანამოთ არა თვით მცენარე, არამედ – მის გარშემო ჰაერი;
- ნიადაგი** – ერთი წილი ბალის მიწა, ერთი წილი ნემომპალა, ერთი წილი ტორფი და ერთი წილი მსხვილი ქვიშა;
- დამატებითი კვება** – ხორციელდება გაზაფხულიდან შემოდგომამდე, თვეში ორჯერ, ყვავილებისთვის განკუთვნილი სასუქით. მარილებს ვერ იტანს.



### კრასულა (ფულის ხე)

- ამ მცენარეს ხშირად „ფულის ხეს“ ეძახიან იმის გამო, რომ მისი ფოთლები მონეტის ფორმისაა. თავად მცენარე პატარა ხეს ჰგავს.
- სამშობლო** – სამხრეთ აფრიკა.
- ზომა** – ოთახის პირობებში 1 მეტრამდე აღწევს.
- ყვავილობა** – ხშირად არ ყვავის. მისი ყვავილები პატარა ზომის თეთრი ან ვარდისფერია.
- გამრავლება** – ფოთლით ან ღეროთი.
- ტემპერატურა** – ზაფხულში – 22-25°, ზამთარში – 12-14°.
- განათება** – საკმაოდ ინტენსიური. კარგად იტანს პირდაპირ მზის სხივებსაც, მაგრამ ნახევარჩრდილშიც მშვენივრად გრძნობს თავს.
- მორწყვა** – გაზაფხულიდან შემოდგომამდე შეზღუდული. ზამთარში კი მინიმუმამდე დაიყვანეთ.
- ჰაერის ტენიანობა** – არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. დანამვა არ სჭირდება, კარგად იტანს მშრალ ჰაერს.
- ნიადაგი** – 3/5 მიწა, 1/5 ტორფი და 1/5 ლამი.
- დამატებითი კვება** – კაქტუსების მსგავსად – გაზაფხულსა და ზაფხულში.





## მონსტერა

ეს სახეობა აერთიანებს 20-მდე სახეობის ტროპიკულ ლიანებს, რომლებიც ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში შეიძლება შეგხვდეთ. ასეთი კოლორიტული სახელი ამ ჯგუფს თავისი დიდი ზომის ფოთლების გამო შეერქვა. მონსტერა ერთ-ერთი ყველაზე დიდფოთლოვანი ოთახის მცენარეა.

**სამშობლო** – მექსიკიდან პანამამდე;

**ზომა** – ოთახის პირობებშიც კი შეიძლება ძალიან დიდი გაიზარდოს. სწრაფად ზრდად მონსტერას აუცილებლად სჭირდება საბრჯენი. მისი ჰაერში ჩამოკიდებული ფესვების მოცლა არ შეიძლება. არც მინის მიყრაა მიზანშეწონილი;

**გამრავლება** – ყველაზე ადვილად მისი საჰაერო გამონაზარდების გადარგვით ხდება;

**ტემპერატურა** – მთელი წლის განმავლობაში – ოთახის. ზამთარში მცენარე შეიძლება ცოტა ხნით მინიმუმ 10° სიგრილეში ამყოფოთ. 16°-ზე ნაკლებ ტემპერატურაზე მონსტერას ზრდა ფერხდება;

**განათება** – არ უნდა იყოს კაშკაშა. მონსტერა ტროპიკული ბინდებუნდის შვილია. ვერ იტანს პირდაპირ მზის სხივებს და უყვარს ნახევარჩრდილი, თუმცა კარგი განათების პირობებში, იგი გაცილებით ეფექტურად გამოიყურება;

**მორწყვა** – მუდმივი. მისი ნიადაგი სულ ტენიანი უნდა იყოს, მაგრამ – არა ნესტიანი. ზამთარში უფრო იშვიათად მორწყეთ, მაგრამ ნიადაგის გამოშრობა დაუშვებელია;

**ჰაერის ტენიანობა** – ზაფხულში შეიძლება ხელოვნურად გაზარდოთ, რეგულარულად დაუნამეთ ფოთლები. ასევე შესაძლებელია მისი ფოთლების სველი ნაჭრით განმენდაც.

**ნიადაგი** – 1/4 ბალის მინა, 1/4 ნეშომპალა, 1/4 ტორფი და 1/4 ქვიშა.

**დამატებითი კვება** – გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში, ორ კვირაში ერთხელ.

## ნანდინა

**სამშობლო** – იაპონია, ჩინეთი.

**სიმაღლე** – აღწევს 1.5 მეტრამდე.

**ყვავილობა** – ზაფხულში

**გამრავლება** – თესლით;

**ტემპერატურა** – ზამთარში მცირე ყინვასაც უძლებს. ზაფხულში მიზანშეწონილია 20-23°-ის შენარჩუნება.

**განათება** – მზიანი; მაგრამ კარგად ეგუება ჩრდილსაც;

**მორწყვა** – ნორმალური, როგორსაც მიაჩვენთ.

**ჰაერის ტენიანობა** – განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს.

**ნიადაგი** – 2/4 ბალის მინა, 1.4 ნეშომპალა და 1/4 ქვიშა.

**დამატებითი კვება** – გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ორ კვირაში ერთხელ სასუქით გაამდიდრეთ.





## კატუსი გასტარია

**სამშობლო** – მექსიკა;

**ზომა** – 20-25სმ;

**გამრავლება** – შვილობილებით. მოშორებულ შვილს ოდნავ აპრობენ და ქოთანში ამის შემდეგ რგავენ;

**გადარგვა** – გაზაფხულზე;

**ტემპერატურა** – ზამთარში მინიმალურია +5°, მაგრამ ოპტიმალური – 8-12°, ზაფხულში – 20-22°;

**განათება** – მიზანშეწონილია ნახევარჩრდილი, მაგრამ მზის გულზეც კარგად ძლებს. უმჯობესია, თუ ნათელ ფანჯარასთან განათავსებთ;

**მორწყვა** – ნიადაგი ოდნავ ტენიანი შეუნარჩუნეთ. ზამთარში იშვიათად მორწყეთ;

**ჰაერის ტენიანობა** – მშრალი;

**ნიადაგი** – კატუსისთვის შესაფერი ნიადაგი, დამატებული აგურის ნატეხები და ხრეში;

**დამატებითი კვება** – გადარგვისას მინერალური სასუქი ემატება (10 გრამი განზავებული ერთ ვედრო გრუნტში).



## ბოკარნა

თუ გსურთ ისეთი მცენარე, რომელსაც ზედმეტი მოვლა არ სჭირდება, მაშინ არჩევანი ბოკარნაზე უნდა შეაჩეროთ, რომელიც ასევე ნოლინას სახელითაცაა ცნობილი. მისი გაბერილი ტანი კარგად ინახავს წყალს. ამ განსხვავების გამო, დიდ ბრიტანეთში მას „სპილოს ფეხი“ შეარქვეს. გრძელი, თასმის მსგავსი ფოთლების გამო, მას „ცხენის კუდსაც“ ეძახიან. ბოკარნას ერთადერთი სახეობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია, არის გადაზნექილი ბოკარნა.

**სამშობლო** – მექსიკა;

**ზომა** – ბუნებრივ პირობებში 3 მეტრს აღწევს, ტანის დიამეტრი კი – 1 მეტრს. ოთახში მისი სიმაღლე 1,5 მეტრს არ სცდება.

ბოკარნა ძალიან ნელა იზრდება; ყვავილობა – საოჯახო პირობებში არ ყვავის;

**გამრავლება** – კალმით ხდება;

**გადარგვა** – ყოველ გაზაფხულზე;

**ტემპერატურა** – ზაფხულში – 18-25°. უმჯობესია ქოთანი ზაფხულში გარეთ გაიტანოთ. ზამთარში 12-15°-ზე ნაკლები ტემპერატურა არ არის მიზანშეწონილი;

**განათება** – საჭიროა მკვეთრი. უმჯობესია ქოთანი, სამხრეთ, ან სამხრეთ-დასავლეთ ფანჯარასთან მოათავსოთ. დაჩრდილვას მცენარე არ საჭიროებს;

**მორწყვა** – ზამთარსა თუ ზაფხულში ზომიერი. ნიადაგის გამოშრობით მიხვდებით მორწყვის საჭიროებას. დაიმახსოვრეთ, რომ ბოკარნა ვერ იტანს ზემდეტ ტენს. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მორწყვა შეამცირეთ.

**ჰაერის ტენიანობა** – მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს. ბოკარნა კარგად იტანს მშრალ ჰაერს და დანამვას არ საჭიროებს.

**ნიადაგი** – 2/3 ბალის მინისა და 1/3 ქვიშისაგან უნდა შედგებოდეს;

**დამატებითი კვება** – ზაფხულში თვეში ერთხელ ხორციელდება.





## ციკასი

ციკასი ერთ-ერთია ძველი წინვოვანი მცენარეების ორიგინალურ ჯგუფში, რომლის წარმომადგენლებიც საოჯახო პირობებშიც იზრდებიან. მცენარეს დაავადებები და პარაზიტები ვერაფერს აკლებენ. იზრდება ნელა, ყოველ წელს მხოლოდ ერთი ახალი ფოთოლი გამოაქვს.

**სამშობლო** – სამხრეთ იაპონია;

**სიმაღლე** – ოთახის პირობებში 60 სმ-ს არ აღემატება.

ბუნებაში – ძალიან ნელა იზრდება და

შეიძლება 2 მეტრამდეც მიაღწიოს;

**ყვავილობა** – ფოთლებით პალმას მოგაგონებთ, ამის მიუხედავად, წინვოვანებს მიეკუთვნება და არასოდეს ყვავის. ყვავილის ნაცვლად, გირჩის მსგავს ნაყოფს იკეთებს;

**გამრავლება** – ოთახის პირობებში თითქმის შეუძლებელია;

**გადარგვა** – იშვიათად, 3-4 წელიწადში ერთხელ;

**ტემპერატურა** – ზაფხულში – 22-25°, მისი ქოთანის ისეთ ადგილას უნდა დადგათ, რომელიც კარგად ნიავედება. უმჯობესია, ცხელ ამინდში სუფთა ჰაერზე გაიტანოთ. ეცადეთ

ზამთარში – ტემპერატურა 15° ცელსიუსზე ქვემოთ არ ჩამოვიდეს;

**განათება** – ინტენსიური. ზამთარ-ზაფხულ ციკასს მკვეთრი სინათლე სჭირდება და, ამავე დროს, მოარიდეთ პირდაპირ მზის სხივებს;

**მორწყვა** – რეგულარული, მაგრამ ფრთხილი. ნიადაგი მუდმივად ოდნავ ტენიანი უნდა ჰქონდეს. დაუშვებელია ქოთანში წყლის დაგუბება;

**ჰაერის ტენიანობა** – არ აქვს მნიშვნელობა. დანამვა მხოლოდ ზამთარში ცენტრალური გათბობის ქონის შემთხვევაში დასჭირდება;

**ნიადაგი** – 4/6 ბალის მიწა, 1/6 ტორფი და 1/6 ქვიშა. სჭირდება კარგი დრენაჟი;

**დამატებითი კვება** – გაზაფხულსა და ზაფხულში, თვეში ერთხელ ორგანული სასუქით (ძროხის ან ცხენის ნაკელი) გაამდიდრეთ.

## ფილოდენდრონი

**სამშობლო** – ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა;

**ზომა** – დამოკიდებულია მცენარის ღეროზე და სიმაღლეში 60 სმ-დან 2 მეტრამდე მერყეობს;

**ყვავილობა** – თითქმის არ ყვავილობს საოჯახო პირობებში;

**გამრავლება** – ხდება ფესვების გაყოფით;

**ტემპერატურა** – გაზაფხულ-შემოდგომის პერიოდში – 18-20°.

ზამთარში – ნაკლებად სასურველია 16°-ზე ნაკლები

ტემპერატურა;

**განათება** – არ არის საჭირო ძალიან მკვეთრი. მცენარეს ან გაფანტული სინათლე სჭირდება, ან ბინდი. ვერ იტანს პირდაპირ მზის სხივებს;

**მორწყვა** – რეგულარული და უხვი. ნიადაგი მუდმივად ტენიანი უნდა იყოს. ზამთარში მოუკელით;

**ჰაერის ტენიანობა** – მაღალი. მას ხშირად სჭირდება დანამვა ან სველი ნაჭრით ფოთლების განმენდა;

**ნიადაგი** – 3/5 ბალის მიწა, 1/5 ტორფი და 1/5 ქვიშა;

**დამატებითი კვება** – გაზაფხული-შემოდგომის პერიოდში ორ კვირაში ერთხელ, ზამთარში – თვეში ერთხელ.





## პასიპოლიუმი



ყურადღება! მისი წვენი მომწამვლელია!

**სამშობლო** – აფრიკა, მადაგასკარი;

**ზომა** – ბუნებაში 5 მეტრსაც აღწევს; ოთახში შეიძლება 1,5 მეტრსაც მიაღწიოს. წელიწადში 5 სმ-ს იმატებს;

**ყვავილობა** – იშვიათად. ოთახში თითქმის არ ყვავილობს;

**გამრავლება** – ვეგეტატიურად შეუძლებელია; მხოლოდ მაღაზიაში ნაყიდი თესლით შეგიძლიათ;

**გადარგვა** – ორ წელიწადში ერთხელ, გაზაფხულზე;

**ტემპერატურა** – მთელი წლის განმავლობაში ერთნაირი, 20-25<sup>0</sup>-ის ინტერვალში. ზაფხულში შეგიძლიათ მცენარე სუფთა ჰაერზე გაიტანოთ. ზამთარში ტემპერატურა 18<sup>0</sup>-ზე დაბლა არ უნდა ჩამოვიდეს;

**განათება** – მკვეთრი. კარგად იტანს პირდაპირ მზის სხივებს;

**მორწყვა** – რეგულარული. ნიადაგი მუდმივად ტენიანი უნდა იყოს. გამომშრობის შემთხვევაში ფოთლები სცვივა;

**ჰაერის ტენიანობა** – არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ტენიანი ჰაერი მცენარეს არ სჭირდება;

**ნიადაგი** – 3/5 ბალის მიწა, 3/5 ტორფი და 3/5 ქვიშა. ნიადაგის ზედაპირი ხრეშით უნდა დაიფაროს;

**დამატებითი კვება** – ხდება თვეში ერთხელ კაქტუსებისთვის განკუთვნილი სასუქით.

## სპარსული ციკლამენი

**სამშობლო** – წინა აზიის მთიანი რაიონები, ლიბანის, პალესტინის, თურქეთისა და კვიპროსის ტერიტორიები;

**ზომა** – დაბალი ბალახის მსგავსი მცენარეა;

**ყვავილობა** – ზამთარში. ყვავილების ფერი – თეთრი, წითელი, ვარდისფერი ან იისფერია.

დაყვავილებული ნაწილები თვითონვე სცილდება;

**გამრავლება** – შეგიძლიათ თესლით;

**გადარგვა** – 2-3 წელში ერთხელ. მას საკმაოდ დიდი ბოლქვი აქვს, რომელიც გადარგვისას ნახევრამდე უნდა დაფაროთ.



**ტემპერატურა** – ზამთარში – 12-16<sup>0</sup>. ტემპერატურის შენარჩუნება ყვავილობის გაგრძელებას ხელს უწყობს. წელიწადის ეს დრო მცენარისათვის სიმშვიდის პერიოდია, რის შემდეგაც ფოთლებს კარგავს.

**განათება** – კარგი. არ უყვარს პირდაპირი მზის სხივები და კარგად იზრდება ჩრდილოეთით მდებარე ფანჯრის რაფებზე.

**მორწყვა** – ყველაზე კარგი „დაბანის“ მეთოდია – ქოთანს პერიოდულად რბილ, გრილ წყალში ჩადგით ხოლმე, რის შემდეგაც კარგად დაწურვის საშუალებას მისცემთ. ზაფხულშიც იგივე პრინციპით, მაგრამ – უფრო იშვიათად.

**ჰაერის ტენიანობა** – მოუმატეთ, ოთახის ტემპერატურის წყლით დანამეთ.

**ნიადაგი** – 2/5 ფოთლოვანი მიწა, 1/5 ნემომპალა, 1/5 ტორფი და 1/5 ქვიშა.





### გადარგვა

თუ ახალნაყიდ მცენარეს ამჩნევთ, რომ პატარა ქოთანშია, ნუ იჩქარებთ მის გადარგვას. კონსულტანტს აუცილებლად ჰკითხეთ რჩევა, ზოგი მცენარე ამას მეტად მტკივნეულად განიცდის. მცენარეს გადარგვის საჭიროებას შემდეგი ნიშნებით შეატყობთ:

- თუ ფესვები სულ ძირში გაიზარდა;
- მორწყვის შემდეგ ნიადაგი თუ მალე შრება;
- თუ ხშირი „კვების“ მიუხედავად, მცენარე ნელა იზრდება;
- თუ მცენარეს მინიანად ამოიღებთ და ნახავთ, რომ მინა სულ ფესვებითაა სავსე, ეს მისი გადარგვის საჭიროების უტყუარი ნიშანია.

#### შემდეგ:

- შეარჩიეთ სათანადო ნიადაგი, რომელსაც მოზრდილ ქოთანში ჩაამატებთ;
- მოამზადეთ ქოთანი, რომლის დიამეტრი უნინდელზე ერთნახევარჯერ დიდი იქნება;
- თუ იგი მეორადი მოხმარებისაა, კარგად გარეცხეთ;
- კარგი დრენაჟისათვის, ძირში ქოთნის ნამსხვრევები ან კარამზიტის თხელი ფენა ჩაუყარეთ;
- ამის შემდეგ ისეთი სისქის ახალი ნიადაგის საფარი გააკეთეთ, რომ ძველი ქოთნის შიგთავსი სრულად განთავსდეს;
- გადარგვამდე ერთი საათით ადრე, მცენარეს წყალი დაუსხით და შემდეგ ფრთხილად ამოიღეთ ქოთნიდან;
- ძველი ფესვებისა და ნატყეხებისაგან გაათავისუფლეთ და ახალ ქოთანში ჩარგეთ;
- ცარიელ ადგილებზე ახალი მინა ჩაამატეთ, დატკეპნეთ, ისევ დაუსხით წყალი და რამდენიმე დღე ჩრდილიან ადგილზე დადგით;
- 4-5 დღის შემდეგ მუდმივი ადგილი მიუჩინეთ და ჩვეულებრივად განაგრძეთ მისი მოვლა.

მადლობა კომპანია „ფიტო დიზაინსა“ და მალაზია „არტ-ფლორ-დიზაინს“







# ის უნთქაეტი

ცხვირით



ახალი სანუნი  
ახალი მენტოლით

**უხაქრო**

გაკეთე ტიუნსით მეტი!

# GITANES

## ქიტანი

LE CHARME  
ET LE CHOIX

შარმი  
და პრჩევანი

სიასლა



რბილი  
გაწონასწორებულობა



მსუბუქი  
სიმშვიდე



ულტრა მსუბუქი  
სიმსუბუქე

სერტიფიცირებულია

ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებით:  
მონავა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.  
მონავა იწვევს გულის დაავადებებს.



# MEXX waterlove



NEW

two new fragrances for men and women